

სალომე ბენიძე

## ქალაქი წყალზე

თათია ნადარეიშვილის ილუსტრაციებით  
რედაქტორი მარიამ კორინთელი

დიზაინერი თათია ნადარეიშვილი

დამკაბადონებელი მალხაზ ფაღავა

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
მხარდაჭერით

ქართული გამოცემა © გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, 2015  
მისამართი: მემედ აბაშიძის ქუჩა, 60, ბათუმი  
ელფოსტა: booksinbatumi@gmail.com

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და  
საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, არ შეიძლება გამოყენებულ  
იქნას გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე.

## ავტორისაგან

„ქალაქი წყალზე“, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის დავწერე. ეს წიგნი ჩემთვის გამოლოცვასავითაა, მოგზაურობაა ჩემში და ჩემ გარეთ, ყველაზე დიდი სიმართლეა, რაც კი ოდესმე მოთქვამს.

ეს წიგნი ჩემი მეგობრებისთვისაც დავწერე, რომლებიც ხშირად მეკითხებოდნენ, როგორ ვარ, მე კი არასდროს მყოფნიდა სიტყვები და გამბედაობა, მეთქვა, სინამდვილეში როგორც ვიყავი. „ქალაქი წყალზე“ მათთვის გაცემული პასუხია.

ეს წიგნი დავწერე ყველა გოგოსთვის, ვინც იბრძვის, ცხოვრობს და წინ მიიწევს, ყველა გოგოსთვის, ვისაც ხშირად უფიქრია, რომ მეტი აღარ შეუძლია და, მიუხედავად ამისა, მხრებში გამართულს გაუგრძელებია გზა, ვისაც ბევრჯერ დაუძლევია შიში და არასოდეს უთქვამს უარი საკუთარ თავზე.

„ქალაქი წყალზე“ დავწერე ყველა ბიჭისთვის, ვისაც ჰყოფნის სიყვარული, ამბიცია და სიამაყე, გვერდით ძლიერი გოგო ჰყავდეს, თუმცა, ალბათ, იმ ბიჭებისთვისაც დავწერე, რომლებსაც, სწორი არჩევანის გასაკეთებლად, ბიძგი სჭირდებათ. უფრო მეტიც – დავწერე იმ ბიჭებისთვისაც, ვინც მცდარი ნაბიჯი უკვე გადადგა.

ეს წიგნი დავწერე ყველასთვის, ვისაც ყოველდღიური, ადამიანური სასწაულების სჯერა.

მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მათ, ვინც მუშაობის პროცესში დამეხმარა.

მადლობა ულრიკეს, ჩემს მეგობარს, რომელსაც „ქალაქი წყალზე“ ეძღვნება. მადლობა მას – ჩვენი ურთიერთობისთვის, ერთად გატარებული დროისთვის, მადლობა, რომ ასე უყვარს სიცოცხლე. რაც უნდა მოხდეს, ის მუდამ იქნება ყველაზე ახლოს ჩემს გულთან.

მადლობა დედაჩემს და დეიდაჩემს – ყველაფრისათვის.

მადლობა მაკას, ნინას, თამთას, ბელას და სალომეს ჩემი ტკივილისა და სიხარულის უპირობოდ განაწილებისთვის – მათი სიყვარული ჩემი ციხე-სიმაგრეა.

მადლობა თევლას – ჩემს ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე მუდმივად ზრუნვისთვის; თამთასა და ნინიკოს – მათი მხარდაჭერა არასოდეს მომკლებია, ბავშვობიდან დღემდე.

მადლობა ანის – ამ წიგნის პირველ მკითხველსა და ჩემი ისტორიების მთავარ მსმენელს და სანდროს, ერთად გამოვლილი ყველა დღისთვის, ყველა თანხმობისა და უთანხმოებისთვის, ჩვენი დიდი მეგობრობისთვის.

მადლობა კედის – ლაპარაკში გათენებული ღამეებისთვის.

მადლობა მაიკოს და გიგას – ისინი ყოველთვის ახერხებენ ჩემს ცხოვრებისკენ შემობრუნებას.

მადლობა ტასოსა და ირინას, რომ არასოდეს დავრჩენილვარ მარტო.

მადლობა თათიას, რომ გაცილებით კარგი მეგობარია ჩემთვის, ვიდრე მე – მისთვის.

მადლობა თეას და ბურას ჯადოქრობისთვის, რომელიც ჩაიდინეს – ამ წიგნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ნაჩუქარ ბლოკნოტში დაიწერა.

მადლობა ლელას – სანამ მე ლექსებს ლექსებზე ვწერდი, მას არასოდეს დაუკარგავს იმედი, რომ ერთ დღეს პროზასაც მოვკიდებდი ხელს.

მადლობა სალომეს – ყველა ფინჯანი ყავისა და ნაყინის ყველა ბურთულისთვის, ყველაზე საჭირო დროს ჩემ გვერდით ყოფნისთვის.

მადლობა ნანუკას, მარიამსა და მაიკოს ჩემი ყოველდღიურობისთვის.

მადლობა ანდრეას, იუდიტს, ფლორიანს და დომინიკს – მათთან მეგობრობამ გაცილებით უკეთეს ადამიანად მაქცია, ვიდრე მანამდე ვიყავი.

მადლობა ყველას, ვისთან შეხვედრამაც ამ წიგნს თუნდაც პატარა დეტალი შეჰმატა, ვინც სრულიად გაუცნობიერებლად გახდა ჩემი ტექსტების გმირი, ვისგანაც სახელი ან ამბავი ვისესხე, ვისაც ვუყვარდი, ვინც იმედი გამიცრუა, ვინც მამხნევებდა, ვინც მამხიარულებდა, ვინც მინდოდა, მესხენებინა, მაგრამ ვერ ვახსენე.


მადლობა ყველას, ვინც ამ წიგნს ელოდებოდა.

განსაკუთრებული მადლობა მარის და ირაკლის, ჩემს მეგობრებსა და ამ წიგნის

გამომცემლებს ყველაფრისათვის – ისინი საუკეთესოები არიან, როგორც მეგობრები და როგორც გამომცემლები, ასევე ილუსტრატორს, თათია ნადარეიშვილს, რომელმაც მოახერხა, ჩემი სიზმრები იმაზე კარგად დაენახა, ვიდრე მე ვხედავ.

და ბოლოს, უდიდესი მადლობა ორ ქალაქს – ბათუმსა და ვილნიუსს – სიცოცხლისთვის, რომელსაც ყოველი შეხვედრისას მიბრუნებენ, სიყვარულისთვის, რომელსაც მათგან ვიღებ და წყლისთვის, რომელიც ჩემს წიგნშია.

## **სიზმარი - 13.06.2013**





კლდის თავზე, საიდანაც ნისლი იწყებოდა, ვიდექი მე და ვქანაობდი, ვქანაობდი და მეძინა. მეძინა თვალლიას, ისე, როგორც შეგრძნებებნართმეული ადამიანები იძინებენ ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ. ვქანაობდი ნისლის რიტმით, ქარის მიმართულებით, მიყურებდნენ გუგებგაფართოებული მინდვრები, ცრემლიანი მდინარეები, მიყურებდნენ და არაფერს ამბობდნენ. მოდიოდნენ ჩიტები დედამიწის ოთხივე მხრიდან და ყვავილები მოჰქონდათ ჩემთვის. მე კი მეძინა სურვილით, სულერთი ყოფილიყო ყველაფერი, რაც მანამდე მოხდა და რაც მომავალში მოხდებოდა.

კლდის თავზე, საიდანაც ნისლმა ოდესღაც პირველად აიდგა ფეხი, ვირწეოდი მე და დაღლილობისგან მორღვეულ მკლავებზე გვირილების გვირგვინები მეკიდა.

\* \* \*

ყოველ ღამით ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი: ხის სახლს, რომლის ფანჯრებიდანაც თოვლიანი მთებითა და ყინულოვანი ზღვით გარშემორტყმული თეთრი ქალაქი მოჩანდა. სახლში თბილოდა. ზუსტად ვერ ვხვდებოდი, რომელ ოთახში ენთო ბუხარი, მხოლოდ კედლებზე და სარკეებში ალაგ-ალაგ არეკლილი ცეცხლის ენები ჩანდა. ოთახიდან ოთახში შიშველი დავდიოდი, აგურისფერი პლედი მხოლოდ ბურგსა და მხრებს მიფარავდა. თმა უფრო გრძელი მქონდა, ვიდრე სინამდვილეში, კანი – უფრო თეთრი და ტუჩები – უფრო წითელი. ხის უბარმაზარ აბაზანაში დანიელი იწვა. მის სახეს ვერ ვხედავდი – მარტო მხრებსა და კეფას. ფრთხილად ვუახლოვდებოდი და გაქაფულ ღრუბელს ვაყოლებდი ჯერ მის მხრებს, მერე ნეკნებსა და ხერხემალს. დანიელი არ მიყურებდა, მაგრამ ვიცოდი, რომ

ვეყვარდი. ცხადში არასოდეს ვყოფილვარ ასეთი დარწმუნებული. სიზმარში, ალბათ, უფრო ლამაზიც ვიყავი და ამიტომაც მჯეროდა მისი სიყვარულის.

ქათი იდაყვებამდე მწვდებოდა. აბაზანის კიდეს ვეყრდნობოდი და ვაკვირდებოდი, როგორ იზრდებოდა ბუშტებიდან უცნაური არსება – სიკვდილი. სიკვდილს მაღალი, თხელი ფეხები ჰქონდა, დიდი მკერდი, დაბერილი ტუჩები და მომაჯადოებელი ღიმილი. მალდებოდა სიკვდილი ნელ-ნელა და ივსებოდა სახლი მისი სურნელით და მასზე ფიქრით და ჩემი შიშით და დანიელის მდუმარებით და როცა სიკვდილმა აღმოცენება დაასრულა, აბაზანაში დადგა და შემომხედა, მე მივხვდი – მარტო ჩემი სიკვდილი იყო ის და სხვისი არავისი.

ყოველ ღამით, აკვიატებულ სიზმარში, მე ვემორჩილებოდი მას, ქათიან ღრუბელს აბაზანის ნაპირზე ვდებდი, დანიელს კეფაზე ვკოცნიდი, იატაკზე ვწვებოდი და თითქოს ხის ფიცრების ჭუჭრუტანებში ვდნებოდი, ისე უჩინარდებოდა ჯერ ჩემი ბურგი, მერე თეძოები, მერე მკერდზე დანყობილი ხელები და ბოლოს თმა.

ორი დღის წინანდელი სიზმარი ცოტა სხვანაირი იყო. იატაკზე პირქვე დავწექი და ვიგრძენი, რომ უმტკივნეულოდ კი არ ჩავიკარგე, ჯერ გული დამესერა, მერე კი სისხლმა ბურგიდან ამოხეთქა. ვერაფერს ვხედავდი. თვალდახუჭული, თხელ ნაწილებად დაჭრილი მივსრიალებდი სიღრმისკენ და კანით ვგრძნობდი, რომ ოთახში სისხლიან კვალს ვტოვებდი. ვიცოდი, დანიელსაც და სიკვდილსაც გავუადვილებდი საქმეს უგზო-უკვლოდ გაქრობით, ასე კი თითქოს მათაც ვსჯიდი და საკუთარ თავსაც.

და როცა უსასრულობის გულამდე ვიწრო ლენტებად დასერილმა ჩავაღწიე, ვიგრძენი,

როგორ დაისვენა სხეულმა და მზის მიმართულებით განაგრძო სვლა – იქით, სადაც ვერასოდეს შეხვდებოდა დანიელს და მის ახალ სიყვარულს, ჩემს სიკვდილს.

\* \* \*

წყალმა ვერ წაიღო ჩემი სიზმარი – ისეთი მძიმე იყო, ფსკერისკენ დაეშვა და იქ ჩაიშარხა. მდინარემ ამომხედა და იტირა, იტირა, რადგან ვერ მიხვდა, როგორ მოვათრიე სიზმარი აქამდე, ან თვითონ როგორ უნდა ეცხოვრა ჩემი ტკივილით.

საღამოხანს ჩრდილოეთიდან უფრო მეტი ჩიტი მოფრინდა, ვიდრე ოდესმე და ის ფერმკრთალი ყვავილები მოიტანა, ისლანდიაში, ვულკანის კალთებზე რომ იზრდებიან.

მე კი ისევ მეძინა კლდის თავზე და ჩემს გაშლილ მკლავებზე ჩემივე სიყვარულივით გამჭვირვალე და ფერმკრთალი ჩრდილოეთი ირწეოდა.

\* \* \*

დანიელს ზამთარი უყვარდა, ზამთარი და ზამთრის ქალაქები. მე არასოდეს ვგიჟდებოდი ზამთარზე, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მე და დანიელი რომელიმე ბედნიერ იანვარში დავექორწინდებოდით, ისლანდიაში წავიდოდით და ღია ცის ქვეშ, ცხელ აბაზანაში ჩანთლილები, ფანტელებს დავითვლიდით. ქალაქი, რომელსაც უფრო

ხშირად ვხედავდი სიზმარში, ვიდრე საკუთარ სახეს მდინარის ანარეკლში, ჩემს წარმოდგენაში რეიკიავიკი იყო, სადაც არასოდეს ვყოფილვარ.

უღრმეს ძილში ზოგჯერ თავს მახსენებდა ფიქრი, რომ მე თანდათან დავივიწყე საკუთარი სახე, როგორც სჩვევიათ მათ, ვინც დიდი ხნის წინ სხვის სხეულში ჩაასახლა თავისი სული და თქვა, რომ ძილი სხვა არაფერია, თუ არა მტანჯველი ცხადის ნეგატივი და უსახური გაგრძელება, რომ ძილი ზოგჯერ უფრო მტკივნეულია, ვიდრე ყველა დამღლელი დღე, ერთად აღებული. ამიტომ თვალღიამ უნდა იძინო, სხვები მაინც ვერ მიხვდებიან, რომ გძინავს.

\* \* \*

ქარავანი უდაბნოს მხრიდან მოვიდა, იქიდან, საითაც კალაპოტს ვერასოდეს გაჭრიდა ჩემი მდინარე, მხოლოდ მის ქვეშ მიიკვლევდა გზას წვეთ-წვეთად და ჩემი ღამეული მოჩვენებების ლოდის ნაშალიც თან მიჰქონდა.

მანამდე კი მე სიზმარში ვიხილე ქარავანი, რომელიც უდაბნოს სიჩუმეში მოიკლავნებოდა და მიწისქვეშა ხმაურს უგდებდა ყურს. ქარავნის წინამძღოლი გაბრიელი არ დამინახავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ მის კანს ზუსტად ისეთივე სურნელი ჰქონდა, როგორიც ცისკენ თავაშვერილ მზესუმზირებს აქვთ შუადღის თავარა სიციხეში.

ქარავანს მოხუცი ქალი გამოეყო. დამსკდარი ფეხები აქლემის ტყავის ფლოსტებში წაეყო და ჩემკენ მოფრატუნობდა. ამჯერად მე უდაბნოს თავზე ვირწეოდი და ოდნავ უფრო ფხიბელი ვიყავი, ვიდრე ცხადში.



- შენზე წყალმა მიაბბო, - თქვა მან, - შენ წყლების შვილი ხარ, შენი სიკვდილი შეუძლებელია, სადმე მაინც გააგრძელებ ცხოვრებას.

მე გამეცინა. თითქმის მკვდარი ვიყავი და სრულიად უცნობი მოხუცის ნათქვამზე გაცოცხლებას არ ვაპირებდი.

- შენი სული დამსხვრეულია, - განაგრძო ქალმა, - და შენი ლამაზი სხეული ისე ნიღბავს მას, როგორც ჭრელი ყუთი - დაფშვნილ ლარნაკს.

ვიგრძენი, რომ რწევა შევანელებ და ქვემოთ დავიხედე.

- როცა წავიდა, შენი მფარველი ანგელოზიც თან გაიყოლა, - არ ჩერდებოდა მოხუცი, - და მას შემდეგ ასე ხარ, სიზმრებსა და ცხადს შორის გამოკიდებული, ვერსად გადაგინწყვეტია დასახლება.

უკვე მიწაზე ვიდექი და ქალს შევყურებდი. დაღარული, ნაბლისფერი კანი ჰქონდა და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი, ჩემი მდინარის წყალივით გამჭვირვალე, ცისფერი თვალები.

- ის, ვინც შენთან მოვა, უკვე გბაშია, - სახეზე ხელით შემეხო, - მოირწევა და ხორხგამშრალ სიმღერებს მღერის. მან იცის, სად გიპოვოს, იცის, რომ იქ დახვდები, საიდანაც უდაბნოში შემოპარული წვეთები მოდიან.

\* \* \*

კლდის თავზე, საიდანაც ნისლი იწყებოდა, ვიდექი მე და ვქანაობდი, ვქანაობდი და მეძინა. დამღლელი იყო ასე ძილი. გადავწყვიტე, თვალები ბოლომდე გამეხილა, უფსკრულში გადავქანებუდიყავი და ერთხელ და სამუდამოდ მივცემოდი თვალია სიზმრებს.

სამხრეთიდან ჩიტები მოფრინავდნენ, მოფრინავდნენ და მოჰქონდათ მზესუმზირების გვირგვინები, მოჰქონდათ და სხეულზე მკიდებდნენ. მე კი, ჩემი სამუდამო გახელისთვის გამზადებული თვალებით, ჰორიზონტს იქით ვხედავდი ქალაქს, სადაც ოდესღაც ვყოფილვარ, ქალაქს, რომელსაც, თუ დაბინდული მეხსიერება არ მღალატობდა, ფლორენცია ერქვა.

მკლავები დავუშვი, ხელები ბურგს უკან წავიღე, გადავაჯვარედიხე და ვიგრძენი, როგორ გაივსო სამყარო ზუსტად ისეთი სურნელით, როგორიც მზესუმზირებს ასდით შუადღის თაკარა სიცხეში. კლდიდან გადავიხედე. ჩემი მდინარე ისე ამომყურებდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს ელოდა ჩემგან.


თვალების ბოლომდე გასახელად მოვემზადე, როცა ჩემს ხელებს ვიღაც შეეხო. ისე, რომ არ შევბრუნებულვარ, მე დავინახე ის, ქარავანის წინამძღოლი გაბრიელი, რომელიც წყალმა მოიყვანა ჩემამდე. მას მზისგან დამწვარი, გაუხეშებული კანი და სინათლისგან დაწვრილებული, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ბურგს უკან მედგა, ჩემი ორი ხელი თავის ორ ხელს შორის მოექცია და მხრებზე მიყურებდა.

არ მახსოვს, როგორ გადავდგი ნაბიჯი უკან, გაბრიელის მკერდს მივეყრდენი, თვალები დავხუჭე და გავიღვიძე.

# ლიდია

იმ საღამოს, პატარა ქალაქის ყველაზე ხმაურიანი პაბიდან შინისაკენ მიმავალმა ოცდაოთხი წლის ლიდიამ ბრუსოკაიტემ იგრძნო, რომ ჰაერში ნუშისა და ატმის სურნელი აღარ ტრიალებდა და მიხვდა, რომ, როგორც იქნა, დადგა დღე, რომელსაც დედამისი, ირენე ბაუერი, ძალიან დიდხანს ელოდა.

ლიდიამ სასტუმრო ოთახის კარი შეაღო. დედა და მამა მდუმარედ ისხდნენ. იოჰანესი ირენეს უყურებდა, ირენე კი საკუთარ ხელებს, რომლებიც უფრო გამჭვირვალე გახდომოდა, ვიდრე ოდესმე. მაგიდაზე ხელუხლებელი დანა-ჩანგალი და ოთხი თევზი ეწყო. ოჯახს ასეთი ტრადიცია ჰქონდა – აუცილებლად დგამდნენ ერთ თევზს მისთვის, ვისაც არ იცნობდნენ, არ ელოდნენ, ვისაც შიოდა, ვინც გზაში იყო და შეიძლებოდა, მოულოდნელად მოსულიყო. როგორც წესი, არავინ მოდიოდა. უცნობი და დაუპატიჟებელი სტუმარი კი არა, მათთან, საერთოდ, არასოდეს არავინ მოდიოდა, უქმად ეკიდა ბარიც და ხის მძიმე კარზე დასაკაკუნებლად განკუთვნილი მძიმე, ოქროსფერი ხელიც. ოჯახის მყუდროებას ფოსტალიონიც კი არ არღვევდა, გაბეთებს კართან ტოვებდა და უხმოდ ბრუნდებოდა უკან. ჰო, მხოლოდ გაბეთებს. ლიდია და მისი მშობლები წერილსაც კი არავისგან იღებდნენ.



იოჰანესმა თავი დახარა. ლიდიამ ჯერ მამას შეხედა, მერე გასასვლელში აყუდებულ ძველ ჩემოდანს, რომელზეც კონტინენტები ეხატა. აქამდე ჩემოდანი დედის ოთახში ინახებოდა. ირენე არასოდეს დადიოდა სამოგზაუროდ, სახლიდანაც იშვიათად გადიოდა – ძირითადად, სხვენში იჯდა და ხატავდა. ქმარი და შვილი არასოდეს დაუხატავს. მართალია, ხშირად ხატავდა გოგოს, რომელიც ძალიან ჰგავდა ლიდიას,



მაგრამ ლიდიას თქმა არ სჭირდებოდა იმის მისახვედრად, რომ ეს გოგო, დიდი, თაფლისფერი თვალებითა და ბედნიერი ღიმილით, ვიღაც სხვა იყო და არა თვითონ. საერთოდაც, ლიდიას ლურჯი თვალები ჰქონდა და მკრთალად, ისე მკრთალად იღიმებოდა, რომ მხოლოდ მამა ამჩნევდა, როდის უხაროდა. მამა და ანდრე.

ირენე ისევ გაუნძრევლად იჯდა. მისი გამჭვირვალე ნაკვთები ჰაერში ლივლივებდნენ. მკაცრად მოკუმული ტუჩების, უფერული ლოყებისა და გრძელი წამწამების მიღმა უძველესი კარადა და იოჰანესის ბებიისეული, მოოქროვილი ჩაის სერვიზი მოჩანდა.

\* \* \*

ლიდიას არ ახსოვდა, ოდესმე უყვარდათ თუ არა ერთმანეთი დედას და მამას. იოჰანესი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კაცი იყო. ზამთარ-ზაფხულ ნატრის გაცრეცილი შარვალი და კუბოკრული პერანგი ეცვა, ნაცრისფერ ჟაკეტს კი ხან ატარებდა და ხან არა, სეზონის მიხედვით. ხმადაბლა ლაპარაკობდა, იშვიათად იცინოდა და მზერას არავის უსწორებდა, ლიდიას გარდა.

მშობლების საძინებლის კარი ლიდიას საძინებლის კარს უყურებდა. მიუხედავად ამისა, ლიდიას არასოდეს გაუგონია ის უცნაური ხმები, რომლებიც მის კლასელებს ესმოდათ თავიანთი დედ-მამის ოთახებიდან. ირენეს, ძირითადად, თავის სახელოსნოში ეძინა, საღებავებსა და მოლბერტებს შორის გამოკიდებულ ჰამაკში. ლიდიამ იცოდა, რომ დედა ძილში ხატავდა, გამოდვიძებულს კი, უბრალოდ, ფერები და ხაზები ტილოზე გადაჰქონდა.

როცა მთვარე ილეოდა, ირენე ტუჩებს წითელი პომადით იღებავდა და წამწამებს იპრეხდა. ლიდიას უყვარდა მთვარის მიღვევის პერიოდი. ამ დროს დედა სხვა ქალებს ჰგავდა, მისი მეგობრების დედებს, რომლებიც ყოველდღე აკითხავდნენ შვილებს სკოლაში, მოდიოდნენ მხიარული სიცილით, ლამაზ კაბებში გამოწყობილები, ზოგი საკუთარი მანქანით, ზოგი ფილაქანზე ქუსლების კაკუნით, მოდიოდნენ ისეთი ჩვეულებრივები და თბილები, რომ ლიდია წამიერად ნატრობდა, არასოდეს გავსებულებოდა მთვარე, რომელსაც თითქოს დედამისის ფერი, კანი და სილამაზე მიჰქონდა, მიჰქონდა ის იშვიათი სიცილიც, რომელიც ირენეს ათასში ერთხელ წამოსცდებოდა.

ღამდამობით ლიდია ფანჯრის რაფაზე იჯდა, მთვარეს უყურებდა და დღეებს ითვლიდა. მას არ უყვარდა გამჭვირვალე დედა, რომელიც ცივად და შეუმჩნეველად დადიოდა ჩაბნელებულ დერეფნებში და სიტყვასაც არ ეუბნებოდა შვილს, ქმარს – მით უმეტეს. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო უჭირდა მიხვედრა, როდის უხაროდა და სწყინდა ირენეს.

ბავშვობაში ლიდიას ავად ყოფნა უყვარდა. სიცხე რომ უწევდა, დედას სარდაფში ჩაჰყავდა და უბარმაზარ აუბში აწვენდა, რომელიც ყვავილებითა და ვერცხლისფერი თევზებით იყო სავსე. სარდაფში მთვარის შუქი ერთადერთი, პანანინა სარკმლიდან შემოდისოდა. ლიდია წყალზე ტივტივებდა და უყურებდა, როგორ იხდიდა ირენე, ოქროსფერ თმას იშლიდა და სიმღერას იწყებდა. ოცი წლის ასაკში ლიდია უკვე ვეღარ იხსენებდა სიტყვებს, რომლებიც ბოლოს თორმეტი წლისამ მოისმინა. მხოლოდ ის ახსოვდა, რომ დედა მთვარეზე და გზებზე მღეროდა, მღეროდა ადამიანებზე, რომლებიც ცისკენ მიდიან და თან სხვების ტკივილები მიაქვთ, მღეროდა

ვერცხლისფერ თევზებზე, რომლებადაც ცაში ასული და შემდეგ ზღვაში დაბრუნებული ადამიანები იქცევიან. ბოლოს თვითონაც ჩადიოდა აუზში, შვილის გვერდით წვებოდა წყალზე და ლოყას ლოყაზე ადებდა. ლიდია გრძნობდა, როგორ გადადიოდა მისი სიმხურვალე დედის კანზე, წყალს საბანივით იფარებდა და მშვიდად იძინებდა.

ირენემ ერთადერთხელ იტირა. იტირა იმ დღეს, როცა ლიდიას ცამეტი წელი შეუსრულდა. გოგო მაშინაც წყალზე იწვა, რაღაც უცნაური სისუსტისაგან მოცელილი და უყურებდა, როგორ წმენდდა დედა ფეხებზე წვეთებად ჩამოღვრილ სისხლს თეთრი ნაჭრით და მერე ამ ნაჭრებს ნუშის და ატმის ტოტებისგან დანთებულ ცეცხლზე წვავდა. ირენემ მაშინ ტირილით უმღერა კოცონს, უმღერა ის, რაც ლიდიას მანამდე არასოდეს მოესმინა – სიმღერა ოქროსფერთმიანი გოგოს უცნაურ სიყვარულზე, უმღერა უკანასკნელად. როცა კოცონი ჩაქრა, ლიდიამ დაინახა, რომ დედას მთვარისფერი გაუხდა თმა, მთვარისფერი და ისეთი ელვარე, თითქოს მასში ვერცხლის თევზებმა დაინყეს ცურვა.

- ოდესღაც მეც მიყვარდა ეს ქალაქი, - თქვა მაშინ ირენემ.

ლიდიამ ვერაფერი გაიგო.

\* \* \*

ანდრე ყოველთვის ახლოს იყო, არა პირობითად, არამედ მართლაც ყოველთვის. როცა იოჰანესმა პირველად გამოიყვანა სამი დღის ლიდია სასეირნოდ, ორი წლის

ანდრე მეზობელი სახლის ფანჯარაზე ცხვირმიჭყლეტილი იდგა და გაოცებული უყურებდა პატარა არსებას, რომელიც მშვიდად იწვა ქათქათა მაქმანებში და ცას ასცქეროდა. მანამდე ანდრეს მხოლოდ მასზე დიდი ადამიანები ენახა და ალბათ, ამიტომაც მიიქცია ლიდიამ მისი განსაკუთრებული ყურადღება. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება.

მაშინ კი, როცა სიცხიანი ლიდია წყალზე ლივლივებდა, მინაზე განრთხმული ანდრე ერთადერთი, პატარა სარკმლიდან უთვალთვალებდა მას, ოღონდ ისე, რომ მისი ჩრდილი ვერავის შეემჩნია. ანდრემ იცოდა, რომ მთვარე აცოცხლებდა ლიდიას და ამიტომ მთვარესა და ლიდიას შორის ჩადგომა არ შეიძლებოდა. საერთოდაც, ანდრემ ბევრი ისეთი რამ იცოდა ლიდიაზე, რაც გოგოს თავში აზრადაც არ მოსდიოდა.

ისინი ერთმანეთს გორაკზე, ატმისა და ნუშის ძირას ხვდებოდნენ. გორაკიდან მთელი ქალაქი ჩანდა, ქალაქი და ზღვა, მეზობელი ქვეყნებიდან მოსული გემებით. მათი ქალაქის ნავსადგურს დიდი ამბიციები არ ჰქონდა, ისევე, როგორც ქალაქის ბინადრებს. აქ ყველა მშვიდად, საკუთარი ცხოვრებითა და სიყვარულით ცხოვრობდა.

ანდრეს ამქვეყნად ყველაზე თბილი ხელები ჰქონდა და მხოლოდ მას შეეძლო, მორეოდა ლიდიას ხელებში გამჭდარ ვერცხლისფერი თევზების სიცივეს.

- მიყვარს ეს ქალაქი, დამპირდი, რომ არასოდეს წავალთ აქედან! - იმეორებდა ლიდია და ანდრეს უყურებდა. გოგო ყოველთვის ბურგით იდგა ზღვისკენ. მას ისედაც ესმოდა წყლის და არც ხედი სჭირდებოდა. ყველაფერი, რისი დანახვაც ლიდიას უნდოდა, ანდრეს თვალებში ჩანდა - პორტში შემოსული ყველა გემი, სანაპიროზე



მოსეირნე ყველა ადამიანი, ყველა ქოლგა, ყველა მცენარე და ყველა თოლია. თევზებს კი ლიდია მუდამ საკუთარი ძარღვებით დაატარებდა.

ანდრე იღიმებოდა და არაფერს ამბობდა.

ასეთ დროს ლიდიას არ ესმოდა მისი.

\* \* \*

იოჰანესი ჩუმად ბერდებოდა. მის კანს ნელ-ნელა ედებოდა ირენეს სიცივის და ლიდიას ზრდასრულობის ფერი. ის სრულიად მარტო უვლიდა პატარა ბაღს სურომოდებული სახლის უკანა ეზოში და სასტიკად ერიდებოდა ორ ადგილს – სხვენსა და სარდაფს, რათა ირენეს რისხვა არ დაემსახურებინა.

მას არ ახსოვდა, როდის დაკარგა ცოლის სიყვარული. ერთ დროს ისინი ჩვეულებრივი შეყვარებულები იყვნენ, დღისით ლექციებზე დადიოდნენ, საღამოობით კინოში, ერთად ჭამდნენ კარამელმოსხმულ ვაფლს და ნუშმოყრილ ნაყინს, ციგურაობდნენ და მზეზე ირუჯებოდნენ. ბედნიერი ირენე იშვიათად ხატავდა და ხშირად ეპატიუებოდა მეგობრებს ჩაიბე სწორედ იმ ბაღში, რომელიც დროთა განმავლობაში იოჰანესის ერთადერთ თავშესაფრად იქცა.

იოჰანესს არც ის ახსოვდა, ბოლოს როდის ნახა შიშველი ირენე, თუმცა მუდამ თვალწინ ედგა ცოლის სავსე მთვარისფერი ტანი, რომელიც ოდესღაც მხოლოდ მას

ეკუთვნოდა. იოჰანესს არ უნდოდა, დაეჯერებინა, რომ ერთ უცნაურ დღეს ყველაფერი მისგან დამოუკიდებლად შეიცვალა, აბსოლუტურად ყველაფერი, მისი ნაჭრის შარვლის, კუბოკრული პერანგისა და ნაცრისფერი ჟაკეტის გარდა. ირენე კი უკვე მთვარის სისავსეს თავად იმორჩილებდა იმისთვის, რომ სახე არასოდეს დაებრუნებინა, უხმაუროდ დასრიალებდა დერეფნებში და არც იოჰანესს იმჩნევდა და არც ლიდიას.

იმ დღის შემდეგ, რაც ირენემ ბოლოჯერ იმღერა სახლის სარდაფში ჩაგუბებული წყლის პირას, ლიდია კიდევ უფრო მიეჯაჭვა მამას. მამას და ანდრეს.

\* \* \*

- თვალებს რომ გაახელ, იმას დაინახავ, რაც არასოდეს გინახავს, - თქვა ანდრემ და ლიდია მიწაზე დაანვინა.

მინდორს უამრავი პატარა მთვარე ანათებდა. ლიდიამ არ იცოდა, როგორ ჩამოიყვანა ისინი ანდრემ მიწაზე, თუმცა ეს შეგრძნება – სინათლეში წოლა, საშინლად ჰგავდა ბავშვობისდროინდელი ავადმყოფობის დღეებს, რომლებიც ლიდიას ასე უყვარდა და ენატრებოდა. ანდრეს კანი კი, რომელიც სულ უფრო და უფრო ეკვროდა მისას, თითქოს ყველა ტკივილსა და დარდს ისრუტავდა, რაც წლების განმავლობაში დაგროვილიყო ლიდიას სხეულში.

იმ საღამოს სახლში დაბრუნებულ ლიდიას პირველად მოუნდა, ოჯახში გამეფებული



დუმილი დაერღვია. ის უხეშად მიწვდა დიდი ბაბუის ხელის ასლს – კარზე ჩამოკიდებულ ოქროსფერ მტევანს და ოთხჯერ დააბრაახუნა, დააბრაახუნა ისე, რომ ძილი ერთბაშად დაუფრთხათ ტელევიზორთან ჩათვლემილ მამას, დერეფნის იატაკს გაკრულ დედას, სარდაფში – თევზებს და სხვენში – ნახატებს.

იოჰანესმა კარი გააღო. მან, რა თქმა უნდა, თვალებში ჩახედა ლიდიას. შვილის თვალებში საკუთარი ანარეკლი დაინახა, საკუთარი ანარეკლის თვალებში კი ლიდიას მზისფერი თმა, რომელსაც შეუმჩნევლად გასდევდა მთვარის გამჭვირვალე ზოლი.

\* \* \*

სასადილო ოთახში სიჩუმეს დაესადგურებინა. ირენე ადგა და ისე, რომ იატაკისთვის ფეხი არ დაუკარებია, ჩემოდნისკენ წავიდა.

ლიდიას არ დაუნახავს, როდის ავიდა მეორე სართულზე მამა. მხოლოდ გასროლა გაიგონა და უცნაური შეგრძნება დაეუფლა – მიხვდა, რომ გაქრა.

\* \* \*

– არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, ფრანუ შმიდტ, – ქუდი მოიხადა პოლიციელმა, – მაგრამ თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, გარდაცვლილს ახლო ნათესავები არ ჰყოლია. ანდერძის თანახმად, მისი ერთადერთი მემკვიდრე თქვენ ხართ.

ფრანუ შმიდტი ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი იყო, წითელი პომადითა და გრძელი თითებით. მან პოლიციელს ცივად შეხედა.

– რაიმეს უნდა მოვანერო ხელი?

– დიახ, – უცებ გააქტიურდა პოლიციელი და საიდანღაც ქაღალდების მთელი დასტა გამოაძრო, – მხოლოდ ორ ადგილას გაქვთ ხელი მოსაწერი. ნოტარიუსიც მოვა და დანარჩენ საბუთებს გადმოგცემთ. სახლი თქვენს მფლობელობაში გადმოვა...

ფრანუ შმიდტმა სასტუმრო ოთახში გაიარ-გამოიარა და ძველი ჭურჭლით გატენილ კარადასთან ჩამოჯდა.

– ალბათ, ჩემი აქ ჩამოყვანა მაინც არ ღირდა.

– გვესმის, – თავი დაუქნია პოლიციელმა, – მაგრამ თქვენი შვილის კვალს ვერსად მივაგენით, ვერც საბუთები ვიპოვეთ. გვინდოდა, მას დავკავშირებოდით, მაგრამ ამაოდ.

– ჩემი შვილი რა შუაშია? – აღშფოთება ვერ დამალა ფრანუ შმიდტმა.

– პირდაპირ მასზე გადააფორმებდით მემკვიდრეობას. სწორიც იქნებოდა. როგორც ჩვენ ვიცით, თქვენი და განსვენებულის შვილი, ლიდია ბრუსოკაიტე, ოცდაოთხი წლისაა, რაც უფლებას აძლევს მას...

- რა თქვით? მე მხოლოდ ერთი შვილი მყავს, ანა ულრიკე შმიდტი, რომელიც ოცი წლისაა და ახლა ბერლინშია, და საერთოდ, მეც იქ უნდა ვიყო, ხვალ ჩემი გამოფენა იხსნება, თქვენ კი რაღაც სისულელეებზე მელაპარაკებით!

პოლიციელი ფეხზე წამოდგა.

- თქვენი ყოფილი მეუღლე მეზობლებთან მუდმივად ახსენებდა თქვენს საერთო შვილს, ლიდიას. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მეზობელი, ოცდაექვსი წლის ანდრე, ჯანდაბა, გვარი დამავინყდა, იმასაც ამტკიცებს, რომ პირადად შეხვედრია მას...

მოთმინებადაკარგული ირენე შმიდტი სასწრაფოდ გაემართა კარისკენ.

- თუ კიდევ რაიმეა საჭირო, იცით, რომელ სასტუმროშიც ვცხოვრობ და მომაკითხეთ!

- ფრაუ შმიდტ, სხვენში თქვენი ნახატებია, ძალიან ძველები, ხომ არ წაიღებთ? - გამოედევნა პოლიციელი.


ქალი შემობრუნდა და პოლიციელს სიძულვილით შეხედა.

- თქვენ რა, დამცინით? ამ სახლში ცხოვრებისას მე არაფერი დამიხატავს, გესმით? არაფერი!

- კი, მაგრამ...

ირენე შმიდტმა კარი გაიჯახუნა, ქუჩაში გავიდა და ღრმად ჩაისუნთქა ატმისა და ნუშის სურნელით გაუღენთილი ჰაერი.

- მე ეს ქალაქი ოდესღაც მართლაც მიყვარდა, - გაიფიქრა მან და წითელი პომადის მოსაძებნად ჩანთაში ჩაიხედა.



# ეფი

„ძვირფასო დედა,

ვერ იქნა და ვერ გამოიდარა. წლევანდელი გაზაფხული ისეთივე უმოწყალოა, როგორც ბაბუა იყო ბებიას მიმართ ქორწინების პირველ წლებში, სანამ მეზობლის ხელიდან გაქცეული ხერხი მუხლებში გადაჭრიდა და ლოგინად ჩავარდებოდა. სიყვარულის რა მოგახსენო, ბაბუაჩემი მათ რიცხვს განეკუთვნებოდა, ვისაც სხვა ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში უყვართ, ან უფრო მარტივად რომ ვთქვა, სჭირდებათ. ასე იყო თუ ისე, წვივების გარეშე დარჩენილ ბაბუას, როგორც ჩანს, ცოლის ცემის თავი აღარ ჰქონდა. მე რომ ბებიაჩემის ადგილას ვყოფილიყავი, სასტუმრო ოთახის განჯინიდან გადაპრანჭულ ჭიქებს გამოვალაგებდი და, მადლიერების ნიშნად, მეზობლის ხერხს გამოვვებდი, მაგრამ ბებიას თაობის ქალებს ჩვენს ქალაქში რაღაც დაუნერეული კოდექსით ეკრძალებოდათ საკუთარი გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამოაშკარავება. ვერც დალურჯებული ბებიაჩემი გაამხელდა, რომ ხერხმა მარადიული დამცირებისგან იხსნა.

რას ვამბობდი – გადაუღებლად წვიმს და ისე ცივა, რომ ქალაქმა ატმის ყვავილობა გამოტოვა და დასავლეთის კარიბჭის ტბაში მხოლოდ გულდახურულმა შრომანებმა წამოყვეს თავი, ჩვენი ბაღის ტირიფს შადრევანივით სდის წყალი ფოთლებიდან. საღამოობით ღუმელს ვანთებ და შალის წინდებს ვიცვამ. მარტობა სასჯელია, რომელიც მუდამ გაყინული ფეხებით უნდა მოიხადო. არჩევანი არ არსებობს. ან არავინ გყავს და სასტიკი გაზაფხული გაშინებს, ან ამინდს სხვასთან ინაწილებ და წელიწადის დროები არ გენადვლება.

საკუთარ თავს შინაპატიმრობა გამოვუწერე. სანამ წვიმა გადაივლის და დასავლეთიდან შრომანების სიმღერა გაისმება, ყოველ საღამოს დავუკრავ „აპრილის ბღვის სონატას“, რომელსაც ბებია უკრავდა საღამოობით, როცა მაქმანების ქარგვას და ჩაის ჭიქების გაპრიალებას მორჩებოდა. ქმრის გარდაცვალებიდან შვიდი წლის თავზე გაუბედავს პირველად ნოტების გახსენება. მამას ძალიან უხაროდა, თურმე.

ნეტავ შენ და ბებია როგორ იცხოვრებდით ერთად?”

\* \* \*

ეფის გამხდარი ფეხები ჰქონდა, ისეთი გამხდარი, რომ ყოველთვის, როცა თავის დათბილულ ჩექმებს წელი მოძრაობით იხდიდა, შიშველი ტერფებით იატაკს ეხებოდა და წელში იმართებოდა, თეოდორს ესმოდა ქალაქის ბოლოს, ტბის ნაპირას ამოწვერილი, ქარის მიმართულებით გვირგვინებგადახრილი შრომანების სიმღერა.

საღამოობით ეფი ფანჯრის რაფაზე ჯდებოდა და ჰაერში მოქანავე ფეხებს ღუმელს უშვერდა. ამ დროს ის ჰგავდა ფარვანას, რომელიც გაპარტახებული სახლის ჭერში გამოკიდებულ ერთადერთ ნათურას ეთამაშება და თეოდორს არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რომ ეს თაფლის სანთელივით გამჭვირვალე ფეხები თავისი სხეულის სიმხურვალით დაედნო.

ეფის არასოდეს უფიქრია, რომ ოდესმე სიკეთის გამო შეუყვარდებოდა კაცი. მანამდე სხვანაირი კაცები ჰყავდა – ისეთები, სახლში შემოსულებს პატივმოყვარეობისა და



გაუმაძღრობის სუნი რომ მოჰყვებოდათ. თეოდორი არავის ჰგავდა. სიკეთის ხაზები გასდევდა თვალებს შორის და გავარვარებული საფეთქლებიდან ისე ისმოდა მისი გულის ხმაური, როცა თეოდორი ქუჩაში მიდიოდა, ეფი ფანჯრებს ხურავდა, რომ შემთხვევით გარეთ ფეხი არ წასცდენოდა და პატარა ბავშვით კისერზე არ ჩამოჰკიდებოდა.

ერთხელ ეფის თეოდორი დაესიზმრა. მაშინ, თეოდორს, ამბობდნენ, რომ უყვარდა კატარინა, ცოლი, რომლის გამოც სამშობლო მიატოვა და ტბების ქალაქში გადმოსახლდა. ეფის ორჯერ ჰყავდა ნანახი ის – დაბალწვერიანი კაცი, ყველაზე კეთილი, ჭაობისფერი თვალებით, ორჯერ ჰყავდა ნანახი და ისე უყვარდა, ვერაფრით მოახერხებდა, თავის სიზმრებში არ გამოეკეტა. დაესიზმრა, როგორ ედო თავი თეოდორს მის მკერდზე და სახლში თბილოდა. ეფი იწვა და არაფერი ეფარა, თეოდორის სხეულის გარდა. ეს სიზმარიც შეუყვარდა, გაღვიძებულმა ხელის მტევნებს შორის მოიქცია და იქ დამალა, სადაც სიცოცხლის ხაზი მკრთალდებოდა და ქრებოდა. საღამოს ტბასთან მივიდა და სიზმარი ლელქაშში დათესა.

თეოდორი ზღვით მოვიდა. გემს მოჰყვა, რომელსაც ლურჯ იალქნებზე ყვითელი ნარცისები ჰქონდა ამოქარგული. არავინ იცოდა, რა ერქვა თეოდორის მშობლიურ ქალაქს, ან როგორი იყო მისი ცხოვრება, სანამ მდინარეზე ნავებით დაშვებისას კატარინას შეხვდებოდა – ტბების ქალაქის სიამაყესა და სილამაზეს, ნაოსნობის ჩემპიონსა და მიზანში სროლის დიდოსტატს, მუდამ მოხდენილსა და დიდებულად ჩაცმულს. როცა კატარინა თეოდორის ნავს გაუსწორდა და უზარმაზარი, მარტში გაფოთლილი ხეებით ჭრელი თვალები შეანათა, ყველას გასაოცრად, თეოდორმა ნიჩბები დაუშვა და ფეხზე წამოდგა. მერე კი სწორედ იმ ზღვით იმოგზაურა, რომელშიც

მათი შეხვედრის მდინარე ჩაედინებოდა და ახალი სახლი იპოვა წყალზე გაშენებულ ქალაქში, ტბებთან, რომლებიც იდგნენ და არსაით მიდიოდნენ; ზღვასთან, რომელსაც არასოდეს ჰქონია საზღვარი.

როცა თეოდორმა მათ მიწას პირველად დაადგა ფეხი, ეფი პორტის განაპირას თევზაობდა. გაშლილი ბადე შიშველ ტანზე ჰქონდა შემოხვეული და ელოდებოდა, როდის მოვიდოდნენ თევზები. ჩუმად მღეროდა ეფი, უცნობ წყლებში დაკარგულ თევზებზე მღეროდა, მარჯნის რიფების საძებნელად რომ დაიძრნენ და აღარ დაბრუნებულან, დედა თევზებზე მღეროდა, რომლებმაც შვილები შეჭამეს, რათა წყლის სიბინძურისგან გადაერჩინათ, მღეროდა შეჭმულ შვილებზე, რომლებიც ხელახლა იშვნენ და ცხრა ზღვას იქით განდევნეს მშობლები.

თევზები თანდათან გროვდებოდნენ მის გარშემო, მაგრამ ეფის მათთვის აღარ ეცალა. სანაპიროზე მიაბიჯებდა კაცი, რომელსაც სიკეთის ნათელი მიჰყვებოდა უკან. ის სხვასთან მიდიოდა, ქალაქის ყველაზე ლამაზ კატარინასთან.

\* \* \*

„ძვირფასო დედა,

მინდოდა, მეკითხა – შენი აზრით, რა არის სიყვარული. როგორი სუნი აქვს შენთვის სიყვარულს? როგორი სუნთქვა? როგორი თითები? მამა გიყვარდა? როგორ გიყურებდა, როცა სანგარში იწექით და მთვარე დაგნათოდათ? როგორ ერკალებოდა

მხრები, როცა შენკენ იხრებოდა? რას ჰგავდა მისი შეხება – აგვისტოს ღამით ბალახში ძილს თუ გახურებულ ასფალტზე ყვავილების ამოსვლას? მინდა, ვიცოდე. ყველას უნდა, იცოდეს -სიყვარული, რომელმაც ქვეყანას მოავლინა, გალაქტიკასავით უსაზღვრო იყო თუ ადამიანივით ჰატარა.

რას გააკეთებდი, მამა სხვა ქალის ქმარი რომ ყოფილიყო, როცა შეხვდი? შეძლებდი მის დავინწყებას? თუ ყველა ღმერთს მოუხმობდი, რომ ეხეტიალა, თავშესაფარი ეძებნა, ქვიშით გავსებოდა თვალები, ნესტოებში წყალმცენარეების სიმყრალე ჩაბუდებოდა და ბოლოს მაინც შენთან მოსულიყო?

მგონი, უცნაურ კითხვებს ვსვამ. ჩემი მეგობრები დედებს ასეთ რამეებს არ უყვებიან, მაგრამ ისინი თავიანთ დედებს იცნობენ, მათთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, მე და შენ კი ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ. საკუთარ დედას რომ არ იცნობ, ხანდახან ესეც კარგი ყოფილა”.

\* \* \*

მეორედ ეფიმ თეოდორი ქალაქის ზეიმზე ნახა, კატარინასთან ერთად. ეფი სცენაზე, ყვავილებით მორთულ როიალთან იჯდა და ვალსს უკრავდა, როცა ცოლ-ქმარი დარბაზში შემოვიდა. კატარინა როიალთან გაჩერდა და დაელოდა, როდის მორჩებოდა ეფი დაკვრას. ეფის ხელები უკანკალებდა, უნდოდა, კატარინა გამქრალიყო, ის კი თეოდორისთვის დაუკრავდა, ყველაფერს დაუკრავდა, რაც იცოდა, რაც არ იცოდა, გამოიგონებდა და მაინც დაუკრავდა, ოღონდ თეოდორს მისთვის მოესმინა.

ეფი დაკვრას რომ მორჩა, კატარინა მისკენ დაიხარა და გაუღიმა.

- ადრეც ვყოფილვარ თქვენს კონცერტებზე, თქვენით მოხიბლული ვარ.

ეფი გაშრა. იგრძნო, როგორ ჩაუტყდა უკან დასაბრუნებელი ხიდი. ენა ძლივს მოაბრუნა:

- დიდი მადლობა. მეც აღტაცებული ვარ თქვენით. ჩვენში იმდენად იშვიათია არქიტექტორი ქალები... თქვენ კი სასწაულებს ახდენთ.

- არც ისეთს, როგორსაც თქვენ, - ისევ გაუღიმა კატარინამ, - სასწაული თქვენი მუსიკაა. მადლობა ამისთვის.

ეფიმაც შეარხია ბაგეები. სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოესახა. იატაკი ფეხქვეშ ეცლებოდა, თითებს ვეღარ გრძნობდა, ყელში ბურთი გაეჩხირა. რატომ მოვიდა ეს ქალი, რატომ გადანწყვიტა, რომ მისთვის კეთილი სიტყვები ეთქვა? ან თეოდორმა რატომ არ შემოხედა? ნუთუ მისთვის არაფერს ნიშნავდა ეფის მუსიკა?

სათევზაოდ ღამით წავიდა, წავიდა და თან ვიოლინო წაიყოლა, ჩადგა წყალში შიშველი, ბადემშემოხვეული და დაკვრა დაიწყო. მთვარის შუქით ევსებოდა თვალები და ძილში იძირებოდა. ფეხზე მდგომმა, ისე, რომ დაკვრა არ შეუნწყვტია, სიზმარში თეოდორი ნახა. გაღვიძებულმა ეფიმ ბადე მოზიდა. არცერთი თევზი ჩანდა, სამაგიეროდ, სიზმრის წვეთები მოჰყვებოდა ძაფებს. ეფიმ ფეხით გაიარა ქალაქი, ბადისამარამ, ნახევრად მძინარემ, ხელში - ვიოლინოთი, კანზე - წყალმცენარეების



სუნით და ტბის პირას მივიდა. ბებია ასწავლა, სად უნდა ჩაემარხა სიბმრები, რომელთა აღმოცენებაც უნდოდა. შელოცვაც ბებია დაუტოვა – ყვითელ, გასანთლულ ფურცელზე გაკრული ხელით ნაწერილი.

ბადე იქვე, ტბაში გადააგდო, შროშანებთან ახლოს. შინ შიშველი დაბრუნდა. უკვე თენდებოდა.

\* \* \*

„არ ვიცი, მოუყოლია თუ არა შენთვის მამას, რომ იმ დღეს, როცა ბებია თორმეტი წლის გახდა, ტბების ქალაქში ომი დაიწყო. წითელი მთებიდან მოსულები ყველას ხოცავდნენ. ბებიას მშობლები ქალაქის მთავარ მოედანზე ცოცხლად დაწვეს. თავად ბებია სასწაულებრივად გადარჩა. სხვენში, არსად გამავალი კარის უკან, სიცარიელე აღმოაჩინა და იქ შეაფარა თავი. სახლიდან ვერ გამოდიოდა, სუნთქვასაც კი იკავებდა, ღობე-ყორეს მოდებულ ჯარისკაცებს მისი არსებობა რომ არ შეემჩნიათ. სიბნელეს თვალი რომ შეაჩვია, დაინახა, რომ ობობის ქსელში იყო გახვეული. ბებია ობობებმა შეიფარეს. გიკვირს, არა? მეც გამიკვირდა. თურმე ობობები კვებადნენ იქამდე, სანამ წითელი მთებიდან მოსულთა ჯარებმა ქალაქი არ დატოვეს. რომ წარმოვიდგენ, როგორ დგას ჩემი პატარა ბებია ორ კედელს შორის, შეშინებული, გალეული და ელოდება, როდის იპოვიან, მოედნიდან კი მისი ოჯახის წევრების განწირული კვილი აღწევს, თმა ყალყზე მიდგება. ამ დროს ობობები მოდიან, დიდი და პატარა ობობები, მოაქვთ საჭმელი, ფოთლებით სუფთა წყალი, რომ გოგო შიმშილით არ მოკვდეს... აი, გიყვები და თვითონაც არ მჯერა.

იცი, რა მითხარი, დედა – შენ რას ფიქრობდი, ბებიაჩემის მოქარგულ თავშალში რომ გამახვიე, როცა მამაჩემის გვამი შენს ტყისპირა ქოხში მოასვენეს, მტრის ტყვიით კეფაგახვრეტილი და რაზმის მეთაურს ჩემი თავი გამოატანე. შენ არ იცნობდი ბებიას. რა იცოდი, მიმიღებდა თუ არა, ან როგორ გამზრდიდა?

ის სხვენი, სადაც ბებია შეიფარეს ობობებმა, ახლაც დაკეტილია. არ ვალაგებ, ქსელებისგან არ ვწმენდ. მან ასე დამიბარა“.

\* \* \*

თეოდორი რომ პირველად მოვიდა, შუალამე უკვე გადასული იყო. მოვიდა და ფანჯარასთან დადგა. ეფის არაფერზე უფიქრია, კარი გააღო და მის შემოსვლას დაელოდა.

მას შემდეგ კვირაში ორჯერ მოდიოდა თეოდორი, ოთხშაბათს და პარასკევს. თან უცხო მინების სურნელი მოჰქონდა და კატარინას ეჭვების გემო, რომელიც ეფის ჯერ ენას უმწარებდა, მერე კი წვეთ-წვეთად ავსებდა შხამით. თეოდორის კანში მზე ცხოვრობდა, დიდი და მწველი – ისეთი, ბებია რომ ახსენებდა წითელ მთებზე მოყოლისას. ეფის არასოდეს უკითხავს, სად იყო მისი სამშობლო, ან ვინ დატოვა ზღურბლთან, როცა კარი გამოიხურა და იალქნებმოქარგულ გემს გამოჰყვა, ან ვინ ცხოვრობდა მის მოგონებებში. ძილის გასატეხად კატარინაზე ფიქრიც ყოფნიდა.

ეფი დროდადრო მიდიოდა ტბის პირას, იქ, სადაც სიბმარი ჩარგო და მთის ბალახების



ნაყენი მიჰქონდა. სიზმრის ფესვებთან ერთმანეთს ხვდებოდნენ მთა და ტბა. ეფი ხის ამონწვერას ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. სამი თვე, სამი კვირა და სამი დღე ისე გავიდა, მიწის საფარი არც შეტოკებულა.

თეოდორი ახლა უკვე კვირაში ერთხელ მოდიოდა – ოთხშაბათობით. პარასკევობით კატარინა მართავდა საბეიმო ვახშმებსა და სამაგიდო თამაშებს მეგობრებისთვის და ეფის სხვა არჩევანი არ ჰქონდა, სახლში უნდა მჯდარიყო და მხოლოდ საკუთარი თავისთვის დაეკრა. ყოველ პარასკევს, ცხრას რომ თხუთმეტი ნუთი დააკლდებოდა, ეფი როიალს ხდიდა თავს, დაკვრას იწყებდა და ხვდებოდა, რომ კაცი, რომელიც თვალეში ჩამდგარი სიკეთის გამო შეუყვარდა, მისი ცხოვრების ყველაზე დიდ ბოროტებად იქცა.

იმ ოთხშაბათს თეოდორი ჩვეულებრივზე გვიან გამოჩნდა. ეფი დაღლილი იყო და ფერმკრთალი. ტანზე თეთრი ბენარი შემოეხვია და კიბეზე მოჩვენებასავით იდგა. თეოდორი ბენარს მისწვდა. ეფის არაფერი უთქვამს, შებრუნდა და კიბეს აუყვია. ხელში გასაღებების აცმა ეჭირა. თეოდორი აქამდე არასოდეს ყოფილა ეფის სახლის სხვენში, არც ამდენი აბლაბუდა უნახავს ოდესმე, მსხვილი და წვრილი, ძველი და ცინცხალი, მტკიცე და გაცრეცილი.

- ხელები გაშალე! - უთხრა ეფიმ.

თეოდორი დაემორჩილა. ეფი თითქოს არ იყო საკუთარი თავი, უფრო გამოფიტულ არსებას ჰგავდა, რომელსაც ობობებმა სასიცოცხლო ენერჯია გამოაცალეს.

- ფეხებიც! - განაგრძო ეფიმ და აბლაბუდა მოზიდა. ჯერ მაჯებზე შემოახვია სქელ ფენად, მერე კოჭებზე.

- რას აკეთებ? - თეოდორმა თავის გათავისუფლება სცადა.

- მშვიდად იყავი! - ცივად თქვა ეფიმ და ბენარი ჩუმი შრიალით დაეცა იატაკს, - ოდესმე შვილს ვეტყვი, რომ სიყვარული, რომლის გამოც ის მოეფლინა ქვეყანას, უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე გალაქტიკა, უფრო მტანჯველი, ვიდრე იანვრის ყინვა ჩრდილოეთის ზღვაზე და უფრო ღრმა, ვიდრე მამამისის თვალები.

\* \* \*

„ძვირფასო დედა,

ამბობენ, რომ ყველა იხდის შეცდომების საფასურს. მითხარი, შენ როგორ გადაიხადე? ვერ დავიჯერებ, რომ არასოდეს ჩაგესმოდა ჩემი ტირილი - არც მაშინ, როცა ტყე იძინებდა, არც მაშინ, როცა წყაროდან მომავალ ბავშვებს ხედავდი, არც მაშინ, როცა სხვა კაცები გიყვარდებოდა, ჰო, გიყვარდებოდა - ერთი ღამით შეყვარებაც სიყვარულია. მითუმეტეს, სიყვარულია სამი თვით, სამი კვირითა და სამი დღით შეყვარება. ასე გადავწყვიტე. სხვა გზა არა მაქვს. თეოდორს ვუყვარდი“.

\* \* \*

თებერვლის ოცდამეცხრე დღეს თეოდორი იგივე გემს გაჰყვა, რომლითაც ოდესღაც ჩამოვიდა. ახალ უბანს, რომელსაც კატარინა აშენებდა ქალაქის განაპირა მხარეს, იმ ღამით კედლები დაეზარა.

კედლები დაეზარა ეფის სახლსაც, როცა ექიმმა მისი საშოდან გამომავალი შავი სითხის დანახვისას სიმწრით მოიკვნითა ტუჩი. არა, სისხლს ვერ ექნებოდა ასეთი ფერი. ეფი არ ტიროდა, არ კიოდა, ხმას საერთოდ არ იღებდა. ცემენტით გაქვავებულს ხელები მოემუშტა, ფეხები გადაეშალა და ინგრეოდა, ინგრეოდა ისე, როგორც კატარინას ნაშენი სახლები შროშანებიანი ტბის გადაღმა.

ექიმი მანამდე დაჰყურებდა გაშეშებულ სხეულს, სანამ სითხე კიდევ უფრო არ გაბლანტდა. ეფის საშოდან ჯერ ერთი თობა გამოძვრა, მერე მეორე, მერე მესამე და ასე, დაუსრულებლად. ჯადარაშერეული მეანი, რომელმაც ქალაქს ეფის გარდაცვალების ამბავი ამცნო, იფიცებოდა, რომ მანამდე მსგავსი არაფერი უნახავს და არც წიგნებში ამოუკითხავს.

ეფის სხეული ტბის პირას დაწვეს, დასავლეთის კარიბჭესთან, იქ, სადაც ადრე მისი ნაბიჯების გადადგმისას მღეროდნენ ქარის მიმართულებით გვირგვინებგადახრილი, თეთრი შროშანები.

## ილარია

ზღვა გამთენიისას მოვიდა ოქროსფერ ყურესთან, თან მზის მცხუნვარე სხივები და უცხო ენაზე მომღერალი სირინოზების ხმები მოიტანა, ცოტა ხანს დადგა, მერე უკან დაიხია და ყურეში ნავი დატოვა. დილა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდის ქალაქში, არაფრით ჰგავდა შემოდგომის დღის დასაწყისს. ცხელოდა და ჰაერი თითქმის არ მოძრაობდა.

ქვიშას შერჩენილი ნავი, რომელიც ვიღაცას საგულდაგულოდ მოერთო ფორთოხლის ყვავილებით, შვიდ საათზე სარბენად და საცურაოდ გამოსულმა ჰანს ჰალდორ ალრიკსონმა იპოვა. იმ დღიდან, თექვსმეტი წლის რომ გახდა, ის ყოველ დილით, მზის ამოსვლამდე იწყებდა ვარჯიშს. დაფიცებული ჰქონდა, ბაბუამისის – ჰანს ჰალდორ ალრიკსონ უფროსის რეკორდი გაეუმჯობესებინა და ცხრა მზის არქიპელაგის ბოლომდე შეუსვენებლად გაეცურა. ჩვიდმეტი წლის ჰანს ჰალდორი უკვე ახერხებდა მარგალიტის კუნძულამდე მისვლას, თვრამეტი წლისა – ქარვის კუნძულს აღწევდა. გაზაფხულზე ცხრამეტი წლის ხდებოდა და თავგამოდებით ემზადებოდა ბურმუხტის კუნძულის დასალაშქრად. წელს ვერ ჩააგდებდა. ქალაქში ხშირად ლაპარაკობდნენ, რომ ასე თუ გააგრძელებდა, ოცდახუთი წლისა აუცილებლად მოახერხებდა, დაეჩრდილა ბაბუის დიდება, რომელმაც მხოლოდ მარგალიტის სანაპირომდე შეძლო გაცურვა და ისიც ოცდაათი წლის ასაკში.



დანახვით დაბნეულმა ჰანს ჰალდორმა ჯერ გაიფიქრა, ნავი შეემონმებინა, მერე კი გადანყვითა, მეთევზეები მოეყვანა. ასე აჯობებდა. არავინ იცოდა, რა აღმოჩნდებოდა ნავში, ჰანს ჰალდორს კი თავისი რეპუტაცია ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა და ეჭვქვეშ ვერ დააყენებდა.

მეთევზეებს შორის უხუცესმა, ბაბუა რამუნასმა, რომელიც სიმშვიდითა და სიბრძნით მთელ ქალაქში იყო ცნობილი, ფრთხილად გადანია ფორთოხლის რტოები და ნავში ჩაიხედა. დანარჩენები მოშორებით იდგნენ და ელოდნენ, რას იტყოდა რამუნასი.

ბაბუა რამუნასი წამიერად შედგა, მერე მზისგან გახუნებული პერანგის სახელოები ისე აიკეცა, თითქოს ზღვაში ბადის გადასადგებად ემზადებო და ნავისკენ დაიხარა. ჰანს ჰალდორი მხოლოდ ბურგიდან ხედავდა მას და როცა მეთევზეთა უხუცესი წელში გაიმართა, ახალგაზრდა ვაცი მიხვდა, რომ მოხუცის მზით დამწვარ ხელებს დიდი სიფრთხილით ეჭირათ ვიღაც თუ რაღაც.

- აქაური არ არის, - გაისმა რამუნასის ხმა, - სამხრეთის სანაპიროებიდანაა.

მეთევზეები შეთანხმებულელებით დაიძრნენ მისკენ.

- რა ლამაზია! - შესძახა ერთმა - ნეტავ ვინ გაიმეტა!

- რა უნდა ვუყოთ? - იკითხა მეორემ.

- ზღვას დავუბრუნოთ, - თქვა მესამემ, - ქალაქში ნუ შევიყვანთ, ხელს მაინც არავინ მოჰკიდებს. ყველამ იცის, რომ უცხოტომელი ბავშვის შვილება წყევლაა.

მეთევზეები აყაყანდნენ. ბაბუა რამუნასი არაფერს ამბობდა. ჩემად დასცქეროდა ბავშვს, რომელსაც ჰანს ჰალდორი ვერ ხედავდა.

- დღეების იქნება, - თქვა ბოლოს მან და ჩვილს ჯვალის სახვევი გაუხსნა, - გოგოა.



- ზღვას დაუბრუნოთ, - გაიმეორა მესამე მეთევზემ, - მით უმეტეს, გოგო ყოფილა. აქ მაინც ვერ გადარჩება, ბადის გამლასაც კი ვერ ისწავლის. ზღვამ გადანყვიტოს, რა ბედი ეწევა.

მის იდეას მხარდამჭერები მალევე გამოუჩნდნენ, მაგრამ ბაბუა რამუნასი ბავშვის ზღვაში გაშვებას არ ჩქარობდა.

ჰანს ჰალდორმა სამი ნაბიჯი გადადგა, მოხუც მეთევზეს გვერდით ამოუდგა და ბავშვს დახედა.

გოგონას მუჭი კანი და ბეთისხილისფერი თვალები ჰქონდა. არ ტიროდა. ბაბუა რამუნასის მკლავებში მშვიდად იწვა და მოთმინებით ელოდებოდა, როგორ გადანყვიტდნენ მის ბედს მეთევზეები, რომელთაც ზღვაში გასვლა ეჩქარებოდათ და ცდილობდნენ, უსიამოვნო მოულოდნელობა სასწრაფოდ მოეშორებინათ თავიდან.

ჰანს ჰალდორს მანამდე არასოდეს ეფიქრა პასუხისმგებლობებზე. ერთი ჩვეულებრივი, თვრამეტი წლის ბიჭი იყო, რომელსაც ზღვა უყვარდა, ზღვა და გოგოები, ყველაზე მეტად კი ოქროსთმიანი ეგლე, ყოველ დილით სურნელოვანი ფუნთუშებით სავსე კალათით რომ ჩაივლიდა მის ქუჩაზე და უზარმაზარ, მწვანე ჭიშკარში უჩინარდებოდა. ეგლე მთელი ქუჩის ბიჭებს უყვარდათ, თუმცა ჰანს ჰალდორს სჯეროდა, რომ თუ მეცხრე კუნძულამდე ცურვით მიაღწევდა, ეგლე მას აირჩევდა. ამიტომ ჩქარობდა, ამიტომ დგებოდა ყოველდღე მზის ამონათებად. ჰანს ჰალდორს, რა თქმა უნდა, უყვარდა ბავშვები, როგორც ბევრ სხვას, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ იბრდებოდნენ ისინი, მით უმეტეს, დედისერთა გახლდათ და არც არასოდეს

გამოეცადა, რას ნიშნავს, როცა ვინმეზე ზრუნავ. ჰანს ჰალდორი ყოველთვის თვითონ იყო მთელი ოჯახის ზრუნვის, სიამაყისა და სიყვარულის ობიექტი. ბიჭმა, რომელსაც შინაური ცხოველიც კი არასოდეს ჰყოლია, უცებ წარმოიდგინა ტალღებზე მოქანავე ნავი და მზისგან დასაცავად ფორთოხლის ყვავილებს შეფარებული პატარა გოგონა, სახეს რომ ორი ბეთისხილისმაგვარი თვალი უნათებდა და მიხვდა, რომ თუ მის თვალწინ ბავშვს ზღვაში დააბრუნებდნენ, სიკვდილამდე, ყოველ ღამით, ეს ბეთისხილები და ეს დილა დაესიზმრებოდა, მზე კი, რომელიც სანახევროდ ჩანდა ტალღებიდან, არასოდეს ამოვიდოდა ბოლომდე.

- ზღვამ უკვე გადანყვიტა, - თქვა უცებ მან. კამათში მის ჩართვას არავინ ელოდა. მეთევზეებმა გაოცებით გადახედეს ბიჭს. მან ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, - მე ასე მგონია. მგონია, რომ ზღვამ გადანყვიტა და ბავშვი ჩვენთან მოიყვანა.

მეთევზეები გაჩუმდნენ. ბაბუა რამუნასს გაეღიმა.

- ნავი მე ვიპოვე. პასუხისმგებლობაც ჩემზეა. მე წავიყვან, - მეთევზეთა უხუცესისკენ მიტრიალდა ჰანს ჰალდორი, - ბავშვი ჩემია. უფლება არ გაქვთ, ზღვას დაუბრუნოთ.

ბაბუა რამუნასმა ბიჭს შეხედა. ის ყოველ დილით უყურებდა, როგორ დარბოდა ჰანს ჰალდორი ამომავალი მზის სანაპიროდან ჩამავალი მზის სანაპირომდე, ხედავდა, როგორ დადიოდა თევზის ბაზარში დედასთან ერთად, როგორ უღიმოდა გოგოებს, როგორ იცვლებოდა ეგლეს დანახვისას, მაგრამ მისი თვალები არასოდეს ენახა. დიდი და კეთილი თვალები ჰქონდა ჰანს ჰალდორს. შეიძლებოდა ამ თვალების ნდობა.

- გოგონას ილარია ჰქვია, - უთხრა ბაბუა რამუნასმა, - სამკლავურზე აწერია სახელი.

ჰანს ჰალდორმა თავი დაუქნია მოხუცს და ბავშვი გამოართვა.

- ეგლე რას იტყვის? - ჩუმად იკითხა მეთევზეთა უხუცესმა და ბიჭს მხარზე ხელი დაადო.

ჰანს ჰალდორმა გოგონას დახედა. ილარიას ჩასძინებოდა. მშვიდად და თანაბრად სუნთქავდა. გრძელი, ხშირი წამწამები მზით დამწვარ ლოყებზე ეფინა და ფორთოხლის სურნელს აფრქვევდა.

- არ ვიცი, - უხერხულად ამოილაპარაკა ბიჭმა და მოხუცს შეხედა, - მამაჩემი ამბობს, რომ უნდა ვენდობოდეთ მათ, ვინც გვიყვარს. ასე არ არის, ბაბუა რამუნას?

**ჩანანერი თეთრი ღვინის ბოთლიდან.**

**ნაპოვნია მარგალიტის კუნძულის სანაპიროზე.**

„ის, ვინც პირველი მოვიდა ჩემთან, ჩემს ნავში, ჩემზე უფროსი იყო, სამი წლით. მაღალი, განიერი მხრებით, უხეში თმით. მე ცამეტის ვიყავი, ის თექვსმეტის. მიყვარდა.

მოვიდა მზის ჩასვლისას. მანამდე არაფერი უთქვამს, არასოდეს. ერთმანეთს თევზის ბაზართან ვხვდებოდით. როცა გვერდით ჩავევლიდი, ვგრძნობდი, რომ სულერთი არ ვიყავი მისთვის. ვუყვარდი.

მოვიდა და პერანგის კალთით ფორთოხლები მომიტანა. ჩემთვის არავის უსწავლებია, მაგრამ ვიცოდი, რომ იმ მხარეში, სადაც დავიბადე, ფორთოხლებს ჯერ ხელისგულებით სრესდნენ, არბილებდნენ და მერე აცლიდნენ კანს. მან თქვა, რომ საშინლად ლამაზი ვარ, როცა ფორთოხალს ხელებს შორის ვატრიალებ. მან თქვა, რომ საშინლად ვუნდივარ, როცა კანზე ფორთოხლის სუნი ამდის.

მერე მე ნავის ფსკერზე ვინჯე, ის ფორთოხლებს ჩემსა და მის ტანს შორის სრესდა და ფრთხილად, ფრთხილად მკოცნიდა ღია თვალებზე.

როცა მან ჩემში შემოაღწია, მთვარე გადიდდა, გადიდდა და ცას გადაეფარა. მე მომეჩვენა, რომ მკლავები დამიგრძელდა და ჯერ მხრებზე შემოვეხვიე მას, მერე ბურგზე, მერე თეძოებზე და როცა ფეხის მოსახარს მივწვდი, მთვარე მოირკალა და ბღვას შეეხო.

ნაპირთან გათენებამდე დავბრუნდით. როცა ის ნავიდან გადავიდა, მე უკვე ვიცოდი, რომ აღარასოდეს მოვიდოდა უკან. ასეთი იყო მისი სიყვარული. ქვიშაზე ნაკვალევაც კი არ დაუტოვებია.

მზის ამოსვლისას მარგალიტის კუნძულს მივადექი, მისი მოტანილი ფორთოხლის ნარჩენები დავწვი და სამუდამოდ დავივიწყე, რა ერქვა მას, ბიჭს, რომელიც პირველი მოვიდა ჩემთან“.

ეგლემ ჰანს ჰალდორი იქამდე აირჩია, სანამ ბიჭი ბაბუის რეკორდის გაუმჯობესებას



მოახერხებდა. აირჩია მაშინ, როცა დილაადრიან, სავარჯიშოდ წასული ჰანს ჰალდორი მკერდზე მიკრული პატარა გოგონათი დაბრუნდა ქალაქში, ქუჩა უჩვეულოდ ნელა გაიარა და მძიმე ჭიშკარი ისე ფრთხილად მიხურა, როგორც არასდროს. ეგლეს ყოველთვის სჯეროდა, რომ მის სიმპათიურ მეზობელს კეთილი გულიც ჰქონდა და ელოდებოდა რაღაცას, რაც მის რწმენას განამტკიცებდა. მას არ სჭირდებოდა რეკორდსმენი, არქიპელაგის დამპყრობელი ქმარი, არც ალრიკსონების ოჯახის სიმდიდრე აინტერესებდა. ეგლემ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო, კარგად იცოდა, რომ ყველაფერი ქრება, გარდა სიკეთისა, რომელსაც სხვებისთვის აკეთებ, გარდა სიყვარულისა, რომელსაც ადამიანების მიმართ განიცდი.

მეორე დილით, გამთენიისას, ეგლემ თავისი ნებით გადააბიჯა ჰანს ჰალდორის სახლის ზღურბლს და დარჩა.

ისინი ნოემბრის კვირა დღეს დაქორწინდნენ ოქროსფერ სანაპიროზე, იქ, სადაც ჰანს ჰალდორმა ილარიას ნავი იპოვა.

### **ჩანაწერი რომის ბოთლიდან.**

#### **ნაპოვნია ქარვის კუნძულის სანაპიროზე.**

„მეორე მეზღვაური იყო. პირველად იმ დღეს ვნახე. მარილის გემო და ძლიერი მკლავები ჰქონდა. მაშინ მოვიდა, როცა ყურესთან თევზებს ვაჭმევდი. ჩემს ნავს სულ ერთხელ უბიძგა და ზღვაში შეაყურა. მე კიჩოზე ვიჯექი ფეხებგამლილი და წყალს

ვეყურებდი. როცა თავისკენ მიმაბრუნა და მის ჩაცვნილ თვალებს, ფართო სახეს და ოფლით დაცვარულ შუბლს შევხედე, მივხვდი, რომ მის ცხოვრებაში არასოდეს არაფერი მომხდარა კარგი, რომ ერთადერთი, რაც მის გონებასა და სხეულს სიხარულს ანიჭებდა, პორტში ღუმის ჩაშვება იყო. მას არ უყვარდა ზღვა, არც მე ვუყვარდი.

– რამდენი წლის ხარ? – მკითხა, სანამ ნაპირს მივადგებოდით. არაფერი ვუპასუხე. მეძინებოდა. თავის გზაზე რომ წავიდა, ნავი მთვარის ბილიკისკენ მივაბრუნე და ფსკერზე დავწექი. არაფერს ვგრძნობდი, მხოლოდ ბარძაყები მტკიოდა.

დამესიზმრა, რომ კაცი, რომელმაც გამზარდა, თევზი იყო. თევზი იყო მამაჩემი და მდინარის დამშრალ კალაპოტში ფართხალებდა. თევზი იყო მდინარის კალაპოტი და მამაჩემი მედო თევზზე. მეჭირა ერთ ხელში დანა, მეორეში ჩანგალი და ვშიგნავდი თევზადქცეულ, ცოცხალ მამაჩემს, ის კი არ მაშორებდა თავის ჭრელ, ნათელ თვალებს და საყვედური არ სცდებოდა.

გარშემო თვალსა და ხელს შუა ხმებოდნენ ხეები, ხმებოდნენ, ფეხს იდგამდნენ და პორიბონტისკენ მიდიოდნენ. ცდილობდნენ, თავი გადაერჩინათ, მე კი ვიცოდი, რომ მათთვის შველა არ არსებობდა, გვალვას გადაეწვა დედამინა.

გემრიელი იყო მამაჩემის ხორცი და მარილიანი, მაგრამ წყურვილს არ ვგრძნობდი. წყალი, რომელსაც ნატრობდნენ, მე თვითონ ვიყავი. შემეძლო, გარშემო ყველა გადამერჩინა, მაგრამ არ მინდოდა“.



იოაკიმი იანვრის დასაწყისში ჩამოვიდა არდადეგებზე, იმ წელს, როცა ილარია თვრამეტი წლის გახდა. ის ყოველ საღამოს სეირნობდა, გაივლიდა მაგნოლიების ხეივანს, მეთევზეების უბანს და ოქროსფერ ყურესთან მიდიოდა – იქ, სადაც მოვარის ამოსვლისთანავე მოდიოდა გოგო, გრძელი, შავი თმითა და ზეთისხილისფერი თვალებით. იოაკიმს სმენოდა მის შესახებ. ყური მოეკრა, რომ წლების წინ ის ნავმა მოიყვანა ამ სანაპიროზე, ახლა კი, ღამდამოხებით, იგივე ნავს აფარებდა თავს ქალაქის მკვიდრ თუ ცხრა მთას იქიდან ჩამოსულ კაცებთან ერთად. ყველამ იცოდა, როგორ ცხოვრობდა ილარია, მაგრამ მასზე ხმამაღლა ლაპარაკს მაინც ერიდებოდნენ. იმ კაცის ეშინოდათ, რომელმაც გაზარდა, კეთილი და მამაცი კაცის, მთელი ცხოვრება რომ ცდილობდა ცხრა მზის არქიპელაგის ბოლო კუნძულამდე მიცურვას.

ილარია ღამაში იყო. იოაკიმი შორიდან აკვირდებოდა მას და ვერაფრით ხვდებოდა, რა ესაქმებოდა ამ მომღიმარ, ფერადვაბებიან გოგოს ათას ვიგინდარასთან. ბიჭს ყოველთვის ეგონა, რომ გოგოებს კარგად იცნობდა, მაგრამ ილარიას მეტისმეტად უცნაური ღიმილი ჰქონდა იმისთვის, რომ ვინმეს მისი ბოლომდე ამოცნობა მოეხერხებინა და ეს ღიმილი მოსვენებას არ აძლევდა იოაკიმს.

– ტყუილად უთვალთვალე მაგ გოგოს, – უთხრა ერთხელ თავისმა მასპინძელმა, ძია სოლომონმა, რომელსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ სანაპიროზე წასულ იოაკიმს ყოველთვის ერთი და იგივე წიგნი მიჰქონდა თან, სანიშნე კი არა და არ ინაცვლებდა, მყარად ინარჩუნებდა ადგილს ოთხმოცდამეჩვიდმეტე და ოთხმოცდამეთვრამეტე გვერდებს შორის, – დაანებე თავი. ერთი ხელიდან წასული გოგოა.

იოაკიმი დაიბნა.

– მე... რა შუაშია ილარია, სხვას ვხვდები.

– რა მნიშვნელობა აქვს, ვის ხვდები, თუ ყოველ საღამოს სხვის სანახავად დადიხარ, – მხრები აიჩეჩა სოლომონმა, ამოიოხრა და დააყოლა, – არადა, რა კარგი ხალხის გაზრდილია ეგ გოგო...

**ჩანანერი პიტნის ლიმონათის ბოთლიდან.**

**ნაპოვნია ზურმუხტის კუნძულის სანაპიროზე.**

„კაცს, რომელმაც მითხრა, რომ მარტო მისი ვყოფილიყავი და ძალიან ბევრ ფულს გადამიხდიდა, ცოლი და სამი შვილი ჰყავდა. გამეცინა. არ ესმოდა, რომ ფულის გამო არავისთან დავწოლილვარ. უბრალოდ, ვიდაცას ვეძებდი, ვინც შემეყვარებოდა და ვისაც შევეყვარებოდი, შემეყვარებოდა ისე, რომ ჩემი სიყვარული ზღვის ფსკერზე ჩასვლას შემაძლებინებდა, შევეყვარებოდი ისე, რომ მისი სიყვარული ხმელეთზე დამაბრუნებდა. მე მჭირდებოდა ასეთი სიყვარული, სხვანაირად ვერ გადავრჩებოდი.“

ვუთხარი, რომ სხვისი კუთვნილი არაფერი მინდოდა, არც მას უნდა ვდომებოდი. ვუთხარი, რომ მისი სამი გოგონა არ იმსახურებდა მამას, რომელსაც მათი დედა მობეზრდა, ვუთხარი, რომ არაფერში მჭირდებოდა მისი ფული, ჩემს ოჯახს ყველაფერი ჰქონდა, უზარმაზარი სახლიც, სიმდიდრეც და ჩემს გამო გაშენებული ფორთოხლის ბაღებიც, ქალაქის სამხრეთით.

ვუთხარი, რომ უნდა წასულიყო.

მან ვერაფერი გაიგო, მაგრამ წავიდა.

მე ისევ დამესიზმრა გვალვა, დამესიზმრა, რომ გადამხმარ ხეივანში ფეხებით ეკიდნენ დედაჩემი – ქალი, რომელმაც გამზარდა, და დედაჩემის და მამაჩემის შვილები, ჩემი დები – რაქელი და დოროთეა. თევზები იყვნენ დედაჩემი და ჩემი დები და მათი შეტრუსული თმის ქვეშ მიმჭრალი ხანძარი ხრჩოლავდა. და მოფრინავდნენ თოლიები ყოველი მხრიდან და კორტნიდნენ თევზებს – ჩემს დებსა და დედაჩემს.

და მე ვიყავი წყალი, რომელიც მიწის ქვეშ მიედინებოდა და არ ცდილობდა მიწის ზედაპირზე ამოსვლას, წყალი, რომელსაც აღარ უყვარდა ადამიანები“.

ილარია წავის კიროზე იჯდა და ზღვას უყურებდა. საღამოვდებოდა. დასავლეთიდან ქარი მოჰქონდათ პორტისკენ დაძრულ თოლიებს.

სანაპიროს ჩრდილი დაეცა.

– გინდა?

ილარიამ მალლა აიხედა. იოაკიმს ხელში ფოთლებში გახვეული შემწვარი თევზი ეჭირა.

– თევზს არ ვჭამ.

– რა უცნაურია. აქ ყველა თევზს ჭამს.

– ჰოდა, ძალიან ცუდად იქცევიან. არ შეიძლება, შეჭამო ისინი, ვისთანაც წყალს იყოფ.

იოაკიმი ქვიშაზე დაჯდა.

– დიდი ხანია, არ ჭამ?

– არასოდეს მიჭამია. ბოგჯერ მგონია, მე თვითონ ვარ თევზი. როგორ უნდა შევჭამო?

იოაკიმს გაეცინა.

– აქ შენზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ეგ არავის უთქვამს.

ილარიამ წარბები ასწია.

– მაინც, რას ამბობენ?

– ამბობენ, რომ კაცებს ხიბლავ და ნავში იტყუებ.

– და როგორ ვიტყუებ?

– აი, ეგ უკვე აღარ ვიცი.

ილარია ადგა და იოაკიმს ზემოდან დახედა.

– იმისთვის მოხვედი, რომ გაიგო, როგორ ვიტყუებ კაცებს ნავში?

იოაკიმმა თავი დახარა.

- ყველა კაცი, ვისაც ოდესმე ჩემს ნავში ფეხი დაუდგამს, თავისით მოვიდა. არასოდეს მიცდია, ვინმე მომეხიბლა, მით უმეტეს, ძალით არავის არსად მივათრევ. მეთევზე არა ვარ, უკვე გითხარი.

ილარია ადგა და ნიჩაბი აიღო.

- წამოხვალ? - მოუბრუნდა იოაკიმს, - უბრალოდ, გაგასეირნებ.

ბიჭი შეყოყმანდა. ილარიამ ხმამაღლა გაიცინა.

- ვიცი, ვისაც ხვდები, - თქვა მან, ნავიდან გადმოიხარა და სახე ისე ახლოს მიიტანა იოაკიმის სახესთან, რომ ბიჭს მისი ხშირი სუნთქვა ეგრძნო და ფორთოხლის სუნი, გოგოს კანს რომ ასდიოდა, - ვიცი, გაუჭირდება, დაიჯეროს, რომ ჩემს ნავში მხოლოდ მზის ჩასვლის სანახავად ჩაჯექი, მაგრამ კაცი, რომელმაც გამზარდა, ამბობს, რომ მათ, ვინც გვიყვარს, უნდა ვენდობოდეთ. ასე არ არის?

**ჩანაწერი აბსენტის ბოთლიდან.**

**ნაპოვნია საფირონის კუნძულის სანაპიროზე.**

„არც მე მეგონა ოდესმე, არც სხვებს, ვინმეს მხოლოდ გასასეირნებლად თუ

ჩავისვამდი ნავში. ეს ბიჭი მომწონს. ისეთი გამჭვირვალე თვალები აქვს, როგორც ჩრდილოეთის ცაა გამთენიისას. მომწონს, რომ სულ კითხულობს. მეჩვენება, რომ ადამიანები, რომლებიც ბევრს კითხულობენ, სხვა ადამიანებზე კარგები არიან, მაგრამ შეიძლება, მხოლოდ მეჩვენება.

კაცი, რომელიც ნაპირთან მელოდა, როცა იოაკიმი ხმელეთს დავუბრუნე, იყო ხე, გახმობის პირას მყოფი, მოუხეშავი ტოტებით და დამპალი ფესვებით, რომელიც ვეღარასოდეს გამოიღებდა ნაყოფს. და მე მესიზმრა, როგორ ამოვთხარე მიწიდან იგი, დავჩეხე და ცეცხლს შევუკეთე. და დიდხანს ენთო ცეცხლი, რომელსაც სიძულვილი ერქვა. და მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც ხელებს ითბობდნენ ჩემს დანთებულ ცეცხლზე გვალვაში, რადგან არ ჰყოფნიდათ თავიანთი წილი სიძულვილი და ითხოვდნენ მეთს.

და მე ვიყავი წყალი, რომელიც იქცა გუბედ და დადგა“.

ჰანს ჰალდორი იქამდე გარდაიცვალა, სანამ ბაბუის, ჰანს ჰალდორ უფროსის რეკორდის გაუმჯობესებას შეძლებდა. ის ერთ დილით, მზის ამოსვლამდე დაიხრჩო ძონის კუნძულის სანაპიროსთან. სწორედ იქ გამორიყა ზღვამ მისი გვამი.

- არ უნდა მოგეყვანათ სახლში ეს გოგო, ყველანი ვეუბნებოდით შენს ქმარს თავის დროზე. ყველაფერი მისი ბრალია, - ეგლეს გვერდით ჩამომჯდარი მეზობლის სიტყვებში თანაგრძნობის ნატამალიც არ იგრძნობოდა.



- გეყოფა, ელეონორ! - ჩუმად, მაგრამ მკაცრად თქვა ეგლემ, - ილარია ჩვენი შვილია, ისე, როგორც დოროთეა და რაქელი.

- შენც იცი, რომ ასე არ არის. გაუშვი ეს გოგო სახლიდან, ეგლე, გაუშვი და შენს ჭერქვეშ ბედნიერება დაბრუნდება. ისედაც მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს!

კარს აკრულ ილარიას შეეცოდა დედა, ქალი, რომელმაც ისე გაზარდა, ერთხელაც არ უთქვამს ხმამაღალი სიტყვა მისთვის. შეეცოდა დებიც, რომლებიც დილაობით მის ნავთან მიდიოდნენ და სთხოვდნენ, სახლში მშობლების გადვიძებამდე დაბრუნებულიყო, შეეცოდა მამა, რომელიც საკუთარი ოცნების ახდენას შეეწირა და ახლა ხელფეხშეკრული იწვა მიწაში ქალაქის სასაფლაოზე - წესი იყო ასეთი - ის, ვინც დაიხრჩობოდა, ხელფეხშეკრული უნდა დაემარხათ, რომ ვერც სხვა სიცოცხლეში გაეხედა ცურვა. ილარია მიხვდა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ამის გამო ეცოდებოდა მამა, კაცი, რომლის მზით დამწვარმა მკლავებმაც ოდესღაც სიკვდილს გადაარჩინეს.

იმ ღამით ილარია სამუდამოდ წავიდა სახლიდან. წავიდა მიტკლის თეთრი პერანგისამარა. სხვა არაფერი წაუღია. ქალაქი ფეხშიშველმა გაიარა და ოქროსფერ ყურესთან მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მგლოვიარე ქალაქის ქუჩებს მხოლოდ მთვარე ანათებდა, მეზობლებს არ გამოჰპარვიათ ილარიას წასვლა. მათ, ყოვლისმცოდნეებმა, ისიც იცოდნენ, რომ ის აღარასოდეს დაბრუნდებოდა სახლში, სადაც ოდესღაც მიიყვანა ჰანს ჰალდორმა, მამამ, რომელიც ილარიას უკვე აღარ ჰყავდა.

ყურეში, ნავთან იოაკიმი იდგა და ელოდებოდა.

- შენ აქ არ უნდა იყო, - უთხრა ილარიამ.

- რატომ გადანწყვიტე?

- მასთან უნდა იყო, ვინც გიყვარს.

- მასთან ვარ, ვინც მიყვარს.

ილარიას ტუჩის მარჯვენა კუთხე სადღაც გაექცა. ეს, ალბათ, ვიღაცას ღიმილად მოეჩვენებოდა, მაგრამ იოაკიმმა იცოდა, რომ სხვანაირი ღიმილი ჰქონდა ილარიას, სამხრეთის მზესავით ნათელი და ფართო.

- მატყუარა ხარ, - თქვა გოგომ ჩუმად, შებრუნდა და წყალში შეაბიჯა.

**ჩანაწერი ძმრის ბოთლიდან.**

**ნაპოვნია ძონის კუნძულის სანაპიროსთან.**

„კაცი, რომელმაც სასტიკად მცემა, ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა. თითქმის ყოველდღე ვხედავდი. ფულის სათხოვნელადაც ხშირად მოსულა მამასთან. დურგალი იყო. მამა მის შეჭედილ კუბოში ჩავასვენეთ და ისე დავმარხეთ. ჩემს ნავში ფეხი იმ ღამით შემოდგა, როცა სახლიდან წამოვედი. მის ხელებს სიკვდილის სუნი ასდიოდათ, მაშინაც კი, როცა მეფერებოდნენ. ვხედავდი მის ჩასისხლიანებულ თვალებს, მის ღია

პირს, ვგრძნობდი საშინელ ოხშივარს და ჩემს სახეზე მწვეთავ მის ოფლსა და ნერწყვს და მესმოდა მისი სიტყვები, რომ სულაც არ აღმოვჩნდი ისეთი, როგორსაც ელოდა, რომ სინამდვილეში, არაფერი შემძლება განსაკუთრებული.

ნაპირზე რომ გადავიდა და დალურჯებული თვალებით, გახეთქილი ტუჩითა და დაბეჭილი გვერდებით ნავში დამტოვა, მივხვდი, რომ ამიერიდან უარესის მოლოდინი უნდა მქონოდა, რადგან აღარ მყავდა მამა, რომლის არსებობაც, თურმე, მიცავდა, მიცავდა ისე, რომ თავადაც არ იცოდა ამის შესახებ.

დამესიზმრა, ზღვის ფსკერისკენ მივდიოდი და ვერაფერს ვხედავდი. მუქლურჯად ბნელოდა. მე მაინც მივცურავდი სიღრმისკენ და მჯეროდა, რომ რაღაც უნდა მეპოვა, მაგრამ არ ვიცოდი, რა.

იქ, ტალღებს შორის, სადაც მებადურთა ნავებისგან გადასარჩენად თავს აფარებდნენ თევზების ქარავნები, მზის მიმართულებით ირწეოდა მამაჩემი, ხელფეხშეკრული. მშვიდად სუნთქავდა, თითქოს ჩვენს ფორთოხლის ბაღში, ჰამაკში იწვა და ცას უყურებდა.

- მამა! - წამოვიძახე და მისკენ წავედი. მივცურავდი, ის ერთ ადგილას ლივლივებდა და მაინც ვერ ვუახლოვდებოდი. მინდოდა, ხელ-ფეხი გამეხსნა და გაეცურა, სხვა ცხოვრებაში მაინც მიეღწია არქიპელაგის ბოლო კუნძულამდე.

- რასაც შენ ეძებ, ვერ იპოვი, ილარია, - ჩამესმა მისი ხმა. შევხედე. ტუჩებს არ ამოძრავებდა, - ყველას თავისი ტვირთი აქვს, შენი ტვირთი კი ასეთია - ვერ იპოვო ის, რასაც ეძებ.

მთელი ძალით მოვუსვი მკლავები. ოდნავაც ვერ შევძელი მიახლოება.

- ნუ გეშინია, ილარია. ამით მე და შენ ერთმანეთს ვგავართ, - თქვა მამაჩემის ხმამ.

ცრემლები წამომივიდა.

და მე ვიყავი წყალი, რომელიც ჩაიდვარა მამაჩემის სხეულში“.

შუალამე გადასული იყო, როცა აღმართი სამმა თხელმა ლანდმა აიარა. წინ ილარია მიდიოდა, დები უკან მიჰყვებოდნენ. ფრთხილად მიაბიჯებდნენ, თითქოს მიწის გაღვიძება არ უნდოდათ.

მზის პირველი სხივები უკვე მოჩანდა შორეულ ჰორიზონტზე, როცა რაქელის ბარი ფიცარს შეეხო. გოგოებმა გაჭირვებით ამოათრიეს კუბო, მიწისგან განმინდეს და თავი ახადეს. პანს ჰალდორის სხეულს ხრწნა ჯერაც არ დაეწყო. საგულდაგულოდ შეკრული ხელები მკერდზე ეწყო, ზუსტად ისე, როგორც შუადღისას, ვერანდაზე ჩაძინებულს.

ილარიამ დანა გაშალა და ხელებსა და ფეხებზე შემოხვეული თოკები გადაჭრა.

- მშვიდად იცურე, მამა, - თქვა ჩუმად, - დაე, ყველა წყალი დანებდეს შენს მკლავებს, დაე, მსუბუქი იყოს შენი სხეულისთვის ყოველი მოქცევა და მიქცევა. დაე, ზღვა იყოს შენი სახლი - ლურჯი, როგორც შენი სიზმრები, უსაზღვრო, როგორც შენი კეთილი გული. ნუ გეშინია, მე და შენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

## **ჩანაწერი წითელი ღვინის ბოთლიდან.**

### **ნაპოვნია მალაქიტის კუნძულის სანაპიროსთან.**

„ძალა დავკარგე. საკუთარ სხეულს ვეღარ ვგრძნობდი. სიზმრებიც გამიგარეულდნენ. ჩვენს ქალაქში, სადაც ადამიანებმა დიდი ხნის წინ დაივიწყეს ერთმანეთი, მე არ მენერა ბღვის ფსკერზე ჩასვლა სიყვარულის სახელით. უკან ვერაფერი დამაბრუნებდა.

იმ საღამოს, როცა შემოდგომამ შემოაბიჯა და პორტის თოლიებმა სამხრეთისკენ იბრუნეს პირი, ჩემთან იოაკიმი მოვიდა. ის ხშირად მოდიოდა, ჯდებოდა ჩემს ნავში და ათას რამეზე მელაპარაკებოდა. ზოგჯერ ამბობდა, რომ ვუყვარდი, ამბობდა, რომ შესაძლებელია, ერთდროულად ორ ქალზე გიჟდებოდე და ორივეს მიმართ გულწრფელი იყო, მე კი ვიცოდი, რომ კაცები თავის მოსატყუებლად ბევრ რამეს ამბობენ და არ მჯეროდა მისი.

ჰო, ხშირად მოდიოდა იოაკიმი, მაგრამ ეს მოსვლა არ ჰგავდა სხვებს. მის კანს სხვანაირი სუნი ჰქონდა – ჩემი სუნი, სამხრეთის სუნი ასდიოდა ბიჭს, რომელიც სხვებზე მეტად მიყვარდა, მაგრამ ბოლომდე არა, რადგან არ შემეძლო, ბოლომდე მყვარებოდა კაცის ნახევარი და თვალი ამერიდებინა მეორე ნახევრისთვის, რომელიც სხვა ქალს ეკუთვნოდა.

იმ საღამოს მთელი იოაკიმი მოვიდა ჩემთან, ხელში ამიყვანა და ნავში ჩამანვინა. ორივეს გვფარავდა ჩემი დედამინამდე გაზრდილი თმა. ცხელოდა ჩემს თმაში, ჩემი ნავის ქვეშ კი წყალი დუღდა.

მისი შემოსვლა ჩემში ჰგავდა მტკნარი და მარილიანი წყლის შეერთებას. ის იყო მდინარე, რომელიც კალაპოტიდან გადმოვიდა და ჩემი უფსკრულები ამოავსო. წამიერად, როცა თვალეები დავხუჭე და ვიგრძენი, როგორ ამენტო ქუთუთოებში ყველა ვარსკვლავი, ვიფიქრე, რომ დილით, როგორც კი ინათებდა, შევძლებდი ბღვის ფსკერზე ჩასვლას, მაგრამ თვალგახელილმა დავინახე, რომ ისევ ორი სახე ჰქონდა იოაკიმს და ის, რომელიც მე მეკუთვნოდა ამ ორიდან, განთიადის მოახლოებასთან ერთად მკრთალდებოდა. როგორც კი ნაპირს მივადგებოდით, ის წავიდოდა, მე კი ცხოვრებას როგორღაც გავაგრძელებდი.

იმ ღამით არაფერი დამსიზმრებია. ისედაც ყველაფერი ვიცოდი.

მე ვიყავი ბღვა, რომელიც დაშრა“.

ილარია ივნიისის ბოლოს გაუჩინარდა. მისი ნავი ერთ საღამოს ჩვეულებრივად დაიძრა ნაპირიდან და აღარ დაბრუნებულა. გვამი ივლიისის დასაწყისში იპოვეს, ბღვამ გამოირიყა ოქროსფერ ყურეში. ცივი იარადით რამდენიმე ჭრილობა მიეყენებინა ვილაცას. ქალაქმა ერთი ამოიოხრა, აბა, რა ეგონაო, თქვა და მშვიდად განაგრძო ცხოვრება. მკვლელობის გამოძიებით თავი არავის შეუწუხებია.

– თქვენი შვილი ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, ქალბატონო, დამნაშავის ძებნა საიდან დავიწყეთ, არც ვიცით, – უთხრა ქალაქის პოლიციის უფროსმა ეგლეს, – თავის დროზე უნდა მიგეხედათ.


საქმე დაიხურა.



ილარია ფორთოხლის ბაღში დამარხეს დედამ და დებმა, მზის ჩასვლისას. მასთან გამოსამშვიდობებლად არავინ მისულა.

მეორე დღეს გვალვა დაიწყო.

## ელენა



–  
ელენა,  
შაქარს

კარგად მოურიე! ალუბლის ესენცია არ დაგავინდეს! არა, ასე არა, წაღმა მოურიე, უკუღმა საქმის კეთება არ შეიძლება! – ისმოდა ღია ფანჯრებიდან მამიდა ადელას ხმა და მოხალული შაქრისა და ალუბლის სურნელი მაისის ნიავთან ერთად ედებოდა

ქალაქის მთავარ მოედანზე გაშლილ კაფეებს, ფერად ატრაქციონებსა და საუკუნოვან ქვაფენილს.

- ელენა, ყველა დარაბა გააღე, მზე შემოვიდეს! ცომს მზე უყვარს, გადანე ფარდები! ხელით ვერ მიწვდები, ჯოხით გადანე! - არ ცხრებოდა მამიდა ადელა და საგულდაგულოდ მობეღილ ცომს გამოსაცხობად აძლევდა ფორმას.

არავის ახსოვდა, როდის დასახლდნენ მალევსკები იქ, სადაც ქალაქის ცენტრალური მოედანი მდებარეობდა. დანამდვილებით ვერავინ იტყოდა, ქალაქი უფრო ადრე აშენდა თუ მალევსკების ფერადდარაბებიანი, მწვანე სახლი, ალუბლის, ლიმონისა და კონახურის სურნელით და სახურავზე თავმოშონედ შემომდგარი ფლუგერით, რომელიც ძველი, ზღვისპირა ქალაქის ტრადიციის თანახმად, წყლიდან ამომხტარი თევზი იყო.

მალევსკების ცნობილი საკონდიტრო - „წითელი რვაფეხა“ - სწორედ იმ პირველმა მალევსკიმ გახსნა, რომლის სახელსაც სახლის აშენება უკავშირდებოდა ქალაქში გავრცელებულ ლეგენდებში. ოდესღაც მან რვაფეხას ფორმის, დაბრანული ფუნთუშების ცხობით დაიწყო და მალე კაფეს აბრაც ჩამოვიდა. იმ დღიდან მოყოლებული, კაფე და საცხობი მხოლოდ ერთხელ დაიხურა - როცა ომი დაიწყო და მტრის ჯარმა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ცოცხალი ადამიანებისგან კოცონი დაანთო. მაშინ მალევსკებმა საგულდაგულოდ ჩაკეტეს ფერადი დარაბები, რამდენიმე ღუმელი სარდაფში ჩაიტანეს, ფქვილის მარაგს თავი მოხსნეს და პურის ცხობას შეუდგნენ. აცხობდნენ დღისით და ღამით, აცხობდნენ შეუსვენებლად, თვალები ფქვილით ევსებოდათ, ფქვილს სუნთქავდნენ და ფქვილს აცემინებდნენ, აცხობდნენ

და კვებავდნენ ქალაქს, აცხობდნენ იქამდე, სანამ ერთ დღეს საფუარის მარაგის შესავსებად საიდუმლო გვირაბიდან გაპარულმა დამხმარემ ამბავი არ მოიტანა, რომ ომი დამთავრდა.

ქალაქში მალევსკები ყველას უყვარდა. არ არსებობდა ქალაქის მკვიდრი თუ სტუმარი, მათი ფუნთუშები, ნამცხვრები, ზღვის არსებების ფორმის საწუნნი კანფეტები და რძიანი ლიქიორი არ გაესინჯა. ისინი საგვარეულო რეცეპტებს ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას, არსად იწერდნენ, რომ ვინმეს არ ენახა. ამბობდნენ, რომ მალევსკების იავნანა ერთი დიდი, მრავალამბიანი ბალადა იყო გემოებისა და სუნების შესახებ, რომელსაც, როგორც წესი, ჩვილებს მამიდები უმღეროდნენ და რომელიც სამას სამოცდახუთ გრძელ ღამეს სწვდებოდა. ამბობდნენ იმასაც, რომ იავნანის დასრულების შემდეგ ყველა ერთი წლის მალევსკიმ უკვე იცოდა მთელი საგვარეულო საიდუმლო. ამასთან, თითოეულ მათგანს ევალეობოდა, საოჯახო რეცეპტებისთვის რაღაც ახალი შეემატებინა. ასეთი იყო მუდმივი განახლების წრე, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად ტრიალებდნენ მალევსკები, იქამდე, სანამ ახალშობილმა იაკუბ მალევსკიმ, ელენას მამამ, ხმამაღალი, გაუჩერებელი ტირილით არ გააწყვეტინა იავნანა მამიდას. მას აღარასოდეს დაუძინია საგვარეულო ბალადების თანხლებით. ოჯახის წევრები მიხვდნენ, რომ იაკუბი გამონაკლისი აღმოჩნდა. ბიჭს არ აინტერესებდა არც კონახურის, ლიმონის და ალუბლის ხეების მოვლის საიდუმლო, არც რეცეპტები, არც საკონდიტროს მუდმივ სტუმრებთან ურთიერთობა. იაკუბი სხვა იყო, სხვა, რომელიც თითქოს ვიღაცამ შემთავაზნა მარადიული წრის გასაწყვეტად. მალევსკებს სჯეროდათ, რომ ადამიანს ძალდატანებით ვერაფერს შეაყვარებ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არ იყვნენ და იაკუბის განსხვავებული ინტერესები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მათ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, ოჯახის წევრებმა მალევე დაანებეს თავი ბიჭს და ყველაფერი მის დას, ადელას გადააბარეს.

იაკუბს არც ოჯახის ფინანსური მდგომარეობა აკმაყოფილებდა. ბავშვობიდანვე განებივრებულს და მდიდარს, უფრო მეტი უნდოდა, ამიტომ მალევესკებისთვის უჩვეულო და გაუგებარი ბევრი საქმე წამოიწყო, რომელთაგანაც არცერთი გამოუვიდა.

იმ წელს, როცა ელენა თვრამეტი წლისა გახდა, იაკუბმა გადანყვიტა, ფული ხის დამუშავებითა და გატანით ეშოვა და ყველასაგან მალულად იმ ტყის გაჩეხვა დაიწყო, რომელიც მალევესკების კონახურის ბაღის იქით იწყებოდა.

\* \* \*

ელენა რომ ჩვეულებრივი გოგო არ იყო, მამიდა ადელა მაშინ მიხვდა, როცა რამდენიმე წუთის გაჩენილი ძმისშვილი ხელში აიყვანა და ჯერ ჩვილს დახედა, მერე კი ცისკენ მიმართა მზერა. ბუსტად ადელასა და ელენას თავზე ვარსკვლავები ერთად შეჯგუფულიყვნენ და ისე ციმციმებდნენ, როგორც ახლადჩაყრილი შაქარი შავი შოკოლადის ცომში.

- ნახე! - უთხრა მამიდა ადელამ რძალს, - ჩვენი გოგო ნამდვილი ჯადოქარი გაიბრდება.

ყოველ წელს, ელენას დაბადების დღეზე, შუალამისას, ვარსკვლავები მასთან მოდიოდნენ და გროვდებოდნენ ცის იმ წერტილში, რომელიც ელენას ქერა თავს ბემოდან დაჰყურებდა. ყოველ წელს, თავისი დაბადების დამეს, ელენა სახლიდან გადიოდა, თან ერთი პეშვი შაქარი და ერთი პეშვი ფქვილი მიჰქონდა, მიდიოდა იქ,

სადაც მწვანე მდინარე ბღვას ერთვოდა და ბუსტად იმ წერტილში, სადაც მდინარის ტალღები ბღვისას ერეოდნენ, წელამდე წყალში დგებოდა. უკან დაბრუნებულმა ელენამ იცოდა, როგორ გაივლიდა წელი მის მომდევნო დაბადების დღემდე - ორ წყალს შორის გახსნილი შაქარი და ფქვილი ყველაფერს ეუბნებოდნენ გოგოს, რომელიც გარეგნულად ბალერინას უფრო ჰგავდა, ვიდრე მრავალსაუკუნოვანი რეცეპტების საიდუმლოს უკანასკნელ შემნახველს.

ელენას გამომცხვარ ფუნთუშებს სხვა სურნელი ჰქონდა, მისი ხელით ამოვლებულ შაქრის ფერად კანფეტებს - სხვა გემო. სტუმრები ხშირად ამბობდნენ, რომ ელენას დასხმული ყავაც კი განსხვავებულად მოქმედებდა ადამიანებზე. დილაადრიან, სანამ ცხობას დაიწყებდა, ელენა სარდაფში ჩადიოდა - სწორედ იქ, სადაც ომის დროს მთელი ქალაქის სამყოფ პურს აცხობდნენ მისი დიდი ბებია და ბაბუა, არნახული სიფრთხილით ხსნიდა ორ ტომარას - შაქრისას და ფქვილისას, მარჯვენა ხელს შაქარში ყოფდა, მარცხენას - ფქვილში და თვალებს ხუჭავდა.

როცა ელენა სარდაფიდან ამოდიოდა, საკონდიტროსთან უკვე რიგი იდგა. ქალაქში კარგად იცოდნენ - ელენა მალევესკა ის გოგო იყო, დაბადებიდან ვარსკვლავების ქოლგა რომ დაჰყვებოდა თან და არავის, არავის დედამიწის ბურგზე, არ ჰქონდა მასზე გემრიელი ხელები.

\* \* \*

უცნობი რძიან ყავას სვამდა და ქუჩას უყურებდა. მაგიდაზე გადაშლილი წიგნი და



სიგარეტის კოლოფი ედო. ჩამოსულს ჰგავდა. სამზარეულოს ნახევრად ღია კართან მდგარი ელენა მაგიდებს მიღმა მხოლოდ მის კეფას, მხრებს და თმას ხედავდა, კიდევ თითებს, რომლებიც დროდადრო ცურავდნენ ხორბლისფერ თმაში.

ელენასთვის კეფაც საკმარისი იყო, რომ კაცი მოსწონებოდა. გარშემო ვერავინ იგებდა, რას გულისმობდა ელენა, როცა ამბობდა: „საშინელი კეფა აქვს!“ და ამით კამათს წერტილს უსვამდა. უცნობს კი, რომელსაც ელენა მას შემდეგ უთვალთვალებდა, რაც საუბრისთვის განკუთვნილი ფუნთუშები დახლზე დააღაგა, კუბოკრული პერანგის ზემოთ ისეთი დახვეწილი, ლამაზად აპარსული კეფა უჩანდა, რომ გოგო საშინლად შეაწუხა მისი კოცნის სურვილმა.

- რა შეუკვეთა? - ჰკითხა ელენამ დამხმარეს და უცნობისკენ ანიშნა.

- რძიანი ყავა, მეტი არაფერი.

ელენას გაეცინა.

- არ მიყვარს, კაცები ცუდად რომ საუბრობენ, - მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან, - კონახურის ნამცხვარი მიუტანეთ და თაფლიანი და ლიმონიანი წყალი. მე თვითონ გავამზადებ.

სანამ დამხმარე გაოცებულ უცნობს უმასპინძლდებოდა, ელენა ფერადი დარაბის უკან იდგა და თვალს არ აშორებდა მის სწორ მხრებს, თხელ ხელებს, იდაყვებამდე აკეცილ სახელოებს, უყურებდა, როგორ მოძრაობდა მის თითებში მოყვითალო წყლით სავსე

ჭიქა. ელენა ელოდებოდა, როდის აღმოაჩენდა სტუმარი ნამცხვრის თეფშის ქვეშ სანახევროდ შემალულ პატარა ბარათს.

უცნობმა ლანგარს დახედა, ბარათი თეფშის ქვემოდან გამოაძვრინა და სახესთან ახლოს მიიტანა. ბარათზე წითელი მეღვინით, გაკრული ხელით ეწერა:

„ოდესმე გინახავს კონახურის ყვავილობა?“

სტუმარი შემობრუნდა და ელენამ პირველად დაინახა მისი სახე და ნათელი თვალები.

ის მეორე დღესაც მოვიდა, დილაადრიან, სანამ დიასახლისი ცხობას მორჩებოდა და რიგში ჩადგა. როცა ელენამ დარაბები გააღო, დაინახა, რომ უცნობი ისევ იქ იჯდა, სადაც გუშინ - პატარა მაგიდასთან. წინ ჭიქით წყალი და გადაშლილი წიგნი ედო. როცა ელენა მიუახლოვდა, სტუმარმა თავი აწია და თქვა:

- არა, არასოდეს მინახავს.

ელენამ გაიღიმა და ხელი გაუწოდა:

- ელენა.

- იოაკიმი.

\* \* \*

ელენას ღამეებს ჰქონდა ლიმონის, ალუბლის და კონახურის სურნელი და როცა ის ვარდისფერი, გამჭვირვალე კაბით დააბიჯებდა ბაღში, ხეებს შორის, იოაკიმი ფიქრობდა, რომ სინამდვილეში, ელენა იყო ყველაზე დიდი საიდუმლო, რომელიც ოდესმე არსებულა მალევსკების გვარში, საიდუმლო, რომელსაც თაობები სიმღერით ვერ გადასცემდნენ ერთმანეთს, რადგან მეორე ელენა ვედარასდროს დაიბადებოდა.

საღამოობით ელენა ტუჩებს კონახურით იღებავდა. განსაკუთრებით უყვარდა კონახური და ცდილობდა, სწორედ ამ ხილისგან შეექმნა სასმელი, რომელიც საგვარეულო ლეგენდებს მისი სახელით შემორჩებოდა.

- ჯობია, ტკბილეულზე იფიქრო, ელენა, - ურჩევდა მამიდა ადელა, - სასმელი ქალის საქმე არ არის. ჩვენს გვარში არცერთ ქალს სასმლის რეცეპტი არ დაუტოვებია.

მამიდის შენიშვნები ელენას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. რეცეპტი თითქმის მზად ჰქონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ გემოს სრულყოფისთვის რაღაც აკლდა და საჯარო დეგუსტაციის მოწყობას ამიტომ არ ჩქარობდა.

- ნახე, - ეუბნებოდა იოაკიმს და ფერადი სითხით სავსე სინჯარებს ცხვირწინ უტრიალებდა, - აქ მთავარი კონახურია. ცოტა ლიმონი ემატება. ალუბალზე ვფიქრობ, ვერ გადავწყვიტე, უხდება თუ არა. ცოტა კარამელი, ცოტა შედედებული რძე. და, რა თქმა უნდა, ალკოჰოლი. ყველაფერი ერთად უნდა მოთავსდეს.

იოაკიმი მალევსკების ბაღის ხეების ჩრდილში იწვა და ღიმილით უყურებდა მის ფეხებთან ჩაჩოქილ ელენას, რომელიც ალტაცებით ლაპარაკობდა თავის მიგნებებზე.

- დომებს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველა ისე ამზადებს, როგორც ცხოვრობს. ის, ვინც ბედნიერებისკენ ისწრაფვის - ბევრ კარამელს ამჯობინებს, ზოგჯერ ზედმეტსაც, მაგრამ ადამიანის ბუნება ასეთია, სამყაროში ყველაფერს საკუთარი მდგომარეობით ზომავს. ის, ვისი ცხოვრების ბედნიერ დღეებსაც ყოველთვის გასდევდა ოდნავ შესამჩნევი სიმწარე, არასოდეს ივინწყებს ლიმონს. ისინი, ვისი ღამეებიც თეთრია და დღეები კიდევ უფრო თეთრი, ყავის არომატს იშველიებენ, რომ თვალის გუგები არ გაუმკრთალდეთ. სტაბილურ ადამიანებს - არასოდეს რომ არ ამეტებენ, არც სიყვარულში, არც სიძულვილში - ვაშლის გემო უყვართ. დაკვირვებისხარ?

ელენას თვალეები უციმციმებდა. იოაკიმი გიჟდებოდა, როცა ელენა ბედნიერი იყო და დაბადების დღის ვარსკვლავებს ღიმილით უხმობდა მის თავს ზემოთ შესაკრებად.

- კონახური ვის უყვარს? - მეთად ეკითხებოდა იოაკიმი.

ელენა კონახურის ტოტს დაბლა ხრიდა, პირთან მიჰქონდა და ქათქათა კბილებით ხეთქავდა მწიფე ნაყოფს.

- კონახური უცნაური ხილია, - ამბობდა მერე, - ის უყვართ გოგოებს, რომლებიც ეძებენ გემოთა ცვალებადობას; პირში დაგუბებული სიტკბოსა და სიმჟავის წყალში გახსნის სურვილს; სიზმრებს, რომელთაგანაც არაფერი გამახსოვრდება, შეგრძნებების გარდა; ცხოვრებას, რომელიც მეტია, ვიდრე ყოველდღიურობა. მე მიყვარს კონახური და მისგან ზღაპრულ სასმელს შევქმნი.



ბოლოს წელში იბნიჭებოდა, ჯერ კიდევ მთელ კონახურს თავისი ენიდან იოაკიმის ენაზე აგორებდა და ჩუმად დასძენდა:

- ამბობენ, რომ ქალის საქმე არაა, მაგრამ კონახურის სასმელზე ფიქრი საშინლად აღმაგზნებს. ინგრედიენტს, რომელიც მაკლია, შენ მაპოვნინებ.

\* \* \*

ყველა სხვა საქმისგან განსხვავებით, რომელიც იაკუბ მაღვესკის ოდესმე წამოუნცია, ხე-ტყის ბიზნესი წარმატებული აღმოჩნდა. ქალაქის აღმოსავლეთით, მაღვესკების კონახურის ბაღის იქით ტყე საგრძნობლად რომ შეთხელდა, ყველამ გაიგო, რაც ხდებოდა. ხალხში დიდი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა ატყდა. ერთნი ამბობდნენ, იაკუბს სხვა ქალაქში საყვარელი ჰყავს და მასთან ერთად უცხოეთში გასაქცევად ემზადებაო, მეორენი ამტკიცებდნენ, საკონდიტრო კოტრდება და იაკუბი მის გადარჩენას ცდილობს, თორემ უმიზეზოდ როგორ დაიწყებდა ხეების გაჩეხვასო, მესამენი კი მის საქციელს უბრალო გაუმადრობით ხსნიდნენ. ისეთებიც გამოჩნდნენ, იაკუბის საქმიანობამ ფულის შოვნის სურვილი რომ გაუძლიერათ, ხელ-ფეხი გაუხსნათ და ტყის ჩეხვა დააწყებინათ.

ელენა ადგილს ვეღარ პოულობდა, ისე რცხვენოდა მამის საქციელის გამო. მისმა გამომცხვარმა პურმა სირბილე დაკარგა, ფუნთუშამ - სიტკბო. ერთ დილით კი, სარდაფის კართან შემთხვევით მდგარმა დამხმარემ გაიგონა, როგორ ტიროდა ელენა დილის ტრადიციული რიტუალის შესრულებისას და კარი ფრთხილად შეაღო.

მხრებჩამოყრილი იჯდა ელენა ორ გახსნილ ტომარას შორის, ხელები მუხლებზე ეწყო და მისი თვალებიდან ნიაღვრებად მომდინარი ცრემლები ასველებდნენ მარცხნივ - ფევილს და მარჯვნივ - შაქარს.

სადამოლობით ელენა ხშირად იკეტებოდა ბაღში მონყობილ პატარა ლაბორატორიაში და ცდილობდა, სასმლის შექმნაზე კონცენტრირებულიყო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. გოგო მიხვდა, რომ ხილს გემო შეეცვალა. კონახურმა, რომელსაც უკვე ვეღარ სწვდებოდა სანახევროდ გაჩეხილი ტყის ჩრდილი, არომატი და ფერი დაკარგა. ნაყოფს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

ერთ დღეს ელენამ ბაღში უდროოდ ჩამოცვენილი ფოთლები და გამხმარი ტოტებიც ნახა და უმწეობის საზარელმა შეგრძნებამ ძალა გამოაცალა. მამა ვერ ხვდებოდა, რომ ყველაფერი უბრალოდ არ ჩაივლიდა, ვერ ხვდებოდა, რომ მისი ქმედება აუცილებლად გამოიღებდა საშინელ შედეგს. დადიოდა ელენა თავის საყვარელ ბაღში და იცოდა, რომ თავად იყო პირველი მათ შორის, ვისაც იაკუბ მაღვესკიმ ფესვები გადაუჭრა.

ელენამ გადაწყვიტა, დამატებითი სარწყავი არხები გაეყვანა და მცენარეებისთვის თავად მიეხედა. დილაობით, სანამ ცხობას დაიწყებდა, ბაღში მიდიოდა, შუალამისას, საკონდიტროს დაკეტავდა თუ არა, ისევ ბაღისკენ მიემუწრებოდა და იქ, სადაც მამამისის გაჩეხილი ტყე იწყებოდა, იოაკიმის გამოჩენას ელოდა.

ქალაქის გარშემო ისეთი სისწრაფით ნადგურდებოდა მწვანე საფარი, ხალხი პანიკამ მოიცვა. ჰაერში უბედურების სუნი ტრიალებდა, რომელსაც ყველა გრძნობდა, მაგრამ



ვერავინ აჩერებდა. ელენამ რამდენჯერმე სცადა მამასთან დალაპარაკება, მაგრამ ამაოდ. იაკუბი არ უსმენდა შვილს და უფრო მეტიც, საერთოდ აღარ მიდიოდა სახლში.

- ის აღარ არსებობს ჩვენთვის, - თქვა ერთხელ მამიდა ადელამ, - კაცი, რომელიც ფულზე გაყიდის მიწას, რომელშიც უნდა დაიმარხოს და ხეს, რომლითაც უნდა დაიმარხოს, არავინაა. ჩვენს ოჯახში კი სიცარიელის ადგილი არ არის.

ელენამ ამოიოხრა.

- თუ შეიძლება, კომპოტს წაღმა მოურიე, ელენა, - ჩვეულებისამებრ შენიშნა მამიდა ადელამ, - უკუღმართი მამაშენიც გვეყოფა.

\* \* \*

იოაკიმს უცნაური საქციელი დასჩემდა. საღამოობით სადღაც უჩინარდებოდა და ელენას ბაღში გვიან ღამით ბრუნდებოდა.

- რა გემო გაქვს? - შფოთავდა ელენა, ენას ენაზე ადებდა, მერე კი თვალდახუჭული აგემოვნებდა იოაკიმისგან გადმოყოლილ ნერწყვს, - მითხარი, ვისგან მოგყვება ეს გემო, იოაკიმ? საიდან გაქვს ამდენი სიმლაშე და სიტკბო?

იოაკიმი არაფერს ამბობდა. მას უნდოდა, ერთ მშვენიერ დღეს ცოლად მოეყვანა ელენა და არ აპირებდა, ყველაფერი გაეფუჭებინა. მის სახეს ხელებში იქცევდა და

იქამდე კოცნიდა, სანამ გოგოს ეჭვიანობის შემოტევა არ გადაუვლიდა და მდინარესავით არ ჩაიღვრებოდა მის მკლავებში.

- ნუ მომატყუებ, - ამბობდა ელენა, - თორემ ხომ ხედავ, დედამინა ისედაც სიკვდილის პირასაა, ყველაფერი ხმება. ნუ მომატყუებ, თორემ ვერც ჩვენ გადავრჩებით.

- არ გატყუებ, - პასუხობდა იოაკიმი და ხარბად ისრუტავდა კონახურის არომატს ელენას თმიდან.

ის მართლაც არ იტყუებოდა. არც სიმართლეს ამბობდა. ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც გაორებულ კაცებს სჩვევიათ.

- ასე მგონია, ზღვა ჩაგისახლდა, იოაკიმ, - არ ჩერდებოდა ელენა, თავს უკან აგდებდა და ცდილობდა, როგორღაც გაენეიტრალებინა პირის ღრუში ჩაგუბებული უცნაური გემო, - ზღვა თავის კალაპოტში უნდა ცხოვრობდეს, ჩემთან ნუ მოიყვან, ნუ დამტოვებ მის პირისპირ. გამიჭირდება...

- ნუ სულელობ! - მოჩვენებითი სიცილით ცდილობდა იოაკიმი მის გაჩუმებას, - მაინც რა ეჭვიანი აღმოჩნდი!

ელენას დახუჭული თვალები ნახევარმთვარეებს ემსგავსებოდა.

- ვინ არის ის გოგო, თქვი, ვინ არის...

\* \* \*

ქალაქში სუნთქვა გაჭირდა. მოხუცები შემოთებით უთვალთვალედნენ ცას, ზღვა კი ყოველდღე ბორგავდა და არქიპელაგის გარშემო აგროვებდა ტალღებს.

- მშვიდობიანად არ ჩაივლის ეს ბათხული, - თქვა ერთ სადამოს მამიდა ადელამ, - ქალაქში ხე აღარ დარჩა. აღარც წვიმს. ყველაფერი გაუგემურდა.

ელენამ ღუმელი მიხურა, მაგიდა გადანმინდა და ჩამოკდა.

- ქარვის ყურეში ხომ არ ყოფილხარ? - ჰკითხა მამიდას.

- ვიყავი. კარგი არაფერი ისმის. ამბობენ, რომ ზღვა განრისხებულია და უკან იხევს, მინა კი როდის გადაბრუნდება და მოკვდება, არავინ იცის.

- გამოსავალი არ არსებობს?

- თქვეს, რომ ქალაქში ერთი გოგო ცხოვრობს, რომელმაც იცის, რაც უნდა ქნას, როცა შუა ბათხული დადგება და ცას და ხმელეთს გვალვა დაეპატრონება. ზღვა და მინა მიიღებენ მის მსხვერპლს, თუ გოგო გაბედავს და სხვების გადასარჩენად სიცოცხლეს დათმობს.

- შენ რას ფიქრობ?

- არ ვიცი, ელენა. იმდენი ხანია, არ მინახავს, ადამიანებს რაიმე დაეთმოთ სხვების გამო, იმაშიც კი მეპარება ეჭვი, ჩვენი წინაპრები მართლა აცხოვდნენ თუ არა პურს ომის დროს სარდაფში. მე არც ისე მაღალი წარმოდგენის ვარ ადამიანებზე, მაგრამ არ მინდა, მე დამემსგავსო. როცა ადამიანებს აღარ ენდობი, ცხოვრება დამთავრებულია.

- მაგრამ შენ ხომ გიყვარს ცხოვრება, - გაიღიმა ელენამ.

- მიყვარს, - თავი დაუქნია ადელამ, - მიყვარს, რადგან ჯერ კიდევ არსებობს ადამიანი, ვისაც ვენდობი. ეს ადამიანი შენ ხარ.

\* \* \*

ელენა გაფითრებული იდგა მაგიდასთან. აკანკალებულ ხელში ჩაბღუჯულ ბოთლს თვალმოუშორებლად უყურებდა. მის უკან აყვავებულ კონახურებს ხმოვა შეჰპარვოდათ. იოაკიმი ფრთხილად მიუახლოვდა გოგოს. თმაგანწილი, ტირილისგან თვალეზღასიებული ელენა მისკენ არ შებრუნებულა.

- ძვლები მტკივა, - ჩუმად თქვა მან, - საშინლად მტკივა ძვლები, ყოველ სადამოს, როცა შენ მასთან მიდიხარ - იმ გოგოსთან, რომელიც ნავში ცხოვრობს, იმ გოგოსთან, რომელთანაც ბავშვობაში მითამაშია...

- ტყუილია... ვინ გითხრა...

- ძვლებმა მითხრეს, ჩემმა ძვლებმა. შენ ვერ გაიგებ, ვერასოდეს გაიგებ, როგორია, როცა გლალატობენ და მთელი სხეული გტკივა, გემტვრევა, ნაწილებად იშლები და იცი, რომ ვედარასოდეს იქნები მთლიანი... სისულელეა სიყვარული, რომელიც ტყუილია. სისულელეა სიყვარული, რომელსაც სხვასთან იყოფ...

ელენას სუნთქვა უჭირდა, თვალებიდან ცრემლები სდიოდა. სიტყვებს ყრუდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა.

- მე, რომელიც პურს ვჩუქნიდი გრძნობას და შაქარს - გონებას, რათა ამ ქალაქში წონასწორობა შემენარჩუნებინა და მისთვის, ვინც ისწრაფვოდა სიმტკიცისკენ, შემეპარებინა სიყვარული, მისთვის კი, ვისაც ბედნიერება იყო მთავარი, მიმეცა სიმყარე, შენ მომატყუე, მომატყუე და წამართვი უნარი, ადამიანებისთვის მეჩუქებინა ის, რასაც არ ეძებდნენ, მაგრამ სჭირდებოდათ. მე, რომელიც ყოველთვის თავად ვირჩევდი გემოებს საკუთარი ცხოვრებისათვის, შენ მაქციე იმად, ვინც არასოდეს ვყოფილვარ და სხვა ქალის ნერწყვი და სისხლი შეურიე ჩემს სხეულს. იმ ქალის, რომელთანაც ოდესღაც კალათით ხილი გამიყვია...

იოაკიმი უძრავად იდგა. იცოდა, ხმის ამოღებას ან ნაბიჯის გადადგმას აზრი აღარ ჰქონდა.

ელენას ყოველ წამს უმკრთალდებოდა კანი და მისი თვალები სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდნენ ჩრდილოეთის ციალით განათებულ თეთრ ღამეებს.

- უნდა მცოდნოდა, რომ არ შეიძლებოდა შენი ნდობა. უნდა მცოდნოდა, რომ კაცები,

რომლებიც იკვებებიან მარილისა და წინაკის გარეშე, უმი ბოსტნეულითა და ნახევრად შემწვარი ხორციით, ბოლომდე ვერასოდეს გაიგებენ, როგორი გემო აქვს სიყვარულს, როცა დრო გადის. დრო შენისთანებისთვის არაფერია.

ელენა გაჩუმდა, ნერწყვი გადაყლაპა, უპეები ხელის ზურგით ამოიმშალა და ბოთლს თავი მოხადა.

- ინგრედიენტი, რომელიც მაკლდა, შენ მაპოვნინე, როცა ბოლოს მისგან დაბრუნდი და ბღვის სიმლაშეს შერეული ფორთოხლის მოტკბო-მომწავო არომატი მოიტანე. სასმელი, რომელსაც ჩემთვის და შენთვის ვქმნიდი, ვერ იქნებოდა სრულყოფილი მის გარეშე, იმ ქალის გემოს გარეშე, რომელზე მეტადაც ვერ შემიყვარე.

იოაკიმი მიწაზე დაჯდა. ელენამ მის წინ ჩაიმუხლა და ბოთლი ცხვირთან მიუტანა:

- შენ გინდოდა, ნახევარ კაცთან მეცხოვრა და ჩემს წილ ნახევარს ვერც კი გაეგო, რას აკეთებდა იმ ქალის წილი ნახევარი. მაგრამ ძვლები ისე მტკივა, თავის მოტყუება კი არა, ფეხზე დგომაც მიჭირს. ჩემი სხეული დადლილია შენი ტყუილებისგან. მძულს შენი შიში, სიმართლე თქვა და თვალებში მიყურო. მძულს შენი დახვეწილობა. სინამდვილეში როგორი ხარ, მართლ ჩვენ ვიცით, მე და იმან, იმ ქალმა, ვისთვისაც ოდესღაც საკუთარი ხელით პური მიმიწოდებია. თვითონაც არ იცი, რომ არაფერს გავხარ, გემო არა გაქვს, არც სუნი. აი, ახლაც, მიყურებ და გეშინია.

ელენა წამოდგა, გაწეწილი თმა გადაიწია და შებრუნდა.

იოაკიმმა ძლივს გაიგონა მისი უკანასკნელი სიტყვა:



- ნადი!

\* \* \*

ნითელ-ყვითლად მოელვარე სითხე შუშხუნით გადადიოდა ჭურჭლიდან ჭურჭელში. დასიცხულ ქალაქში ხმა გავარდა, რომ მალევესკების კაფეში მისულ სტუმრებს სრულიად უფასოდ შეეძლოთ ახალი სასმლის დაგემოვნება, რომელსაც მისმა შემქმნელმა, ელენა მალევესკამ „გამოსყიდვა“ უწოდა.

სტუმრები რომ წავიდნენ და მამიდა ადელამ ფერადი დარაბები საგულდაგულოდ დახურა, ელენამ თქვა:

- გახსოვს, გოგოზე რომ ამბობდი, რომელმაც იცის, როგორ უნდა გადაარჩინოს ქალაქი გვალვას?

- მახსოვს.

- ყველაფერს მივხვდი. ის გოგო მე ვარ.

მამიდა ადელას სუნთქვა შეეკრა.

- საიდან იცი?

- ამ ქალაქის უბედურება მაშინ დაიწყო, როცა მამამ პირველი ხე მოჭრა. მის დანაშაულს სხვა ვერავინ გამოისყიდის, თუ არა მე.

- ელენა, - მამიდა ადელამ ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი, - არა მგონია, გამოგივიდეს... იქ რომ ვიყავი, ქარვის ყურეში, თქვეს, რომ გოგო, რომელიც მსხვერპლად შეეწირება ქალაქს, ქალწული უნდა იყოს. შენ კი... არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ გაკონტროლებ, მაგრამ შენზე ამბობენ, რომ...

ელენას ხმამაღლა გაეცინა. წინაკის არომატი აუვიდა მის სიცილს.

- მამიდა, შენ მართლა გგონია, რომ ღმერთები, რომლებზეც ლოცულობ, ასეთი ბრიყვები არიან? გგონია, მათთვის მნიშვნელობა აქვს, ქალწული ვარ თუ არა? ნუთუ ასეთი გულნამცეცა გგონია ზღვა, რომლის ფსკერიც არავის უნახავს და მინა, რომელმაც ყველა უნდა დაგვიტიოს?

მამიდა ადელას ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

- მე მიყვარდა იოაკიმი, - თქვა ელენამ, - ახლაც მიყვარს. მერე რა, რომ უვარგისი გამოდგა. მაინც დიდი იყო ჩემი სიყვარული. შენ ხომ იცი, ზოგჯერ იმ კაცებს უფრო უმართლებთ, რომლებიც არაფრის გამო ამძიმებენ დედამიწას, რომელთა სხეულიც მხოლოდ ხორცია და სხვა არაფერი, სული კი საერთოდ არ გააჩნიათ. ვერცერთი ქალი, რომელიც ასეთ კაცს შეიყვარებს, დაუსჯელი ვერ დარჩება. მე მზად ვარ, ყველაფერი გამოვიწყიდო.

მამიდა ადელა ხმამაღლა ტიროდა. ელენა ადგა.

- მინდა, უკანასკნელად გამოვიძინო. არასოდეს მყოფნიდა ძილი.

\* \* \*

დილით უცნაური სანახაობის მომსწრე გახდა ქალაქი. იქ, სადაც ადრე მწვანე მდინარე ზღვას ერთვოდა, გვალვისაგან გამხმარ კალაპოტში, სრულიად შიშველი იდგა ელენა, დარდისგან სახეგალეული, წელამდე ჩამოშვებული თმით, შეშუპებული თვალებით. მკლავები განზე გაეშალა. მისი მარჯვენა პეშვიდან შაქარი ცვიოდა, მარცხენიდან - ფქვილი. ცვიოდა, როგორც თოვლი ჩრდილოეთის მთებზე - დაუსრულებლად.

მდინარის ნაპირზე გამოფენილი, სახტად დარჩენილი ქალაქი ფართო, გამომშრალი თვალებით შესცქეროდა ელენას, რომელიც ანაყოფიერებდა გამოფიტულ მიწას ფქვილით, შაქრითა და ცრემლით. უზარმაზარი ცრემლები მოგორავდა ელენას სხეულზე, მძიმე, მართალი და გამჭვირვალე.

ერეოდა ცრემლი შაქარსა და ფქვილს და მდინარის გავარვარებულ კალაპოტში იქცეოდა პურად.

და სამი დღე აპურებდა ელენა გვალვისაგან დამშეულ ქალაქს საკუთარი ცრემლით.

მესამე დღეს მის თავზე დაბადების დღის ვარსკვლავები მოგროვდნენ და ელენამ გაიღიმა.

და როცა მომღიმარმა ელენამ საკუთარ ფეხებს დახედა, დაინახა - ხედ ქცეოდა ორივე ტერფი.

და მეექვსე დღეს უკვე მუხლებამდე გახევდა ელენა და ქალაქმა, რომელიც ფეხმოუცვლელად იდგა მდინარის პირას, დაინახა, რომ კალაპოტმა ლბობა დაიწყო.

მეცხრე დღეს საშინელი ტკივილი იგრძნო ელენამ და მიხვდა, როგორ გაუხევდა თქოები, წელი და საშო. დაბლა აღარ დაუხედავს. მიწიდან სიგრილე მოდიოდა.

მეთორმეტე დღეს ჩიტებმა დაიწყეს ბუდეების აშენება მის მკლავებზე. ხის მკერდს სუნთქვა უჭირდა. ელენამ იცოდა, ცოტაც და ნერწყვის გადაყლაპვას ვეღარ შეძლებდა.

მეცამეტე დილით იოაკიმი მოვიდა და მის პირდაპირ დადგა.

- ყოველთვის მიყვარდი, - თქვა მან, - მინდოდა, გცოდნოდა. არ მომიტყუებია. ახლაც მიყვარხარ.


ელენამ ოდნავ გაიღიმა. ტუჩები უკვე აღარ ემორჩილებოდნენ. იოაკიმმა ჯერ სახე მიუახლოვა, მერე მისი ქერა თავი ხელებს შორის მოიქცია და ტუჩებზე ტუჩებით შეეხო. კონახურის გემო ჰქონდა იოაკიმის ენას. ელენა მოდუნდა. აღარაფერს გრძნობდა, არც ბრახს, არც შურისძიების სურვილს, არც ტკივილს, მხოლოდ სისველეს.

როცა იოაკიმმა თვალები გაახილა, დაინახა - ბოლომდე გახევებულიყო ელენა და მისი ლამაზი მხრები, მაღალი შუბლი და ჯერ კიდევ ფორმამერჩენილი თვალები მწვანე ფოთლებად ყვაოდნენ.

სახტად დარჩენილმა ქალაქმა დაინახა, როგორ წამოვიდა წყალი ხის თავზე მოკიაფე ვარსკვლავებიდან და როგორ გაივსო მწვანე მდინარის კალაპოტი თვალის დახამხამებაში.

გამჭვირვალედ აწვიმდა ელენას.

## კატარინა



ქალაქის ერთადერთ შემადღებულ ადგილას მდგარი სახლის ცისფერი, მძიმე ჭიშკარი იშვიათად იღებოდა. არავინ – გარდა სახლის პატრონებისა და მსახურებისა, რომელთაც თავიანთი სამუშაოს შესახებ სხვებთან ლაპარაკი სასტიკად ჰქონდათ



აკრძალული- იცოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში ჭიშკარს მიღმა. ამბობდნენ, რომ სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ ჩამოსახლებულმა ვიქტორ სალუმამ, როცა ეს სახლი ააგო, ყინული ჩაატანა საძირკველში, ამიტომ მისი ოჯახის სამყოფელთან ახლოს მისვლაც კი სისხლს უჩერებდა ადამიანებს. ამბობდნენ, რომ ებოს შესასვლელთან ჩაძინებული ქვის ლომები მაშინვე გაახელდნენ თვალებს და წამოდგებოდნენ, როგორც კი სახლის პატრონებს მათი დახმარება დასჭირდებოდათ. ამბობდნენ იმასაც, რომ წყლის ქალაქში მოსულმა პირველმა სალუმამ, ვიქტორმა, ცხენები და მონადირე ძაღლები მოაშენა, რომლებიც თვალთ არავის ენახა, მაგრამ მათ არსებობაში მაინც ყველა დარწმუნებული იყო. სალუმაების სასახლის შორიახლოს მცხოვრებნი ირწმუნებოდნენ, რომ ვიქტორიც და მისი ვაჟი ნათანიელიც ღამით ნადირობას ამჯობინებდნენ, რათა არავის დაენახა, როგორ ისხამდნენ დახოცილი ნადირის სისხლს ცისფერ, ამობურცულ ძარღვებში.

ქალაქისთვის, რომელიც საკუთარ არსებობას იმ დროიდან ზომავდა, როცა ზღვა ჯერ კიდევ არ სცნობდა ნაპირებს და ადამიანებს ერთნაირად შეეძლოთ წყალქვეშ და ხმელეთზე სუნთქვა, ასი წელი არაფერს ნიშნავდა, ამიტომ ქალაქს სალუმაები მის ნაწილად არასოდეს მიაჩნდა. არც ისინი იწუხებდნენ თავს მდგომარეობის შესაცვლელად. არავინ იცოდა, საიდან მოდიოდა მათი სიმდიდრე, ან რა იყო მათი სიხარულისა და მწუხარების წყარო. ისინი საგულდაგულოდ ჩაკეტილი ჭიშკრის მიღმა საკუთარი დროით, საკუთარი წესებით ცხოვრობდნენ, გზებივით რომ აჩნდათ ქათქათა კანზე.

თებერვლის შუა რიცხვებში, როცა სასახლის ყველაზე მაღალ კოშკში კატარინა სალუმე დაიბადა – გოგონა ჭრელი თვალებითა და თეთრი თმით – ქალაქში თქვეს,

რომ საძირკველში ჩატანებულმა ყინულმა დნობა დაიწყო. მას არასოდეს უსწავლია სკოლაში, სადაც ყველა სხვა გოგონა დადიოდა – სალუმაების შვილები განათლებას სახლში იღებდნენ. პატარა კატარინა არასოდეს უნახავთ სათამაშო მოედნებსა და ზღვის ნაპირას – სალუმაებს, რაც სჭირდებოდათ, ყველაფერი ჰქონდათ ჭიშკარს მიღმა, თავიანთ სამყაროში. კატარინას არ ჰყავდა მეგობრები – სალუმაები ახლოს არავის უშვებდნენ.

კატარინა არაფრით განსხვავდებოდა ოჯახის სხვა წევრებისგან, სანამ თოთხმეტი წელი შეუსრულდებოდა. უცხოები ვერც მას ხედავდნენ. არ იცოდნენ, როგორი იყო სინამდვილეში ყველაზე უმცროსი სალუმე, რომლის სილამაზეზეც მოსამსახურეები მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ლაპარაკობდნენ. ერთ დღეს სასახლის ჭიშკარი მძიმე ჭრიალით გაიღო და გოგონა მზის შუქზე გავიდა, თეთრი ცხენითა და თეთრი ძაღლებით. სანადიროდ მიდიოდა. მშვიდი, თხელი სახე ჰქონდა, ქათქათა კანი, პატარა ცხვირი, ლამაზი, მკაცრი ტუჩები და უზარმაზარი თვალები. მაღალი იყო. მხრებგამართული იჭდა. არნახული შუქი მოჰყვებოდა უკან – ჩრდილოეთის მთვარის ნათელი, მშვენიერი და ცივი.

უკან საღამოხანს დაბრუნდა. თან უნაგირზე შემოსმული ცოცხალი შველი მოჰყავდა. მემობლების გასაკვირად, მკლავებსა და სახეზე სისხლი არ ეცხო. მშვიდად მოდიოდა, თითქოს ქარის ნებაზე მოიწუხებოდა. არარსებული მიმართულებით, არარსებული წერტილისკენ იყურებოდა. შველი მკერდზე ჰყავდა მიკრული. ძაღლები მორჩილად მოჰყვებოდნენ უკან.

ქალაქმა დაინახა კატარინა – არაჩვეულებრივად ლამაზი, ძლიერი და შორეული

მთებივით მშვიდი, დაინახა და იმედის თვალით შეხედა მას – გოგოს, რომელიც სანადიროდ წასული, ცოცხალ შველთან ერთად დაბრუნდა სახლში.

\* \* \*

კატარინა თავისი კოშკის აივანზე კაქტუსებს ახარებდა და წლიდან წლამდე მოთმინებით ელოდა მათ ყვავილობას. ისინი არ ითხოვდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომლის გაცემაც კატარინას არ შეეძლო და არც წყალს, რომელსაც გოგო თავს არიდებდა.

კატარინას ეშინოდა ზღვის და არ უყვარდა ტბები, სწორედ ის ტბები, ქალაქის დასავლეთ კარიბჭესთან თეთრ შროშანებს რომ აყვავებდნენ მზის გულზე. კატარინას ეშინოდა ტბების, რადგან სჯეროდა, რომ ის, რაც მუდამ ერთ ადგილას დგას და არსაით მიედინება, ვერასოდეს იქნება სანდო. ერთადერთი წყალი, რომელიც კატარინამ მოიპინაურა, მდინარე იყო. ბავშვობაში ხშირად ესიზმრებოდა, როგორ ითრევდნენ ტალღები სიღრმისკენ და როგორ ეგებებოდა ხახადაღებული შლამი უსწორმასწორო ფსკერიდან, მაგრამ მაინც მოახერხა და თექვსმეტი წლის ასაკში პირველად გახდა ქალაქის ჩემპიონი მდინარეზე ნაოსნობაში.

– ყველას ეშინია, – ეუბნებოდა საკუთარ თავს დაძინების წინ, – მთავარია, შიშს მოერიო.

წყლის შიში მას გენეტიკურად ერგო. ყველა უცნაურობა, რომელსაც მის ოჯახს

მიანერდნენ, სწორედ ამ შიშით იყო გამოწვეული. კატარინამ არ იცოდა, რატომ ჩამოვიდა ბაბუამისი ქალაქში, რომელიც, სინამდვილეში, წყალში იდგა – წყალსა და შენობებს ერთმანეთისგან მიწის თხელი ფენა ჰყოფდა. წყალი კვებავდა მცენარეებს, წყალი აცოცხლებდა ადამიანებს, წყალი ესაზღვრებოდა ხმელეთს სამი მხრიდან.

– მე დავამარცხებ წყალს, – ამბობდა კატარინა ჩუმად, როცა შუალამისას, სასახლის ყველა აივანზე თავად ანთებდა ცეცხლს, – დავამარცხებ და კალაპოტში მოვაქცევ. სამყაროში ყველაფერს აქვს თავისი ადგილი – მათ შორის, წყალსაც. აქ კი წყალი ყველგანაა. მიწაზე რომ დავდივარ, მაშინაც კი წყალზე დავაბიჯებ. ასე ვერ ვიცხოვრებ, შეუძლებელია.

– ადამიანებს ბევრი რამ შეგვიძლია, კატარინა, – ეუბნებოდა მამა, ნათანიელ სალუმაე, – მაგრამ არის რაღაცები, რაზე ოცნებაც, უბრალოდ, უნდა დავივიწყოთ. ზოგჯერ სამყარო გაიძულებს, მიიღო ისეთი, როგორიც არის.

კატარინას უყვარდა მამა და უნდოდა, მორჩილი შვილი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა. მამას შეეძლო, არ ედარდა, რას ლაპარაკობდნენ მის შესახებ ქალაქში, შეეძლო, უჩინრად ეცხოვრა და საკუთარი, პატარა ბედნიერებით დამტკბარიყო, რომელიც ცისფერი ჭიშკრიდან იწყებოდა და უზარმაზარი ეზოს უკიდურეს წერტილში, გალავანთან მთავრდებოდა. კატარინას კი მზისკენ ეჭირა თვალი, მზისკენ და ადამიანებისკენ, რომლებიც აღფრთოვანდებოდნენ მისით, აღტაცებით ილაპარაკებდნენ მის ჭკუასა და სილამაზეზე. მას არ ჰყოფნიდა პატარა სამეფო, რომელიც ოჯახმა შემოუსაზღვრა. კატარინას მთელი ქალაქი სჭირდებოდა.



- ვიცი, მამა, - ღიმილით ამბობდა ის. იშვიათად იღიმებოდა კატარინა, მაგრამ როცა იღიმებოდა, მის თვალებში ერთდროულად ჩანდა პოლარული ვარსკვლავის ნათება და შორეული, თეთრი მთების სევდა, - მაგრამ ჩვენ ხომ მაინც უნდა ვცადოთ, ყველაფერი ვცადოთ, რაც ჩვენს ხელთაა.

- ზოგჯერ ისიც უნდა ვცადოთ, რაც ჩვენს ხელთ არაა, - პასუხობდა მამა.

- ხედავ? შენ ჩემზე კარგად იცი ყველაფერი, მაგრამ არაფერს აკეთებ. აი, მე კი მალე არჩიტეფტორი გავხდები და სანაპიროზე ჯებირის მშენებლობას დავიწყებ. როცა დავასრულებ, ბღვას უკვე ეცოდინება თავისი ადგილი. მწვანე მდინარეზე კი ხიდებს გავდებ, რომ ადამიანებმა ცუდ ამინდშიც შეძლონ ერთმანეთთან მისვლა. მგონი, კარგი აბრია, არა, მამა?

\* \* \*

მინის ბურთს, რომელშიც ქალაქის მაკეტი მოჩანდა, ცეცხლის ალი ანათებდა. კატარინამ სახე ბურთთან მიიტანა და ქუჩებში მოფუსფუსე პატარა ფიგურებს დააკვირდა. თეთრი, თითქმის გამჭვირვალე პერანგი ეცვა. ისედაც გამხდარს, მაგიდისკენ ყოველი გადახრისას კიდევ უფრო მეტად ეკვეთებოდა ლავინის ძვლები და მხრის მომრგვალებული თავები.

- კანელიცა, აქ მოდი, თუ შეიძლება, - დაუძახა მსახურს, - ეს რა ქუჩაა?

კანელიცა ბურთში ვერაფერს ხედავდა, მაგრამ კატარინას თითების მოძრაობა უკვე ისე შეესწავლა, გასაოცარი სიზუსტით ხვდებოდა, სად რა მდებარეობდა მინის გუმბათის ქვეშ.

- ოლეანდრების შესახვევია, ქალაქის დასავლეთით. მხატვრები და მეყვავილეები ცხოვრობენ.

- ამ სახლს ცნობ? იცი, ვისია? ნახე, რა მოვლილი ეზო აქვთ, მოზაიკასავით, - კატარინამ მინას მიაჭირა თითი. ფრჩხილებზე თოვლივით თეთრი ლაქი უბრწყინავდა.

- ზუსტად არ ვიცი, ვინ ცხოვრობს, მაგრამ მივაგნებ.

- მგონი, რაღაც უჭირთ. ბავშვია ავად. შეგიძლია, ნახვიდე და გაიგო, რა ხდება? - კატარინამ წარბები შეჭმუნა.

- რა თქმა უნდა, - თავი დაუქნია კანელიცამ და კისერი წაიგრძელა, - როგორ ახერხებთ? მე ვერაფერს ვხედავ.

კატარინამ ისე გაეცინა, თვალები არ შეცვლია.

- მინიმუმ, სალუმაე უნდა იყო, ყინულის წაკითხვა რომ შეგეძლოს, მაქსიმუმ კი, კატარინა სალუმაე, - თქვა და წარბები აწია.

კანელიცა ვერასოდეს ხვდებოდა, როგორ ახერხებდა კატარინა, ერთდროულად ასეთი ქედმაღალიც ყოფილიყო და ასეთი კეთილიც.



- ეს რა ადვილია? რა სირცხვილია, აქ გავიზარდე და საერთოდ არ ვიცი ქალაქს, - თეთრ თითებს შორის ბურთი ისევ დატრიალდა.

- ეს დელფინების ყურება, ყველაზე ღარიბების უბანი, - კანელიცამ ამოიოხრა, - ერთხელ მაინც რომ ნახოთ, რა ხდება იქ, გული გაგისკდებათ...

კატარინა გაფაციცებით აკვირდებოდა მინიატურულ შენობას, რომლიც წყლისკენ გადაქანებულ ქოხმას ჩამოჰგავდა.

- აქ ერთი კარგი გოგო ცხოვრობს, - თქვა უცებ, - ძალიან კარგი გოგოა, კეთილი, ლამაზი. შეყვარებულია.

კანელიცა მაგიდისკენ გადაიხარა და საშინლად დაიძაბა, რომ თვითონაც მოეხერხებინა ფიგურების გარჩევა.

- ფრთხილად, კანელიცა, არ ამომაყირავო, - მაგიდა შეასწორა კატარინამ და განაგრძო, - ძალიანაა შეყვარებული, მაგრამ ბიჭთან შეხვედრას გაურბის, რცხვენია, რომ ტანსაცმელი არა აქვს. კანელიცა, ოლეანდრების შესახვევიდან რომ წამოხვალ, დელფინების ყურეში გამოიარე, თუ შეიძლება. ამ გოგოს კაბა მიუტანე. ერთი, ორი, სამი... მეშვიდე სახლში ცხოვრობს, ადვილად მიაგნებ. კაბა ისე დაუტოვე კართან, ვერავინ დაგინახოს, გაიგე?

კანელიცამ თავი დაუქნია.

- ყველას უნდა შეეძლოს ლამაზად ჩაცმა, როცა შეყვარებულია, - თქვა კატარინამ, - მნიშვნელობა არა აქვს, სად დაიბადა და ცხოვრობს. აბა, შენ იცი, კანელიცა. შენი იმედი მაქვს.

კართან მისული კანელიცა შემობრუნდა და კატარინას ჰკითხა:

- თქვენ რატომ არავინ გიყვართ?

კატარინას თვალებში მთვარის ვერცხლისფერმა შექმა იელვა.

- კანელიცა, გაგვიანდება!

\* \* \*

ცისფერი ნავი მორევისკენ მიჰყვებოდა ადიდებულ მდინარეს, რომელსაც დავიწყებისას ეძახდნენ ზოგნი. ირწეოდა წყალი თავის კალაპოტში, ირწეოდა ცისფერი ნავი და მდინარის გარშემო ჩამწკრივებული ხეები ერთმანეთის მიყოლებით გარბოდნენ უკან.

კატარინა ნავზე იდგა, ოდნავ წინ გადახრილი, მარტო. გამხდარი თითებით ნიჩბები ჩაებლუჯა და ტალღებს მიაპობდა. ნიჩბის ყოველი მოსმისას ძლივსშესამჩნევად ებურცებოდა კუნთები თხელ მკლავებზე. ტუჩები მაგრად მოეკუმა და გვერდზე არ იხედებოდა. დგომა უჭირდა, მაგრამ არ იმჩნევდა. მტკივანი წელი ისე გამართულად

ეჭირა, ვერავინ წარმოიდგენდა, რა ძალისხმევა სჭირდებოდა წონასწორობისა და სისწრაფის შესანარჩუნებლად.

იგრძნო, რომ ვიღაც წამოეწია. ღრმად ჩაისუნთქა და მხრები კიდევ უფრო დაძაბა. ვერაფრით დაუშვებდა, ეს შეჯიბრი არ მოეგო. რა უნდა ეთქვა ქალაქისთვის, რომელმაც, როგორც იქნა, კატარინას ოჯახის საკუთარ ნაწილად აღქმა დაიწყო. რა უნდა ეთქვა ქალაქისთვის, რომელიც ასე ამაცობდა მისით? იმ პატარა გოგოებისთვის, რომლებიც მისი დანახვისას ერთმანეთს მუჯღუგუნებს ჰკრავდნენ? იმ ბიჭებისთვის, რომლებმაც, როგორც იქნა, აღიარეს, რომ ქალსაც შეეძლო აღელვებულ მდინარეზე დაშვებული ნავის დამორჩილება? არა, კატარინა თავს ვერ დაიმცირებდა.

მას, ვინც წამოეწია და დაჟინებით უყურებდა, ნაშუადღევის მზესავით თბილი თვალები და ნიჩბებივით ხელის მტევნები ჰქონდა. სანაპიროს სიმწვანისა და ტოტებზე გარჩენილი სხივების ფონზე კიდევ უფრო თეთრად ჩანდა კატარინას პროფილი. თმა ვერცხლივით უბრწყინავდა. მდინარეს ირეკლავდნენ მისი ჭრელი თვალები.

როცა კატარინამ ნაპირი დალანდა და მიხვდა, რომ ცოტაც და გამარჯვებული გადავიდოდა ხმელეთზე, გვერდზე გაიხედა. მისი თვალები მოწინააღმდეგის ჭაობისფერ თვალებს შეხვდნენ, რომლებშიც ერთად ეტეოდა მთელი ქვეყნის სიყვარული და სიკეთე. კაცი, რომელსაც თეოდორი ერქვა, მხრებდაშვებული იდგა თავის ნავში და თეთრებში ჩაცმულ გოგოს უყურებდა.

- იცით, რა ჰქვია ამ მდინარეს? - ჰკითხა თეოდორმა კატარინას, როცა დაჯილდოების ცერემონიალი დასრულდა.

- რა თქმა უნდა, ვიცი, - თვალები დაუნვრილდა კატარინას, - ვიცი და მომწონს. დავინწყებაზე ადვილი არაფერია.

თვალები თეოდორმაც მოჭურა და კატარინასკენ დაიხარა. გოგოს დაბალი არ ეთქმოდა, მაგრამ კაცი აშკარად მასზე მაღალი იყო.

- ასე ფიქრობთ? აი, მე კიდევ მგონია, რომ დავინწყება ყველაზე რთული რამაა ამქვეყნად. ფაქტობრივად, შეუძლებელი. ამიტომ მდინარეს ახალი სახელი მოვუფიქრე.

- მაინც, რა სახელი? - დამცინავად ჰკითხა კატარინამ.

- შეხვედრის მდინარე, - სერიოზულად უპასუხა თეოდორმა და მხრებში გაიმართა.

კატარინამ ცას ახედა. ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა. თეოდორი დაიძრა, კატარინას ბურგს უკან ამოუდგა და ტუჩები ყურთან მიუტანა.

- სად უნდა გიპოვოთ?

კატარინა არ განძრეულა. მოწმენდილ ცას უყურებდა.

- ზღვასთან, - თქვა მერე, - სადაც ტბები უძრავად დგანან და ადამიანებს ერთმანეთი ჯერ კიდევ უყვართ.

თეოდორმა საფეთქელი მისნია მისი საფეთქლისკენ. თოვლის და უდაბნოს სურნელი ერთად ასდიოდა გოგოს.

- ზღვასთან, - გაიმეორა კატარინამ, - იქ, სადაც ჩვენი შუხვედრის მდინარე ჩაედინება.

\* \* \*

- მგონი, დროა, ქალაქში ფეხით სიარულს მივეჩვიო, - ჩაილაპარაკა კატარინამ და ბურთი ახლოს მიიტანა ცეცხლის ალთან, - თორემ რაც დავბრუნდი, ცხოვრება მოსაწყენი ხდება.

კანელიცამ აივნის კარი გააღო. ყველაზე მაღალი კაქტუსი თეთრად აყვავებულიყო.

- აქ მოდი, - დაუძახა კატარინამ და თითი ჩვეულებისამებრ მიაჭყლიტა თითი მინას, - მეჩვენება თუ ეს ნაწილი დაუსახლებელია?

- ქარვის ყურეზე მეკითხებით?

- ოჰ, კანელიცა, მე რომ ვიცოდე, სად რა არის, შენ ხომ არ გკითხავდი? - უკმაყოფილება დაეტყო კატარინას.

- ეს ქარვის ყურეა, - დარწმუნებით თქვა კანელიცამ, - ამბობენ, რომ აქ ზღვის ქალღმერთის, იურატეს ქარვის ციხესიმაგრე იდგა. იურატე ნახევარ წელიწადს ზღვაში ატარებდა, ნახევარს დედამინაზე...

- ანუ ამფიბია იყო? - ტუჩის კუთხეში ირონიული ღიმილი გაუკრთა კატარინას.

კანელიცამ ამოიოხრა.

- თქვენ მაინც არაფრის გჯერათ, რასაც გიყვებით, - მხრები აიჩეჩა მან.

- რა თქმა უნდა, ზღაპრების არ მჯერა, კანელიცა. ნუ ბრაზობ. ჩაი დამისხი, თუ არ შენუხდები.

კანელიცამ ფაიფურის ფინჯანში ჩაი ჩამოასხა და კატარინას ბურთის გვერდით დადგა. ორთქლმა ერთბაშად გადაფარა მინის ქვეშ მოქცეული ქალაქი. კატარინამ თითი ააყოლა ბურთს და ორთქლზე ხატვა დაიწყო.

- რა გამოდის, კანელიცა, რომ იქ, სადაც იურატეს ციხესიმაგრე იდგა, ახლა არაფერია?

- დიახ, ქალბატონო. ქარვის ყურეში ვერავინ ვერაფერს აშენებს.

- ვითომ რატომ?

- ქალღმერთის ნასახლარზე ფეხს ვერავინ მოიკიდებს. ასე ამბობენ და ასეცაა.

- ვერავინ? - იკითხა კატარინამ ისე, რომ ხატვა არ შეუწყვეტია.



- მხოლოდ ის, ვინც სიყვარულით აჯობებს იურატეს, ვისი გულიც უფრო დიდი იქნება და ვისი სიყვარულიც უფრო ნათელი, ვისაც ისე შეიყვარებენ, რომ არასოდეს უღალატონ, ვინც ისე შეიყვარებს, რომ ახალი ციხესიმაგრის საძირკველში საკუთარ გულს ჩააშენებს .

- შენ როგორი ამბები გცოდნია, კანელიცა, - წარბები ანია კატარინამ და ბურთი მაგიდაზე დადგა, - მე კი გგონია, რომ კარგი იქნება, ქარვის ყურეში მშენებლობის დაწყების ნებართვა მივიღო, ახალი უბანი ავაშენოთ და ის ხალხი შევასახლოთ, ქოხმახებში რომ ცხოვრობს. როდემდე უნდა სვამდნენ ზღვის წყალს?

კანელიცა პირდაღებული იდგა.

- რა იყო? - თვალი თვალში გაუყარა კატარინამ, - შენ გგონია, მე სიყვარული არ შემიძლია? ნურაფერს მეტყვი, იმიტომ არ მიკითხავს, რომ მიპასუხო. ისედაც ვიცი, რა გგონია, კანელიცა.

- არ მინდოდა თქვენი გაბრაზება, - ამოღერღა კანელიცამ, - როგორ არა, თქვენ იმხელა სიყვარული შეგიძლიათ... მეც იქ გავიზარდე, დელფინის ყურეში. იცით, არასოდეს არავის უფიქრია ჩვენზე, არავინ დაინტერესებულა, როგორ ვცხოვრობდით. არავის მონდომებია, ადამიანურად გვეცხოვრა. მხოლოდ თქვენ...

კატარინას გული ჩასწყდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა. არ იცოდა, როგორ უნდა ეტირა და წუხდა. სამაგიეროდ, კანელიცა ტიროდა. აწურული იდგა შუა ოთახში და ღაპალუპით სცვიოდა ცრემლები.

- გეყოფა, კანელიცა, - ძლივს ამოილაპარაკა კატარინამ.

კანელიცა არ ჩერდებოდა. გამხდარი გოგო იყო, ტანდაბალი და შავგვრემანი. თორმეტი წლის იყო, სალუმაეების სახლში რომ მოვიდა, თავისი ტოლი კატარინას დამხმარედ. კატარინას არასოდეს უკითხავს, საიდან მოიყვანეს კანელიცა, ან ვინ იყვნენ მისი მშობლები. არასოდეს იცოდა, რა უხაროდა და სწყინდა ადამიანს, რომელიც მთელ დღეებს მის გვერდით ატარებდა.

- გეყოფა, მოდი ჩემთან! - კატარინამ მკლავები გაშალა და კანელიცას მოეხვია. გაუჭირდა. როგორც წესი, კატარინა არავის ეფერებოდა, საკუთარ მშობლებსაც კი.

- აუცილებლად ავაშენებ ახალ სახლს შენი მშობლებისთვის, - თქვა ჩუმად, - მერე კი იქნებ ზღვასაც შემოვავლო ჯებირი.

კანელიცა ერთიანად კანკალებდა.

- კანელიცა, ის გოგო გახსოვს, კაბა რომ ვაჩუქეთ? - მოულოდნელად იკითხა კატარინამ.

კანელიცამ თავი დაუქნია.

- სარკე უნდა ვაჩუქოთ, - კატარინას თვალებში პოლარული ვარსკვლავის სხივებმა გაიბრწყინეს, - რომ არასოდეს დაავინწყდეს, რა ლამაზია.

\* \* \*

დავინყების მდინარეზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვების დღიდან კატარინას უძილობა დასჩემდა. მთელ ღამეს აივანზე ატარებდა, იჯდა და უყურებდა ზღვას, რომელიც ახლა უფრო საშიში ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე. თუ ჩაძინებას მოახერხებდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა და ხშირად ეღვიძებოდა.

გრძელი ღამეების დაბზარულ სიზმრებში მასთან ხშირად მიდიოდა თეოდორი, მოდიოდა და შორეული გაბაფხული მოჰქონდა. გამოჩნდებოდა თუ არა სადღაც, დახუჭულ ქუთუთოებს შიგნით ჩამალულ შრეებს შორის, კატარინა გრძნობდა, როგორ მშვიდდებოდა და თბებოდა მისი ძილი. დილით კი, როცა თეოდორის გაფერმკრთალებული ფიგურა ისევ ქრებოდა, კატარინას ტკივილი აღვიძებდა, ტკივილი, რომელსაც ფესვები გაედგა მის ძარღვებსა და ხორცს შორის.

- იქნებ სწორედ ესაა სიყვარული, - ფიქრობდა კატარინა, - ის არანორმალური სიყვარული, რომელზეც კანელიცა მეუბნებოდა. იქნებ წესი ასეთია, ყველაფერი ასე უნდა იყოს, უნდა გინდოდეს, სხეული კბილებით დაიჭამო და ტანჯვით მოკვდე, რომ ფიზიკურმა ტკივილმა დაგავინყოს ის, რაც უფრო მეტად განუხებს. ალბათ, ასეა.

- არ ვიცი, - უპასუხა დედამ, როცა კატარინამ კითხვა დაუსვა, - არ ვიცი, მიყვარდა თუ არა მამაშენი, როცა ცოლად გაყვევი. ალბათ მას უფრო ვუყვარდი, მე კი მჯეროდა, რომ კარგი ბიჭი იყო, ჭკვიანი, წესიერი, შეძლებული და გაყვევი. სიყვარული ალბათ მერე მოვიდა, თანაცხოვრების შედეგად.

კატარინა პასუხს არ გაუოცებია. ის ცუდად იცნობდა ადამიანებს, მთელი ბავშვობა სახლში ჰქონდა გატარებული. უმაღლესი განათლებაც დახურულ სასწავლებელში მიიღო, სადაც, ძირითადად, მის მგავსად აღზრდილი გოგონები სწავლობდნენ. თუმცა ყინულის ბურთზე დაკვირვება აფიქრებინებდა, რომ მისი ოჯახი გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო. ადამიანების უმრავლესობა სწორედ მისი მშობლების მსგავსად ქორწინდებოდა და არა იმ არანორმალური სიყვარულის გამო, როგორზეც კატარინას სმენოდა.

- მისმინე, კატარინა, - უთხრა დედამ, - ცხოვრება ჩახლართული რამაა. შენ ძლიერი გოგო ხარ, მაგრამ ამქვეყნად არავის შეუძლია, ბუსტად ისე იცხოვროს, როგორც მოუნდება. ყველაფერი გაცილებით რთულადაა, ვიდრე წარმოგიდგენია. ამიტომ შეეცადე, იპოვო კაცი, რომელსაც უფრო მეტად უყვარები, ვიდრე შენ გეყვარება.

- არ შეიძლება, ორივეს თანაბრად უყვარდეს ერთმანეთი? - არ მოეშვა კატარინა.

- არა, - გაუღიმა დედამ, - რადგან დედამინაზე ჯერაც არ დაბადებულა ორი ისეთი ადამიანი, ერთნაირად რომ ფიქრობდეს და განიცდიდეს. ყოველთვის არსებობს ერთი, რომელსაც უფრო მეტად უყვარს და ენატრება, ვიდრე მეორეს.

\* \* \*

იმ წამს, როცა კატარინამ, ბურთის მორიგი დატრიალებისას, პორტში ჩამომდგარი გემიდან გადმოსული თეოდორი დაინახა, იფიქრა, რომ მათ შორის თეოდორი იყო ის,



ვისაც უფრო მეტად უყვარდა და ენატრებოდა. მისმა ჩამოსვლამ კატარინას ძილი დაუმშვიდა და ის ტკივილიც დაავიწყა, ერთი წამითაც რომ არ აძლევდა სხეულის მოდუნების საშუალებას.

ისინი სალუმეების სასახლის ბაღში დაქორწინდნენ. კატარინას ოჯახის წევრების, მსახურებისა და მამამისის რამდენიმე მეგობრის გარდა, ქორწილს არავინ დასწრებია. არც არავის უტირია სიხარულისგან, მხოლოდ კანელიცას გადმოუგორდა ლოყებზე ორიოდ ცრემლი. კატარინა ბედნიერი იყო და ისე იღიმებოდა, რომ მის თვალებში ერთდროულად ჩანდა შორეული მწვერვალების კალთებზე დაღვრილი მზე და თოვლქვეშ მიძინებული უდაბნო.

კატარინას არასოდეს სციოდა. ზამთრის ღამეებშიც კი ყოველთვის შიშველს ეძინა და დილაადრიან პერანგისამარა გადიოდა აივანზე სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად. მისი კაქტუსებიც შეგუებოდნენ კატარინას მაცოცხლებელ კლიმატს.

- გცივა? - ეკითხებოდა კატარინა თეოდორს დილაობით, როცა თხელ ფეხებს საწოლიდან ხალიჩაზე დგამდა და ქმარს გამხდარ ხერხემალს უშვერდა, - მაპატიე, რომ არ გამიფრთხილებიხარ, რა მოჰყვებოდა ჩემთან ერთად ცხოვრებას.

თეოდორი იცინოდა, ცოლს ბურგზე კოცნიდა და კატარინა გრძნობდა, როგორ ბრუნდებოდნენ ოდესღაც თბილ ქვეყნებში წასული ფრინველები მის სხეულში - გამხდარი ფეხებიდან გამჭვირვალე მუცლის გავლით მიიწვედნენ გულისკენ.

- მცივა, - ამბობდა თეოდორი, - მაგრამ ვეჩვევი. მე ხომ ვიცოდი, ვინც მომყავდა ცოლად.

- მაინც ვინ? - ცხვირს მაღლა სწევდა კატარინა.

- ზამთარი, რომელმაც უდაბნო მოიშინაურა, - პასუხობდა თეოდორი და მხრებზე კოცნიდა.

კატარინას ეღიმებოდა. რაც თეოდორი მის ცხოვრებაში გამოჩნდა, კატარინა შეეჩვია ღიმილს, შეეჩვია ბედნიერების შეგრძნებას.

- აი, ესაა სიყვარული, - ეუბნებოდა კანელიცა, როცა თეოდორი სახლიდან გადიოდა და კატარინა მართო რჩებოდა თავის ნახაზებთან, - ის სიყვარული, რომელზეც გიყვებოდით.

ქალაქმა აღმოაჩინა, რომ თეოდორმა სალუმეების ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. კატარინამ ცისფერი ჭიშკარი ფართოდ გააღო სტუმრებისთვის და თვითონაც დაიწყო სხვების გამართულ წვეულებებზე სიარული. ქალაქში ახლა უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ კატარინას ოჯახის საოცარ სიმდიდრეზე, თუმცა აღიარეს ისიც, რომ სალუმეები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და მათი სასახლის კედლებში არავითარი საბარელი საიდუმლო არ იმალებოდა.

ერთ საღამოს კატარინამ აღმოაჩინა, რომ ბურთში ვედარაფერს ხედავდა და გაახსენდა, რა უთხრეს მშობლებმა ოდესღაც, მეთორმეტე დაბადების დღეზე, როცა ბურთი საზეიმოდ გადასცეს საჩუქრად: ბედნიერება ადამიანს ჯადოქრობის უნარს აკარგვინებს.



- მგონი, დრო მოვიდა, მშენებლობა დავიწყო, კანელიცა, - თქვა მაშინ კატარინამ და ნახაბი საგულდაგულოდ დაახვია, - შენ როგორ ფიქრობ?

\* \* \*

- თქვენ სათანადოდ ვერ აფასებთ ვითარების სირთულეს, - ხელები გაშალა ქალაქის მერმა, - მესმის, რომ მხოლოდ სიკეთე გინდათ, მაგრამ თქვენი პროექტის განხორციელება შეუძლებლად მიმაჩნია.

კატარინამ ნახაბს დახედა და თითები მაგიდაზე აათამაშა.

- ვერ ვხვდები, რა მიზეზი გაქვთ ჩემთვის უარის სათქმელად, - უთხრა ქალაქის მერს და თავი ასწია, - ქარვის ყურე დიდი ხანია გაპარტახებულია. თუ ჩემი პროექტი ჩავარდება, არავინ წააგებს, მხოლოდ მე. ჩემი ფული დაიკარგება, ჩემი რეპუტაცია დადგება ეჭვქვეშ. თქვენი რა მიდის?

ქალაქის მერმა ამოიოხრა.

- სწორად გამიგეთ. ქალაქის ყველაზე ღარიბ მოსახლეობას ცრუ იმედს ვერ მივცემ. ვერ დავპირდები იმას, რისი გაკეთებაც შეუძლებელია. მშენებლობა რომ ჩავარდება, თქვენ არავის გაახსენდებით, მე მომდგებიან.

კატარინა მიხვდა, რომ ვერც საკუთარი კომპეტენტურობის მტკიცებით და ვერც თხოვნით ვერაფერს გახდებოდა და გადანყვიტა უკიდურესი ზომისთვის მიემართა:

- ბატონო მერო, თქვენი აზრით, რა მოხდება, თუ ვიტყვი, რომ ქალღმერთი იურატე გამომეცხადა და მიბრძანა, მის ნასახლარზე ახალი სახლები ავაშენო ქალაქის უღარიბესი მოსახლეობისთვის, თქვენ კი მშენებლობის ნებართვას არ მაძლევთ? წარმოგიდგენიათ, რას იზამს ხალხი? პროტესტის ტალღას ველარასოდეს შეაჩერებთ და გადადგომა მოგიწევთ.

მერი გაოცებული ჩანდა. ვერასოდეს წარმოედგინა, რომ კატარინა სალუმაე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დაამთავრდა არქიტექტურის ფაკულტეტი, ასეთ ხმაურსა და მღელვარებას შემოიტანდა ქალაქში. მერი საკუთარ თავს გამოუტყდა - მას ყოველთვის ეგონა, რომ ქალები უმაღლეს სასწავლებლებს იმისთვის ამთავრებდნენ, რომ მერე სარფიანად გათხოვილიყვნენ.

- ჩვენს ქალაქში არცერთ... - შეყოყმანდა მერი და პაუზის შემდეგ, ისევ განაგრძო, - არცერთ ქალს აუშენებია შენობა, მით უმეტეს, მთელი უბანი...

კატარინამ ნახევარი სახით გაიღიმა:

- ჰოდა, გილოცავთ, ბატონო მერო. გამოდის, თქვენ ისტორიული მოვლენის თანამონაწილე ხართ.

\* \* \*

კატარინას სულ უფრო და უფრო უფითრდებოდა კანი და უთეთრდებოდა თმა. მას

ყოველდღე უყვარდა თეოდორი და ეს სიყვარული თოვლივით ილექებოდა მის გამხდარ სხეულში.

- არასოდეს მიმატოვო, - ეუბნებოდა კატარინა ქმარს საღამოობით, როცა თეოდორი ოთახში ბოლთას სცემდა, წითელ ღვინოს წრუპავდა და უთვალთვალებდა, როგორ დასტრიალებდა ცოლი თავს ნახაზებსა და მაკეტებს.

თეოდორი იცინოდა და კატარინას შუბლზე კოცნიდა.

- არ მიმატოვო! - დაუინებით იმეორებდა კატარინა და თრთოდა. და მის მთრთოლვარე სხეულს კიდევ უფრო მძაფრად ასდიოდა მიწაზე ახლადდადებული თოვლის გულისწამლები სურნელი, - შენ გარეშე მშენებლობას ვერ დავამთავრებ.

- რა სულელი ხარ, - შუბლიდან ლოყებზე, ტუჩებზე, მხრებზე გადადიოდა თეოდორი, - ისეთ ქალებს, როგორიც შენ ხარ, კაცები არ ტოვებენ.

და როცა თეოდორი ნიჩბების მსგავსი, ცხელი ხელებით ეხებოდა მის წვრილ წელსა და წაწვეტებულ თეძოს ძვლებს, კატარინა ხედავდა უდაბნოს მთვარეს, უჩუმრად მიმალულს მის თვალებში მოტრიალე თოვლის ნამქერს მიღმა.

მშენებლობა საოცარი სისწრაფით მიდიოდა წინ. კატარინა მთელ დღეებს ქარვის ყურეში ატარებდა. თავიდან თეოდორი ხშირად მიდიოდა ცოლის გასამხნეველად, მაგრამ როცა შენობებს მეექვსე სართული დაადგეს და ქალაქის ყველაზე ღარიბმა მოსახლეობამ ქოხმახებს შორის საზეიმო აღმები გამოკიდა, თეოდორმა მშენებლობაზე სიარულს უკლო და ხელები გაუგრილდა.

კატარინა არაფერს ამბობდა. ცუდი წინათგრძნობა არ ასვენებდა და ცდილობდა, მშენებლობა იმაზე სწრაფად დაესრულებინა, ვიდრე გეგმავდა.

\* \* \*

ბურთი ნელ-ნელა გადაინმინდა. მინის მიღმა ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ სახლები, ქუჩები, ბღვა, მდინარე, ტბები და ადამიანები. კატარინას ხელები უკანკალებდა. ის ხედავდა თეოდორს, რომელიც იდგა ვიწრო ქუჩაზე, სხვისი ფანჯრების ქვეშ, იმ ქალის ფანჯრების ქვეშ, რომლის თითების ჯადოსნურ მუსიკაზეც ქალაქში ბევრს ლაპარაკობდნენ, იდგა და თვალებიდან ის სინათლე ეღვრებოდა, რომელიც კატარინას ოდესღაც შეუყვარდა და მერე დაეკარგა.

და კატარინა მიხვდა, რომ კაცები არ ტოვებდნენ მის მსგავს ქალებს, არ ტოვებდნენ, მაგრამ დალატობდნენ.

ქალაქს ისე ნათლად ხედავდა, როგორც არასდროს. ხედავდა თითოეულ დეტალს, მცენარეებს და ცხოველებს, მზის შუქზე მოლივლივე თევზებს. ხედავდა, რას ფიქრობდნენ და განიცდიდნენ ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა კატარინას გულში.

- სად არის ჩემი ბედნიერება? - ტუჩების ძლივსშესამჩნევი მოძრაობით ჰკითხა კატარინამ საკუთარ ანარეკლს, რომელიც ისე ჩანდა მინის მომრგვალებულ ზედაპირზე, თითქოს გუმბათად გადაჰკვროდა ქალაქს, - სად არის ჩემი სიყვარული?

ბურთი ათასფრად ელავდა. კატარინამ ფრთხილად მოხსნა ვერცხლისფერი სადგამი და შავი, ბლანტი სითხის რამდენიმე წვეთი მარცხენა ხელისგულზე გადმოიღვარა.

- რათა ნერგმა, მისმა დარგულმა, ვერასოდეს მოისხას ნაყოფი... - თქვა კატარინამ და სითხე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით, ენის ქვეშ წაისვა. მის ხმაში ერთდროულად ისმოდა ჩრდილოეთის ზამთრის ნაბიჯი, ტყეს ერთი ჩაქროლებით რომ უყინავს სულს და უდაბნოს დამის ქარი, უმოწყალოდ რომ ახშობს მხედველობას, სუნთქვასა და სმენას.

როცა ნაშუალამევს დაბრუნებული თეოდორი საწოლში ჩანვა და თვალები მაგრად დახუჭა, კატარინა საბნის ქვეშ ისე შესრიალდა, როგორც ყინული - წყალში.

- შეინახოს ტკივილი წყალმა... - ჩაილაპარაკა კატარინამ და ქმარს მოეხვია, - და იშვას შიში...

და მისი კოცნა იყო უფრო მწარე, ვიდრე მოყინული კიდურების ტკივილი და უფრო ხანგრძლივი, ვიდრე დეკემბრის ყველა ღამე ერთად.

\* \* \*

კატარინა ექვს თვეს იცდიდა. ელოდებოდა, როდის იმოქმედებდა შხამი. ის უკვე აღარ ცდილობდა, მინის ბურთში დაენახა ქალაქი და ადამიანები.

იმ დღეს, როცა ქალმა, რომლის ფანჯრებქვეშაც კატარინამ თეოდორი დაინახა, თობები შვა, საღამოხანს შინ დაბრუნებულ თეოდორს ლურჯი ჭიშკარი ჩაკეტილი დახვდა. მისი წასვლის დრო დამდგარიყო.

უბანს, რომლის მშენებლობაც ქარვის ყურეში დასასრულს უახლოვდებოდა, იმავე საღამოს დაეგზარა კედლები. ჩამონგრეულმა ხარაჩომ ორი მუშა მოიყოლა ქვეშ. ქოხმახებს ხანძარივით გადაუარა საზარელმა ამბავმა - ველარასოდეს აშენდებოდა ახალი სახლები ქალაქის ღატაკთათვის.

კატარინას არ დაუნახავს ნგრევა. როცა მინის ბურთი გასკდა და ნამსხვრევები იატაკს წყლის წვეთებივით მოედო, დაუნახავდაც ყველაფერს მიხვდა.

კატარინა შუალამისას მივიდა ტბასთან. ნაპირზე დადგა და ტალღებს გახედა. ეშინოდა. მის ყველა ტკივილს ერთად მოეყარა თავი წყალში, რომელიც იდგა და არსაით მიედინებოდა.

ტბა შეირხა.

- რატომ მოხვედი? - ჰკითხა კატარინას წყალმა.

- დავიღალე, - თქვა კატარინამ.

წყალმა სიღრმისკენ იბრუნა პირი.

- ძალიან დავიღალე, - გაიმეორა კატარინამ.



- შენ, რომელიც მუდამ გამირბოდი, მუდამ ჩემგან დამალვას ცდილობდი, შენ, რომელიც იყავი ისეთი ქედმაღალი, რომ ზღვას უპირებდი ბორკილებში მოქცევას, შენ, რომელსაც არ გჯეროდა ჩემი ძალის, მაინც ჩემთან მოხვედი, როცა სიყვარული არ გეყო, - ჩაიშრიალა წყალმა.

კატარინამ მხრები დაუშვა. სულ თეთრი იყო.

- მიმიღე... - სთხოვა ტბას და თვალეები დახუჭა.

ტბამ თეთრი შროშანები გაშალა და ისე, რომ მხოლოდ კატარინას გაეგონა, ამოილაპარაკა:

- შეინახოს ტკივილი წყალმა...

კატარინა კისრამდე შევიდა ტბაში. ველარაფერს გრძნობდა, მხოლოდ სითბოსა და შიშს.

- მეშინია... - უთხრა წყალს.

ტბამ მკრთალად გაიღიმა და ფართოდ გაშალა მდორე მკლავები.

კატარინა მიხვდა, რომ მისმა სხეულმა დნობა იწყო.

- შეინახოს ტკივილი წყალმა... - თქვა მან და ტბას შეერია.

## მარია

ქალაქის ბოლოს, ყველაზე ღარიბ უბანში, სადაც ზღვის მოქცევა ყოველდღე ურეცხავდა საძირკველს ფარღალაღა, ქარ-წვიმისგან დაღრეცილ სახლებს, მარია ცხოვრობდა, წაბლისფერთმიანი მარია, მუქი კანით და გამჭვირვალე, ცისფერი თვალეებით. ცხოვრობდა წყლისკენ გადაქანებულ ქოხმახში, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა სხვა იქაური ქოხმახებისგან. კარის გაღებისთანავე მარიას სახლიდან სიღარიბის, შიმშილისა და სასონარკვეთის სუნი გამოდიოდა, თუმცა თავად ის სხვანაირი გოგო იყო, გამართული მხრეებით, თამამი ნაბიჯითა და მაღალი შუბლით. არავის ჰგავდა.

მზეს არასოდეს ენახა, როგორ იხდიდა და იცვამდა მარია ჯვალის კაბებს, რადგან მისი ქოხის ერთადერთი ფანჯარა მემობლის ყრუ კედელს უყურებდა. მზეს არაფერი ესაქმებოდა ღარიბთა უბანთან. ზღვასთან მოდიოდა და ჩერდებოდა, ნაბიჯსაც არ დგამდა დელფინების ყურისკენ, სადაც ადამიანები, უკვე დიდი ხანი იყო, მისი სინათლის ნარჩენებით იკვებებოდნენ.

არც მარიას ენახა საკუთარი ანარეკლი თავიდან ბოლომდე და ნათლად, რადგან მის ქოხში სარკის ნატეხიც კი არ მოიძებნებოდა. ის ყოველდღე, ხელის ცეცებით სწავლობდა საკუთარ სხეულს, მერე ზღვაში თვალმოკრულ, გვერდზე გაქცეულ სილუეტთან აჯვარებდა და ცდილობდა, წარმოედგინა, როგორი იყო სინამდვილეში, როგორ დადიოდა, როგორ ამოძრავებდა ხელებს, როგორ ჭმუხნიდა შუბლს და როგორი ნაჩვრეტები უჩნდებოდა ლოყებზე, როცა იღიმებოდა. აინტერესებდა, ჰგავდა თუ არა რალაციტ მაინც იმ ლამაზ და მდიდარ გოგოებს, რომლებზეც ხშირად ლაპარაკობდნენ ქალაქში, რომლებიც უყვარდათ, რომლებსაც ჰბაძავდნენ.



მარიამ არასოდეს იცოდა, როგორი კაბები იყო მოლაში – რომ სცოდნოდა, მაინც

ვერასდროს მოახერხებდა, მოდას აპყოლოდა. ჯვალს ტომრებისგან შეკერილი კაბების გარდა, არავითარი სამოსი არ გააჩნდა, არაფერი სმენოდა კაცობრიობის უახლესი მიღწევების და ტექნიკური პროგრესის შესახებ, არ აინტერესებდა პოლიტიკა და ეკონომიკა, რადგან თვლიდა – მთელი მსოფლიოც რომ ამობრუნებულიყო, მისი უბნის სიღატაკე მაინც უცვლელი დარჩებოდა. სულ ერთ ნივთზე ოცნებობდა მარია, საკუთარი თავის დასანახად – სარკე უნდოდა, მეტი არაფერი. ხშირად უფიქრია, რა ბედნიერი იქნებოდა, ის მაინც რომ სცოდნოდა, რომელი ფერები უხდებოდა მისი სახის კანს და როგორ ეცვლებოდა გამომეტყველება, როცა იღიმებოდა.

მზე ერთადერთხელ გამოჩნდა მარიას ფანჯარასთან, ერთადერთხელ, როცა ქალაქის მდიდარი უბნებიდან იალქნებიანი ნავეებით სასეირნოდ წასულმა ბიჭებმა უკანა გზაზე მათ ვიწრო ქუჩაზე გამოიარეს ყიჟინით. ერთ-ერთმა ბურთი გააგორა, დანარჩენები უკან დაედევნენ და ვიწრო ჩიხებში დაიფანტნენ.

მზე იოჰანესს მოჰყვა. მარიას არასოდეს უკითხავს, რამ ძალამ უბიძგა იოჰანესს, ჩამონგრეულ კედლებს შორის გამძვრალიყო და ბურთის გადევნების ნაცვლად, კედლები ეთვალიერებინა. მარიამ არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ იოჰანესმა გვერდზე გაიხედა და ჩალით გადახურული ოთახის შუაგულში მდგარი მარია დაინახა, რომელიც იის ნაყენით იბელდა ძუძუსთავეებს და ცდილობდა, წარმოედგინა, როგორი ტუჩები ჰქონდა – ალბათ, ძუძუსთავეების ფერის. ალბათ.

მთავარი ის იყო, რომ იოჰანესი მოვიდა, ისე, როგორც მანამდე მზე მოდიოდა დილაობით სხვებთან, მათთან, ვის ფანჯრებსაც სიმაღლე ჰყოფნიდა მისი სხივების მისაღებად. მარიამ იის ნაყენით სავსე თასი იატაკზე დადგა და ფანჯარასთან მივიდა.



პირველად მაშინ დაინახა თავისი შიშველი სილუეტი და სახე. მარია მიხვდა – თუ გსურს, დაიჯერო, რომ ლამაზი ხარ, საკუთარი თავი მის თვალებში უნდა ეძებო, ვისაც გინდა, რომ უყვარდე. იოჰანესის თვალებში მარია ისეთი ჩანდა, როგორმეც მხოლოდ უოცნებია, რომ ყოფილიყო.

– ცისფერი კაბა მომიხდებოდა, – გაიფიქრა მარიამ და ბიჭს გაუღიმა.

\* \* \*

მხრებში გამართული მიცურავდა მარია წყალქვეშ, ტალღებს სწრაფად და ფრთხილად მიარღვევდა. ფეხები დაჭიმული ჰქონდა, ტანზე მიკრული მკლავები – წელს ქვემოთ გაშლილი, ნიკაპი – ანული. კანით სუნთქავდა. მან ზეპირად იცოდა ყველა დინება, ყველა წყალქვეშა შესახვევი, ყველა ღრმული და ჩაძირული გემი. ზღვას უყვარდა მარიას სხეული, რომელიც ღრუბელივით ისრუტავდა მარილს, წყალმცენარეების სუნსა და თევზების ხმებს, ზღვას უყვარდა მარიას თმა, რომელიც შეუმჩნევლად ერეოდა ტალღებს, ზღვას უყვარდა მარია – ყველაზე ლამაზი მოკვდავი გოგო, რომელიც ზღვის სიღრმეს ოდესმე ენახა თავისი ღრმა, მოუხუტავი თვალებით.

არც მარია ხუტავდა თვალებს ცურვისას. ის ხედავდა, როგორ მიარღვევდნენ ტალღებს დელფინები მის გვერდით, როგორ მიჰყვებოდა მზის ბილიკს თევზების ჭრელი ქარავანი, როგორ შლიდნენ ყლორტებს წყალმცენარეები მისი დანახვისას და როგორ მიიწვევდნენ მაღლა, რომ მარიას მკერდსა და ფეხებს შეხებოდნენ. და მისი თვალებიდან მომავალი გამჭვირვალე, ცისფერი შუქი ზღაპრული ლამპარით ანათებდა ყველა მოქცევასა და მიქცევას.

ყოველთვის შიშველი ცურავდა. გამყოფი არ არსებობდა მარიასა და წყალს შორის. ზღვამ ასწავლა, როგორ უნდა ეცხოვრა, როგორ უნდა გაეკვლია გზა ქალაქის გულისკენ, როგორ უნდა შეეღწია სახლების ქვეშ დაგუბებულ წყლებში და ეთვალთვალა მათთვის, ვისთანაც სხვაგვარად ახლოს ვერ მივიდოდა. ყოველთვის, როცა ზღვის ხვეულებს მიჰყვებოდა საიდუმლო გასასვლელისკენ, მარია ფიქრობდა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო და თვითონაც ტალღად იქცეოდა, ერთ ჩვეულებრივ ტალღად, რომელიც მერე სხვა გოგონებს ასწავლიდა გზას მიუვალი ადგილებისკენ. ოღონდ მანამდე უნდა ეცხოვრა, ეცხოვრა და ბედნიერი ყოფილიყო, ჰყვარებოდა და გაეჩინა შვილები, ქოხმახის ნაცვლად, ლამაზი სახლი ჰქონოდა სანაპიროზე, უზარმაზარი სარკეებითა და ბევრი წიგნით.

მარიამ მალევე გაიგო, სად ცხოვრობდა იოჰანესი – სახლში, რომლის საძირკველშიც ვერცხლისფერი თევზები ცურავდნენ. ის მშვიდი, ჩუმი ბიჭი იყო, მკრთალი, კეთილი ღიმილითა და გრძელი, გამხდარი თითებით. არაფრით ჰგავდა იმ ბიჭებს, ვის გვერდითაც მარია გაიზარდა – მეთევზეებსა და მეზღვაურებს, მენავეებსა და ნიჟარებით მოვაჭრეებს, მზით დამწვრებს, ძლიერებს, ჩხუბისთავეებს. იოჰანესი სხვა იყო.

ვერცხლისფერ თევზებთან მიახლოება მარიამ კანით იგრძნო – დინებას სიცივე შეეპარა. გოგო წყალში გასწორდა, გამართული ფეხები სირინოზის კუდივით დაუშვა ფსკერისკენ, ვისერი უკან გადახარა და მაღლა აიხედა. მის თავზე ვერცხლისფერ ნათებად ირეოდნენ თევზები. მარიამ მკლავები ტანზე მიიკრა, თითები ვერტიკალურად გაშალა და ნათებისკენ დაიძრა.



იოჰანესის სახლის საძირკველში ჩამდგარი წყლის ბედაპირზე ჯერ ნაბლისფერი თმა გამოჩნდა, მერე ცისფერი თვალები, ბოლოს კი არანორმალურად ლამაზი ტანი ერთბაშად ამოიშარდა და თევზებს სიმშვიდე დაურღვია.

მარიამ დერეფანი გაიარა და კიბეს აუყვა. მშვენიერი სხეული ჰქონდა, წვრილი წელი, მრგვალი თეძოები და სრულყოფილი მხრები. ზღვის სუნით გაჟღენთილ, სველ კვალს ტოვებდა; ისე მიდიოდა, თითქოს თავად იყო დიასახლისი, თითქოს მთელი ცხოვრება ამ კედლებში გაეტარებინა.

იოჰანესს ზურგზე ეძინა. მხრებსა და სახეს მთვარე უნათებდა. მარიამ უხმოდ დახედა. თხელი, დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა. ისევე მშვიდად სუნთქავდა, როგორც ცხოვრობდა. მარია მისკენ დაიხარა და ბიჭის კანი დაეწოსა. თავიდან ვერაფერი იგრძნო, მერე საიდანღაც მოვიდა ატმისა და ნუშის ძლივსშესამჩნევი სურნელი, რომელიც თითქოს ეკუთვნოდა და არც ეკუთვნოდა იოჰანესს. მარიას გააჟრჟოლა. ღრმად ჩაისუნთქა და იგრძნო, რომ ფილტვებში ცარიელი ჰაერი გადაუვიდა, შორიდან მოსული სურნელი ოთახში დარჩა. ატმები და ნუშები სადღაც ყვაოდნენ, სხვაგან.

- დაბრუნდი ჩემთან, - ჩუმად თქვა მარიამ და იოჰანესის სახე ხელებში მოიქცია. გოგოს ხელის გულებიდან თბილმა, მარილიანმა წყალმა გამოჟონა.

იოჰანესი არ განძრეულა.

- დაბრუნდი ჩემთან, - გაიმეორა მარიამ, - რომ არასდროს დაგავიწყდეს ჩემი ხელების სითბო.

იოჰანესმა ოდნავ შეარხია ქუთუთოები. მარია ადგა და სარდაფისკენ ლანდივით გასრიალდა. სანამ წყალს შეერეოდა, მკრთალ სილუეტს მოჰკრა თვალი - მაღალმა, წითელპომადიანმა გოგომ სახლის კარი გაიხურა და ბაღში გაუჩინარდა. ნაკვთები არ უჩანდა. მხოლოდ მაისის მიწურულის ვარდივით წითელი ტუჩები უნათებდა ნაშლილ სახეს.

\* \* \*

მეორე დღეს თევზებმა უკვე იცნეს მარია. აღარ შეშფოთებულან. გოგომ მათ შორის ამოცურა და წყლის ბედაპირზე დანვა. მაღლა აიხედა. ჯერზე გამოსახული ქალთევზა ქარვის ცრემლებით დასტიროდა მის მკლავებში მოქცეულ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მათ უკან ზღვა დელავდა, დელავდა დაუნდობლად. ქალთევზა ცოცხალს ჰგავდა. ოქროსფერი თმა მკერდს უფარავდა და წელამდე სწვდებოდა. ზღვისფერ თვალებში ერთდროულად უჩანდა სასონარკვეთა, მრისხანება და სიყვარული.

- შენ ხომ გესმის ჩემი, - უთხრა მარიამ ჯერს, - შენ ხომ იცი, როგორია სიყვარული სინამდვილეში, როგორია, როცა ადგილს ვერსად პოულობ, ვერც წყალში, ვერც დედამიწაზე...

ქალთევზამ არაფერი უპასუხა. მისი ქარვის ცრემლები მოკაიფე ვარსკვლავებით აჩნდა ჯერს.

იოჰანესს ისევ ზურგზე ეძინა. ხელები თავვევებ ამოეწყო და ისე იწვა, თითქოს მგეს ეფიცებოდა ზღვის პირას. მარიას საშინლად მოუნდა, ჯერ თვალების ქვეშ ოდნავ ამობურცული ძვლები დაეკოცნა მისთვის, მერე ჩაცვენილი ლოყები, ბოლოს დამსკდარი ტუჩები, რომელთაც, გოგოს ვარაუდით, მარილის გემო უნდა ჰქონოდათ.

იოჰანესი ოდნავ შეიშმუშნა, საბანი მხრებზე ჩამოუცურდა და ყელი და ლავინის ძვლები გამოუჩნდა. მარია სანოლზე დაჯდა და ტერფები მიატყუპა იოჰანესის ტერფებს.

- და ყველა ტალღამ გაგახსენოს ჩემი შეხება, - თქვა მარიამ და ფეხი იოჰანესის მუხლისკენ ჩააცურა, - წყურვილმა ჩემი ტუჩებისკენ გზა გაპოვნინოს...

იოჰანესის ოთახიდან გასვლისას მარიამ კიდევ ერთხელ დაინახა აჩრდილი - ამჯერად გოგოს, ტუჩების გარდა, შავი ტუშით საგულდაგულოდ აპრეხილი წამწამებით დაჩრდილული თვალებიც უჩანდა.

- ვინ ხარ? - ჩუმად ჰკითხა მარიამ, სანამ აჩრდილი გაუჩინარდებოდა.

უცნობ გოგოს არაფერი უთქვამს. სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან შეერია ქალაქის სიბნელეს.

\* \* \*

- არ გაიღვიძო, - ჩასჩურჩულა მარიამ იოჰანესს და სველი, მარილიანი ტანით მიეკრა, - მიყვარს, როცა მძინარეს გიყურებ.

იოჰანესმა მხოლოდ ოდნავ შეარხია ქუთუთოები.

- ოღონდ ახლა არ გაიღვიძო, - განაგრძო მარიამ, - ცოტაც და შენც მოგინდება ჩემთან ყოფნა... ოდესმე ჰყვარებიხარ გოგოს, რომელიც ისევე გაიზარდა, როგორც დაიბადა? ოდესმე ჰყვარებიხარ გოგოს, რომელსაც, ძონძების გარდა, სხვა ტანსაცმელი არ გააჩნია და სუნამოს ნაცვლად, სიღარიბის სუნი ასდის? ალბათ, არასოდეს. ჩემისთანა გოგოებთან რა გესაქმება...

მარია სანოლზე წამოჯდა და იოჰანესის მშვიდ სახეს დახედა.

- გპირდები, რომ შევძლებ, დაგიმსახურო. ყველაფერს ვისწავლი, რასაც მოისურვებ. ყველაზე კარგი გოგო გავხდები, ოღონდ დაბრუნდი ჩემთან, კიდევ ერთხელ დადექი ჩემი სახლის კედელთან და გიყვარდე.

იოჰანესმა თვალები ოდნავ გაახილა და, ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა, თავისი ოთახის ლურჯ სიბნელეში ორი სავსე მთვარე დაინახა - მარიას ულამაზესი მკერდი, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა ზღვის მარილის ქათქათა კვალი.

სანამ ბიჭი გამოფხიზლდებოდა, მარიამ ოთახიდან აორთქლება მოასწრო. იოჰანესი სარდაფამდე ჩაჰყვა მის ნაფეხურებს, მაგრამ წყალში გაუჩინარებული ორი თხელი ტერფის გარდა, ვეღარაფერი დაინახა.

მარიამ, რომელიც წყალქვეშა გვირაბში მიიკვლევდა გზას, უკვე წამდვილად იცოდა, რომ მეორე დღეს იოჰანესი საკუთარი ფეხით მივიდოდა მასთან, ღამის ბუნდოვანი ზმანების ხელახლა და ნათლად სანახავად.

ჯვალოს სამოსი მძიმედ ეკიდა მარიას მშვენიერ მხრებს. გოგო კოჭამდე წყალში იდგა და იღიმებოდა, ცალი ხელით დელფინს ეფერებოდა, მეორე ხელით კი კაბის კალთას სწევდა მაღლა, რომ არ დასველებულიყო. მორღვეული ჯვალოს ქვეშ მზით დამწვარი, მოყავისფრო მუხლები მოუჩანდა.

იოჰანესი ნაპირიდან უყურებდა მარიას. ისეთი ლამაზი იყო, ისე უხდებოდა ზღვას, ჩამავალი მზით განათებულ დელფინების ყურეს, რომ ბიჭს მისკენ ნაბიჯის გადადგმა ვერაფრით გაეხედა.

მარიამ იოჰანესისკენ გამოიხედა და ნაბიჯი გადმოდგა. ის ზღვიდან მოდიოდა და თან მოჰყვებოდა აჭრელებული ჰორიზონტი და წყლის არანორმალური სიმშვიდე. მოდიოდა და მოჰქონდა ტალღების ჯადოსნური სურნელი.

- მოხვედი, - თქვა მარიამ, როცა იოჰანესის პირისპირ დადგა.

- იცოდი, რომ მოვიდოდი? - გაკვირვებით იკითხა იოჰანესმა.

მარიას ღიმილი არ მოშორებია სახიდან.

- მე მოგიყვანე.

იოჰანესი უხერხულად შეიშმუშნა.

- არც კი ვიცე, რატომ მოვედი. წავალ.

- მე ვიცე, რატომაც მოხვედი, - მარიამ ცალი ხელით თმა გადაინია, მეორით დელფინს დრუნჩზე მოეფერა, - გინდა, ნამდვილი ზღვა გარჩენო?

იოჰანესი ნაპირზე იდგა. თეთრი შარვალი და პულოვერი ეცვა. ერთი შეხედვით, სკოლიდან გამოპარულ უფროსკლასელს ჰგავდა.

- გინახავს, როგორია ჰორიზონტი ახლოდან? - განაგრძო მარიამ და ჯვალოს კაბა გადაიძრო.

ის მზის დისკოში იდგა, იდგა, როგორც სრულყოფილება და სახეზე უბარმაზარი, ნათელი ღიმილი დასთამაშებდა.

- წამოდი ჩემთან, - თქვა მარიამ და დელფინის ბურგზე მოხერხებულად მოკალათდა.

როცა გაშლილ ზღვაში შევიდნენ, მარია მთელი ტანით შემობრუნდა და იოჰანესს ფეხები წელზე შემოხვია.

- არ გინდა, რაიმე მითხრა?

იოჰანესმა გაიღიმა.

- რა გინდა, რომ ვითხრა?



- ის, რომ ჩემთან ყოფნა კარგია.

- ეგ ხომ ისედაც იცი, მარია...

მარიას სახე გაეზზარა.

- არა, არ ვიცი. მინდა, რომ თქვა.

- მარია...

მარიამ ღრმად ჩაისუნთქა ზღვის ჰაერი.

- გრძობ მზის სუნს? - ჰკითხა იოჰანესს.

- არ ვიცი, მზის სუნი როგორია, - უპასუხა ბიჭმა. თეთრი პულოვერი დასველებოდა და სასაცილოდ გამოიყურებოდა.

- მზის სუნს ისინი გრძობენ, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰყვარებია სხვა, საკუთარ თავზე მეტად. შენ გყვარებია?

- მგონი, კი, - თქვა იოჰანესმა.

მარია მოიქუფრა და შეტრიალდა. იოჰანესი თვალს ვერ აშორებდა მის გამხდარ ყელს, ლავინის ძვლებსა და შიშველ მკერდს, რომელიც უკნიდან საოცრად ჰგავდა უდაბნოში აღმართული ქვიშის მთაგრეხილის ფერდობს.

- ღრმად შეისუნთქე, - ამოიჩურჩულა მარიამ, - არ შეიძლება, გიყვარდეს და მზის სუნი ვერ იგრძნო. უბრალოდ, არ შეიძლება.

\* \* \*

ქალაქის აღმოსავლეთით, იებით სავსე მინდორში, მარია იწვა. თავი იოჰანესის კალთაში ედო და სამყარო თავისი ეგონა. იოჰანესი ტალღებად დაყრილ თმაზე ეფერებოდა. თვალდახუჭული იღიმებოდა მარია. ახლა მას უკვე შეეძლო, მთვარის სუნიც ეგრძნო ნაშუაღამევს.

- შენი მშობლები როგორები არიან? - ჰკითხა უცებ იოჰანესს.

- ჩვეულებრივები, - გაიცინა იოჰანესმა, - დედა სულ ნერვიულობს, მამა სულ ჩემს მხარეს იჭერს. ზოგჯერ კამათობენ, თუმცა სერიოზულად არასოდეს უჩხუბიათ.

მარიამ ამოიოხრა.

- დედაჩემი არ მახსოვს, - თქვა ჩუმად, - მისი სახელიც კი არ ვიცი. მამას არასოდეს უხსენებია.

- უცნაურია, - მხრები აიჩეჩა იოჰანესმა.

- ჰო, - დაეთანხმა მარია, - მამა მეზღვაური იყო, კეთილი და სიმპათიური. მახსოვს, როცა იცინოდა, ლოყებზე პატარა ორმოები უჩნდებოდა.

- შენსავით.

- მართლა? - გაუხარდა მარიას, - ყოველთვის მაინტერესებდა, ვგავარ თუ არა. ნამდვილი სარკე არასოდეს მქონია, რომ საკუთარ თავს დავკვირვებოდი.

იოჰანესი დაიხარა და მარიას შუბლზე აკოცა.

- ამბობენ, რომ დედაჩემი აქაური არ იყო. არავის უნახავს, - განაგრძო მარიამ, - მე მამა მზრდიდა. ერთხელ კი, ცხრა წლის რომ ვიყავი, მამა ბღვაში გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ჩემს თავს ვუთხარი, რომ მზესთან წავიდა. ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ის, ვინც სიკეთეს აკეთებს და, მიუხედავად ტკივილებისა, არ ბოროტდება, მზეს მიჰყავს თავისთან. მეუბნებოდა, რომ სინამდვილეში მზე სწორედ ასეთი ადამიანების გულებისგან შემდგარი დიდი სინათლეა.

მარია ტიროდა. იოჰანესი ფრთხილად ეხებოდა მის ტუჩებს და ცრემლების სიმლაშეს მთელი არსებით გრძნობდა.

- მართლ გავიზარდე. ჩემთვის არავის უთქვამს, რა ხდება, როცა გოგოები ქალებად იქცევიან, ამიტომ როცა ფეხებს შორის ჩამოღვრილი სისხლი დავინახე, მეგონა, ვკვდებოდი. იატაკზე ვინეჩი და ველოდებოდი, როდის შევწყვეტიდი სუნთქვას, სანამ მეორე დღეს მეზობელმა არ მიპოვა, მოკუნტული და ერთიანად მოთხვრილი. წერა-კითხვა ჩემით ვისწავლე. მერე სკოლაშიც მოვახერხე სიარული. ბიბლიოთეკიდან წიგნებს ყოველდღე ვეზიდებოდი და ვკითხულობდი, სულ ვკითხულობდი, მზისა და მთვარის შუქზე.

- შენ ყველაზე კარგი გოგო ხარ დედამიწის ბურგზე, - ჩუმად უთხრა იოჰანესმა.

- არა, ასე არ არის, - გაიღიმა მარიამ, - უბრალოდ, მინდა, რომ ერთ დღეს მეც მზემ წამიყვანოს თავისთან. ცხოვრება უფრო ადვილია, როცა ადამიანი ამაზე ფიქრობ.

იოჰანესი წამოდგა. ხელში იეზი ბღუჯად ეჭირა.

- გაიხადე, - უთხრა მარიას.

მარია შეცბა.

- გთხოვ... - დაამატა იოჰანესმა.

მარიამ წელი მოძრაობით გადაიძრო ჯვალს კაბა. იოჰანესი მასთან მივიდა, ფრთხილად დაანვინა მინდორზე და მკერდი იეზით დაუფარა.

- მინდა, ასეთი დაგიმახსოვრო, - თქვა იოჰანესმა და მარიას აკოცა.

- დამიმახსოვრო? - იდაყვებზე წამოიწია მარია, - რას ნიშნავს, დამიმახსოვრო?

- წამოხვალ ჩემთან ერთად ქალაქის დღესასწაულზე? - თემა სასწრაფოდ შეცვალა იოჰანესმა.

- რა თქმა უნდა! - სიხარულით შეხტა მარია, - რა თქმა უნდა, წამოვალ!

გამთენიისას შინ დაბრუნებულ მარიას ქოხის კართან ყუთი დახვდა, რომელშიც გრძელი, ცისფერი კაბა იდო.

- ალბათ, იოჰანესმა გამომიგზავნა, - გაიფიქრა და ამ ფიქრმა წარმოუდგენელი ბედნიერება მოჰგვარა.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა იხილა სხვანაირი მარია, მარია, რომელსაც მანამდე არ იცნობდა, შეყვარებული მარია, მარია - ქოხმახეში მცხოვრებ ლატაკა დედოფალი.

\* \* \*

- ეს ჩემი მეგობარია, უილიამი, - ფოტოს თითი დაადო იოჰანესმა, - ერთად ვთამაშობდით უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდში. კარგი ბიჭია. შეიძლება, შემოდგომაზე ჩამოვიდეს.

- შენ კარგად თამაშობ? - თვალეხი აუციმციმდა მარიას.

- საშუალოდ, - არ დამალა იოჰანესმა, - უკეთესადაც შეიძლება.

- მეც მინდა უნივერსიტეტში სწავლა, - თქვა უცებ მარიამ, - რაიმე საინტერესოს და ადამიანებისთვის სასარგებლოს ვისწავლიდი, რომ შემეძლოს. ალბათ, რა კარგია, როცა შეგიძლია, ადამიანებს დაეხმარო.

იოჰანესმა გოგოს თავზე ხელი გადაუსვა და ალბომიდან ახალი ფოტო ამოაძრო:

- ეს მარკუსია, სტუდენტობის დროს ერთ სახლში ვცხოვრობდით.

- ეს გოგო ვინ არის? - ინტერესით იკითხა მარიამ.

- რომელი გოგო? - დაიბნა იოჰანესი.

- აი, ეს ლამაზი გოგო, შენსა და მარკუსს შორის, - მარიამ ფოტოს თითი დაადო.

- მარია, რას მეუბნები? აქ მხოლოდ მე და მარკუსი ვართ.

მარია გაშრა. გოგოს, რომელსაც ფოტოზე ხედავდა, ზუსტად ისეთივე ტუჩები და თვალეხი ჰქონდა, როგორც იოჰანესის სახლში ნანახ აჩრდილს.

- გოგოს ვხედავ, - ჩუმად თქვა მარიამ, - ლამაზ გოგოს, ტუჩები წითლად აქვს შეღებილი, თვალეხი შავად. თეთრი, მოკლე კაბა აცვია.

იოჰანესს თვალეხი გაუფართოვდა.

- შეუძლებელია ... - ჩაილაპარაკა მან.

- რა არის შეუძლებელი? - იკითხა მარიამ.

- შეუძლებელია, ფოტოზე ხედავდე ადამიანს, რომელმაც ეს ფოტო გადაგვიღო.



მარიას თვალეზი დანუნვრილდა.

- ჩემთვის არ არის შეუძლებელი. მითხარი, ვინ არის.

- გრძელი ისტორიაა, სხვა დროს მოგიყვები, - თქვა იოჰანესმა და ალბომი დახურა.

მარიას ხმა არ ამოულია.

შინ დაბრუნებულს კიდევ ერთი საჩუქარი დახვდა - ქობის შუაგულში უზარმაზარი სარკე იდგა. ჩარჩოზე ვილაცას პატარა ბარათი მიემაგრებინა. მარიამ ძლივს ამოიკითხა გაკრული ხელით გაკეთებული წარწერა: „იმისთვის, რომ არასოდეს დაგავინწყდეს, რა ლამაზი ხარ“.

მარიამ დაკვირვებით შეხედა საკუთარ გამოსახულებას. ტალღოვანი, წაბლისფერი თმით, ღიმილით, სიცილის დროს ლოყებზე გაჩენილი ღრმულებით მამას ჰგავდა. გამჭვირვალე, ცისფერი თვალეზი არ ეცნო. წესით, დედისგან უნდა გამოჰყოლოდა. საგულდაგულოდ დაითვალიერა მკერდი, თეძოები, ფეხები, ხერხემალი. სარკეში არეკლილი სახე საჩვენებელი თითით გაიმეორა. გაიღიმა. დატრიალდა. კიდევ დატრიალდა. მერე კიდევ, კიდევ და კიდევ. უკვე შეეძლო, თავისი თავი ჰყვარებოდა.

როცა ტრიალი შეწყვიტა და სარკეში კიდევ ერთხელ, გულდასმით ჩაიხედა, მარია მიხვდა, სადაც ენახა აქამდე საკუთარი თვალეზი - იოჰანესის სახლის სარდაფის ჭერზე. ქარვის ცრემლებით მტირალი ქალთევზას თვალეზი უცნაურად ჰგავდა მისას.

\* \* \*

ზღვა დუმდა. მარიამ ზუსტად იქ დაიჩოქა, სადაც ტალღა და სანაპირო ერთმანეთს ხვდებოდნენ და ხელისგულები წყალს შეაგება.

მოქცევა გაძლიერდა.

- გამარჯობა, დედა, - თქვა მარიამ, - როგორც იქნა, ერთმანეთს შევხვდით.

წყალი აიქოჩრა.

- მინდოდა, მეთქვა, რომ მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, - განაგრძო მარიამ, - ყველა ნიჭისა და უნარისთვის, რომელიც შენგან გამომყვა, შენი თვალეზისთვისაც მადლობელი ვარ. მადლობელი ვარ, რომ იქ დავიბადე, სადაც ზღვა და მზე ერთმანეთს ხვდებიან. მადლობელი ვარ, რომ მამაჩემი აირჩიე. ვიცი, შენ აირჩევდი. არავის უთქვამს, მაგრამ ვიცი. შენისთანა ქალების ცხოვრება ასეთია. მადლობა, რომ ამაშიც გგავარ.

ზღვა ახმაურდა და ნაპირს მოაწყდა.

- დედა, - ხმას დაუნია მარიამ, - გთხოვ, მაჩვენო წყალში ის, რაც ისედაც ვიცი. მაჩვენო გოგო, რომლის ლანდსაც ვხედავ. მითხარი, რა მოხდება.

ზღვა შეიშმუშნა.

- გავუძღვებ, - გაიღიმა მარიამ, - შენ ეს იცი.

ხელების გარშემო მორევი დატრიალდა. წყალმა იბრუნა, იბრუნა, ისე, როგორც მარიამ სარკესთან და ბოლოს, წყლის ზედაპირზე გამოჩნდა ის, ვინც ორი თვის შემდეგ ჩამოვიდა წყალზე აშენებულ ქალაქში, ჩამოვიდა, რომ იოჰანესზე დაქორწინებულიყო - გოგოს, რომელიც მარიას წყლიდან შეჰყურებდა, ირენე ერქვა.

\* \* \*

მარიას, რომელიც უკვე ახალ, დიდ და ნათელ სახლში ცხოვრობდა, ოცდაათობმეტი წლის ასაკში დაუსვეს დიაგნოზი - მკერდის კიბო.

- თქვენი ცხოვრების ბრალია, - უთხრა ექიმმა, - თქვენი მუდმივი დარდის. უკვალოდ არაფერი იკარგება.

ის დიდხანს ებრძოდა ავადმყოფობას, ებრძოდა ისე, როგორც წყალი ებრძვის კლდეს - შეუჩერებლად და თავდაუზოგავად. მკერდი მაინც მოკვეთეს.

ერთ საღამოს შინ დაბრუნებულმა მარიამ საკუჭნაოდან თავისი პირველი სარკე გამოიტანა და გაიხადა. იდგა შიშველი, შუა ოთახში, როგორც მაშინ, როცა იოჰანესი მის ქოხს შემთხვევით მიადგა, იდგა და უყურებდა საკუთარ ანარეკლს - გამხდარ ფეხებს, დათხელებულ თეძოებს, დაღლილობისგან დაშვებულ მხრებს და მოჭრილი მკერდის ადგილას ამოსვირინგებულ იებს.

მარიამ საჩვენებელი თითი სარკის ზედაპირს გააყოლა. ჯერ სახე გაიმეორა, მერე იების კონტურებს მიჰყვა.

- რომ არასოდეს დაგავინწყდეს, რა ლამაზი ხარ, - თქვა მან, - რომ არასოდეს დაგავინწყდეს...

# ანა-ულრიკე



გამთენიისას გარდაიცვალა ირენე, დედაჩემი. თავისი სახელოსნოდან ორი კვირა არ გამოსულა. არც მე შევსულვარ. ვერ იტანდა, მუშაობის დროს რომ უყურებდნენ. შედიოდა მხოლოდ მამა, შეჰქონდა წყალი, საჭმელი და ყვავილები. დედაჩემს ასეთი ბედი ერგო – კაცებს, რომლებთანაც უცხოვრია, მონურად უყვარდათ.

არ უავადმყოფია. არაფერი სჭირდა. ხატავდა. მეთოთხმეტე დილა რომ დგებოდა, მამა ჩემს ოთახში შემოვიდა, გამაღვიძა და მითხრა, რომ ირენე უკანასკნელმა სიხარულმა დატოვა. არ მიტირია. შევეცადე, ღრმად მესუნთქა. თვითონაც ყოველთვის ამას მასწავლიდა – თავშეკავებასა და ემოციების მალვას. ავდექი, კიბე ავიარე და სახელოსნოში შევედი.

ირენე იატაკზე იწვა. ეცვა თავისი საყვარელი, თეთრი, მსხვილი მაქმანებით მორთული კაბა და უკიდვგანო სიქათქათის ფონზე, სხეულზე შავი ნახვრეტები აჩნდა, ან ნაკბენები. სინამდვილეში, ალბათ, არც ნახვრეტი იყო და არც ნაკბენი. შიგნიდან დაგლეჯილს ჰგავდა და ამ უცნაური ხვრელებიდან შავი, ბლანტი სითხე სდიოდა.

ყოველთვის ლამაზი ქალი იყო ირენე, დედაჩემი – ლამაზი, ჭკვიანი და მკაცრი. ბავშვობაშიც კი ძნელად ვეძახდი დედას. უფრო სახელით მივმართავდი. არასოდეს მიფიქრია მის სიკვდილზე. მეგონა, ვერაფერი მოერეოდა. მაგრამ რომ მეფიქრა, ამას მაინც ვერასოდეს დავუშვებდი, ვერ დავუშვებდი, რომ ასეთს ვნახავდი – უძრავად მწოლს, დაჭმული კანიტა და სხეულიდან მდინარე საძაგელი სითხით.

კედელს ძალაგამოცლილი მივეყრდენი და ჭერს ავხედე. მამა გვერდით მომიდგა.

- დარდმა შეჭამა, - მითხრა მან, სანამ რამეს ვკითხავდი.

თავი მხარზე დავადე. თბილი მხარი ჰქონდა.

- ახლა რა უნდა ვქნათ? - ვკითხე. უფრო მას ვგულისხმობდი. არ ვიცოდი, მას რა უნდა



ეწნა ირენეს გარეშე. რა უნდა ეკეთებინა ყოველდღე, თუ დედაჩემის სურვილები არ ექნებოდა ასასრულებელი.

- არ ვიცი, - მითხრა მამამ. არც თავის გამხნევებას ცდილობდა, არც ჩემსას. მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიყვარული დარდისგან შეჭმული ინვა საკუთარ სახელოსნოში, - ჩემს თავს ვაბრალებ, რომ ვერაფრით შევძელი, ირენე სიხარულისგან არ დაცლილიყო.

აღარაფერი მითქვამს.

ტოტებმოხერხილი ხესავით იდგა მამაჩემი და დედას დაჰყურებდა.

\* \* \*

არასოდეს მჯეროდა მამაჩემის თეორიის, რომ ადამიანი მაშინ კვდება, როცა მას უკანასკნელი სიხარული ტოვებს. ასე რომ ყოფილიყო, დედაჩემზე ადრე მოკვდებოდი, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემი სხეულიცა და სულიც მაშინ დაიცალა, როცა დანიელი ჩემგან წავიდა.

მე ის მიყვარდა. მიყვარდა სიყვარულით, რომელსაც შეუძლია, აუტანელი ტკივილი მოგაყენოს, ღამით გაგაღვიძოს, ქუჩაში მიმავალი ტროტუარზე ჩაგკეცოს, ნაწილებად დაგშალოს, გატიროს, კანი გაგაძროს, თავი დაგავინცოს, გათქმევინოს, რომ მეტი აღარ შეგიძლია, რომ აღარაფერი გინდა, რომ უარს იტყვი ყველასა და ყველაფერზე.

ოღონდ ის გყავდეს გვერდით. იმ დღიდან მოყოლებული, როცა მისი თვალები პირველად დავინახე, მეგონა, რომ ვიპოვე ბიჭი, რომელიც სრულყოფილს გახდიდა ჩემს ცხოვრებას. ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე სიმპათიური ბიჭი, რომელმაც არ გაიცინა, როცა ვუთხარი, რომ ვაპირებდი, საკუთარ შვილებთან ერთად, ნაშვილები ბავშვიც გამეზარდა, რომელსაც ესმოდა ჩემი ოცნებების, რომელიც კითხულობდა და მოგზაურობდა ბევრს. ერთი შეხედვით, ის კაცი იყო, ვისთანაც მთელი ცხოვრების გატარებას ვისურვებდი. ორი და მეტი შეხედვითაც არ შემცვლია აზრი. მაშინ არ ვიცოდი, რომ სინამდვილეში ცხოვრება არც კითხვაა და არც მოგზაურობა, უფრო ერთი ადგილის დაუსრულებელ ტკეპნას ჰგავს, სიყვარული კი, ზოგჯერ მარადიული დღესასწაული რომ გვგონია, ტკივილების განაწილებაა და სხვა ადამიანისთვის საკუთარი ტყავის მიცემა, რომ არ შესცივდეს.

არასოდეს უთქვამს, რომ ვუყვარდი. არც მე მითქვამს. მერჩივნა, მას დაესწრო. როცა ვეუბნებოდი, რომ მომენატრა, იღიმებოდა. გვიან მივხვდი - თვითონ არასდროს მოვნატრებივარ. როცა კისერზე ხელს ვხვევდი და საფეთქელზე ვკოცნიდი, ის გულში მიკრავდა, ოღონდ არა მთელი ძალით. როცა სამოგზაუროდ მიდიოდა, აუცილებლად მატყობინებდა, რომ ჩავიდა, მაგრამ არასოდეს ჩამოჰქონდა საჩუქრები. ერთადერთი, რასაც ამბობდა, ის იყო, რომ ძალიან ამაყობდა ჩემით, მე კი ვცდილობდი, მისი სიტყვები ჩემ სასარგებლოდ მეთარგმნა და თავი დამეჯერებინა, რომ ვუყვარდი - თუ ისე ძალიან არა, როგორც მე, იმდენად მაინც, რომ ჩემი სიყვარული აეტანა.

ყოველთვის, როცა მდინარისპირა კაფეში, მოწნულ სკამებზე ვისხედით და რძიან ყავას ვსვამდით, და მე მოკეცილ ფეხებს მაგიდის კიდეს ვაჭერდი და დანიელს ვუყურებდი, ის მეუბნებოდა:

- მაინც როგორ გიყვარს საკუთარი თავი, ანა, როგორ ძალიან გიყვარს, - და იცინოდა.

მაშინ მინდებოდა, მეთქვა, რომ ცდებოდა, რომ სინამდვილეში, ის უფრო მეტად მიყვარდა, ვიდრე საკუთარი თავი, ან უფრო მეტიც - ვიდრე მთელი სამყარო. არასოდეს მითქვამს. მეშინოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გატყდებოდა და აღმოვაჩენდი, რომ სრულიად არავინ ვიყავი მისთვის.

დანიელი ერთადერთი იყო, ვისთანაც კომპრომისზე წასვლა არ მიჭირდა. მე, რომელსაც არასოდეს მივეოდა უკან დახევა, მას ყველაფერს ვუთმობდი, საკუთარი ცხოვრების ჩათვლით. ყოველთვის ვამართლებდი, ვამართლებდი მის მოუცლელობას, უყურადღებობას. ვპატიობდი, რომ არ იცოდა, ვინ იყო ჩემი საყვარელი მწერალი, რომ ვერასოდეს ამჩნევდა ჩემს ლამაზ კაბებს, რომ მაშინაც კი, როცა ძლივს ვახერხებდი, გამეღიმა, არ მეკითხებოდა, ხომ არ დავიღალე, ან რაიმე ხომ არ მიჭირს. მისი ერთი შეხება, ერთი ზარი, ერთი შეტყობინება, ყველაფერს ნიშნავდა ჩემთვის. ვამბობდი, სიყვარულის გამოხატვა არ შეუძლია-მეთქი და სარკეში საკუთარ ანარეკლსაც კი ვარიდებდი თვალს, რადგან ვიცოდი, რომ მწარედ ვიტყუებოდი. იქამდე ვამართლებდი, სანამ არ ვნახე, როგორ უყვარდა სხვა - გაგიჟებით, საჩუქრებითა და ყვავილებით, ვერანდებიან კაფეებში შეხვედრებით და თეატრებში სიარულით. უყვარდა ისე, როგორც მე უნდა ვყვარებოდი, რადგან დანიელის სიყვარულს ჩემსავით არავინ იმსახურებდა.

დანიელი რომ ჩემგან წავიდა, ჩემი ახალი, რიგით მესამე წიგნის წერა სულ რაღაც ერთი თვის დაწყებული მქონდა. მინდოდა, მეთხოვა, დამეხმარე-მეთქი, რომ ეს წიგნი დავამთავრო, არავინ და არაფერი ვარ უშენოდ, ვერაფერს შევძლებ, არ ვვარგოვარ.

როცა შენ არ ხარ-მეთქი, მაგრამ არ ვუთხარი. მაინც არ დაიჯერებდა. არ სჭირდებოდა, რომ დაეჯერებინა, თორემ როცა გვინდა, ადამიანები არარსებულსაც ვიჯერებთ.

არაფერი აუხსნია. ერთ დღეს, ქუჩაში მიმავალმა, გოგო დავინახე, სწორედ ისეთი გოგო, დანიელს რომ მოეწონებოდა. გავჩერდი და თვალი გავაყოლე. მივხვდი, მნიშვნელოვანი ვინმე უნდა ყოფილიყო. ერთ კვირაში ჩვენი საერთო მეგობრებისგან გავიგე, რომ დანიელი დაინიშნა. საცოლის ფოტოც მაჩვენეს. ის გოგო იყო, ქუჩაში რომ ვნახე.

გამეცინა. უფრო სწორად, ჯერ სუნთქვა შემეკრა და არ მახსოვს, როგორ გავატარე მომდევნო სამი დღე, მერე კი გამეცინა. ლამაზი, მაღალი, წელწკრილი გოგო იყო, ბავშვური გამომეტყველებით. ჭკუით არ ბრწყინავდა. გამეცინა და რაღაცნაირად, დავმშვიდდი. შენგან ძალიან განსხვავებულს რომ გამჯობინებენ, ცხოვრება ისეთი კომპარი აღარაა, როგორადაც თავიდან გეჩვენებოდა. ბოლოს კი, როცა დროებითმა სიმშვიდემ ჩაიარა, მომეჩვენა, რომ მოვკვდი.

მძულდა საკუთარი ინტუიცია, რომელმაც უამრავ ადამიანს შორის ამომაცნობინა ის, ვინც დანიელს უყვარდა. მძულდა საკუთარი თავი, მძულდა, რადგან დანიელი ვერაფრით დავიმსახურე, რადგან ვერაფრით მოვიპოვე მისი სიყვარული. მძულდნენ გარშემო მყოფი ადამიანები, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ ჩემ ირგვლივ სამყარო დაინგრა, რომლებიც მეუბნებოდნენ, რომ მე და დანიელი მაინც ვერ ვიქნებოდით ერთად და მისი წასვლით ყველაფერი მხოლოდ უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ვერავინ ხვდებოდა, რომ ყოველ ღამით საშინელი ტკივილი მაღვიძებდა, რომელსაც ვერაფერს ვუხერხებდი. არაფერი მინდოდა, არაფერი მიხაროდა. წერაც შევწყვიტე.



ყველაზე მეტად მაინც ჩემი სხეული შვევიზობღე, რადგან დანიელის წასვლაში სწორედ მის არასრულყოფილებას ვადანაშაულებდი.

ადამიანი, რომელიც დიდ სიყვარულს კარგავს, ჰგავს ქალაქს წყალდიდობის შემდეგ, ქალაქს, სადაც აღარაფერია თავის ადგილას, ქალაქს, სადაც განადგურდა სახლები, დაიღუპნენ ადამიანები, სადაც დატბორილი მოგონებები ალაგ-ალაგ შემორჩნენ ჩონჩხებადქცეულ ხეებს, სადაც გზააბნეულმა სულებმა დაისადგურეს. მე ვიყავი ქალაქი, რომელიც სიცოცხლემ დატოვა.

ძალა აღარ მქონდა. ჩემზე ყოველთვის ამბობდნენ, რომ ყველაფერი შემეძლო, ყველაფერი, რასაც მოვინდომებდი – ცხოვრების ათასჯერ თავიდან დაწყების ჩათვლით, მაგრამ დანიელის წასვლამ საკუთარი თავი წამართვა. ტანსაცმლიანად ვწვებოდი და დაძინებას ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ. ძილმაც მიმატოვა. დანიელის გარეშე ვერც სიზმრებს ვხედავდი, ვერც გათენებას ვგრძნობდი, ვერც დაღამებას. სიცოცხლე, რომელიც ასე მიყვარდა, მე აღარ მეკუთვნოდა. ყოველ საღამოს, როცა ფანჯრებს ვხურავდი, ვხედავდი გზას, რომელიც არ არსებობდა და ამ გზაზე მიმავალ დანიელს, რომელსაც ჯიბეები გაევსო ჩემთვის მოპარული ბედნიერებით და უდარდელად მიაბიჯებდა სხვა სამყაროსკენ, სადაც სიყვარულის შესახებ არაფერი სმენოდათ.

დავდიოდი ცხადსა და სიზმარს შორის გამოკიდებულივით, ვუყურებდი ადამიანებს, რომლებსაც უყვარდათ ერთმანეთი და ვგრძნობდი, რომ ჩემსა და მათ შორის უხილავი კედელი აღმართულიყო. საღამოობით ღია კაფეში ჩამოვჯდებოდი, ვუკვეთავდი ცივ ყავას კარამელითა და ნაყინით და ვცდილობდი, გამეხსენებინა, რომ ოდესღაც მეც

მიკოცნია პარალელურკლასელი ბიჭისთვის საბაფხულო კინოთეატრში, რომ ოდესღაც ჩემთვისაც უჩუქნიათ ყვავილები, რომ ოდესღაც მეც ვიყავი გოგო, რომლის შეყვარებას შესაძლებელი იყო.

ისე მართოდ ვგრძნობდი თავს, რომ მეშინოდა, ერთ დღეს სამყაროს სუნთქვა არ შეენწყვიტა ჩემ გარშემო. დახმარებასაც კი ვერავისგან ვითხოვდი. ვცდილობდი, თავი ისე დამეჭირა, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, სინამდვილეში კი ყოველდღე, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევდი ბღვრისკენ, რომლის იქითაც ცხოვრება აღარ გრძელდება.

ჩემი სახლის მოპირდაპირე მხარეს თუთის ხე იდგა, მთელ ქუჩას აწვდენდა ტოტებს. მაისის ბოლოდან შავ ნაყოფს ისხამდა, შავად ღებავდა ასფალტს, მანქანების სავალ გზას, ორივე ტროტუარს. შუაღამისას შინ დაბრუნებული, მანქანას ყოველთვის თუთის ქვეშ ვაყენებდი. არც არავინ მეცილებოდა. არავის უნდოდა, დილით ტკბილი ნაყოფით მოთხვრილი მანქანა დახვედროდა. აი, მე კი, სახლიდან რომ გამოვდიოდი და თუთას ვხედავდი, ვხედავდი ჩემს გაშავებულ მანქანას და ფეხქვეშ განებილი ასფალტი და მტვერში აბეღილი ნაყოფი მედებოდა, სიცოცხლეს ვგრძნობდი. თუთის ხე იყო ერთადერთი, რაც სამყაროსთან მაკავშირებდა. დავდიოდი თუთებდაყრილი მანქანით და ზოგჯერ, წამიერად გამიელვებდა ფიქრი, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ დამიკარგავს.

შიშები დამჩემდა. დროებით მშობლების სახლში გადავედი საცხოვრებლად. მამა მიზეზებს არ ჩაღრმავებია, უბრალოდ, გაუხარდა. დედა მიხვდა, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მასაც არაფერი უკითხავს. ჩემი



ძველი ოთახი, რომელიც პატარა ბაღს გადაჰყურებდა, სასწრაფოდ დააღაგა და მირჩია, ღამით ფანჯარა არ ჩამეკეტა, რომ გარედან შემოსული ცაცხვის სურნელი მეგრძნო და მშვიდად დამეძინა.

დანიელი მალევე დაქორწინდა გოგოზე, რომელიც შეუყვარდა. ვცდილობდი, მასზე აღარ მეფიქრა, მაგრამ ცაცხვის სურნელით გაბრუებულს, ხშირად მესიზმრებოდა, როგორ მოდიოდა, წვებოდა ჩემ გვერდით, უკნიდან მხვევდა მკლავებს, ზურგით გულში მიკრავდა, სახეს ჩემს თმაში მალავდა და იძინებდა. როცა დანიელი მესიზმრებოდა, არანორმალურად თბილოდა ჩემს სხეულში და წამიერად მიბრუნდებოდა ყველა ადამიანური გრძნობა, რომელმაც დამტოვა.

\* \* \*

დედაჩემისგან უცნაური მემკვიდრეობა მერგო – ნახატები, საშინელი ხასიათი და მისი პირველი ქმრის სახლი ჩრდილოეთის ერთ პატარა ქალაქში, რომლის შესახებაც არაფერი მსმენოდა. ირენეს ანდერძის თანახმად, მევალებოდა, მისი ნახატების დიდი გამოფენა-გაყიდვა მომეწყო და შემოსული თანხა მკერდის კიბოთი დაავადებულ ქალთა რეაბილიტაციის ფონდში გადამერიცხა, მერე კი სამი თვე გამეტარებინა ჩრდილოურ ქალაქში, რომელსაც ყველა მხრიდან წყალი ერთყა გარს, სახლში, სადაც ახალგაზრდა დედაჩემი თავისი პირველი ქორწინების პერიოდში ცხოვრობდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადამეწყვიტა, სახლს გავეყიდდი, შევინარჩუნებდი თუ რომელიმე ორგანიზაციას საქველმოქმედო მიზნებისთვის გადავცემდი.

ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. ზაფხული იწყებოდა. ლექციებს მოვრჩი. სტუდენტების ნაშრომები გავასწორე, გამოცდები ჩავიბარე. შემოდგომამდე თავისუფალი ვიყავი. მაშინებდა შემოდგომაზე ფიქრი – რთულია, როცა ოცდამეცხრე დაბადების დღეს მიწასთან გასწორებული პირადი ცხოვრებით ხვდები. მაშინაც კი, როცა ქუჩაში გცნობენ, გეუბნებიან, როგორ უყვართ შენი წიგნები და ავტოგრაფებს გთხოვენ, ძალიან რთულია.

– ვფიქრობ, უნდა ნახვიდე, – მითხრა მამამ, – არ ვიცი, იქ რა გელის, მაგრამ ხომ იცი, ირენე როგორი იყო, უმიზეზოდ არ აიჩემებდა შენს იქ ნასვლას.

– დედას იქაურ ცხოვრებაზე რა იცი?

– არაფერი, – თავი გადააქნია მან, – არასოდეს ლაპარაკობდა იქაურობაზე, არც მის პირველ ქმარზე.

მამა წამიერად შეყოყმანდა და მერე ღიმილით დაამატა:

– მეორე ქმარს პირველი ქმრის შესახებ არავინ უყვება, ჩემო გოგო.

გამეცინა. მე და მამა ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით. მას დავყავდი სკოლაში და კლასგარეშე მეცადინეობებზე, გაზაფხულის პირველ შაბათს ჩემთან ერთად უშვებდა ფრანს, მასწავლიდა ველოსიპედის ტარებას, რომელიც, ჩემი უნიათობის გამო, მაინც ვერ ვისწავლე, ძილის წინ ზღაპრებს მიკითხავდა და მეუბნებოდა, რომ ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარი აზრისა და გზის ქონაა.

- ვიცი, რომ რაღაც დიდი ხდება შენს თავს და გეშინია, - მითხრა ხმადაბლა, - მაგრამ მინდა, ყოველთვის გახსოვდეს, რომ ცხოვრება შიშების დაძლევაა და მეტი არაფერი.

შევხედე, როგორც ყოველთვის, აუღელვებელი და საკუთარ სიტყვებში დარწმუნებული ჩანდა. მარცხენა ხელით ლოყაზე მომეფერა და მომეჩვენა, რომ მისი გულის სიტბო მთელ სახეზე მომედო და წამში გააღლო ყინული, რომელიც ჩემს სხეულს სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

ავტირდი. იმ წამიდან, როცა გავიგე, რომ დანიელს სხვა შეუყვარდა, ვოცნებობდი, ერთი ცრემლი მაინც გადმომვარდნოდა. ვერც მაშინ ვიტყვი, როცა ყურში ირენეს კუბოზე დაყრილი ბელტების ხმა ჩამესმა.

ვიჯექი და ვტიროდი, ვტიროდი და ჩემი დაღლილი, დაშლილი, დაბზარული სხეულიდან თანდათან გადიოდა ტკივილი, გადიოდა და ურყევ სიცარიელეს ტოვებდა.

\* \* \*

გამგზავრებამდე მაქსიმი ვნახე. ერთმანეთს დიდი ხნის წინ, სულ ერთი თვის განმავლობაში ვხვდებოდით. მერე კი, ხანდახან, როცა ორივეს ცხოვრებაში რთული პერიოდი დგებოდა, ჩაის ვსვამდით ერთად. ის ყოველთვის ამბობდა, რომ არასოდეს დაუკარგავს ჩემთან ყოფნის სურვილი, უბრალოდ, ხანგრძლივი ურთიერთობა არაფრით გამოგვდიოდა. როგორც სხვები, ყველაფერს ისიც ჩემს ხასიათს აბრალებდა, ჩემი ცუდი ხასიათი კი, სინამდვილეში, სხვა არაფერი იყო, თუ არა

მუდმივი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, რომელსაც ვერცერთი კაცი, ვისაც ცხოვრების გზაზე გადავეყარე, ვერ შეეგუა.

მაქსიმი ჩემ წინ იჯდა და ფართო, თეთრი ფინჯნიდან დიდი ყლუპებით სვამდა ჩაის.

- რატომ არ მიდიხარ ჩემგან? - ვკითხე უცებ.

არ მიპასუხა. მხოლოდ გამიღიმა. ასეც ვიცოდი. გადმოიხარა. თითები სახეზე ჩამომაცოლა, საფეთქლიდან ნიკაპამდე და მაკოცა. არასოდეს ვვიუდებოდი მის კოცნაზე. მაქსიმის ტუჩებს გემო არ ჰქონდა.

- გინდა, დღეს ჩემთან დარჩე? - მკითხა მან. თვალები ბუსტად ისეთი ფერის ჰქონდა, როგორი ჩაიც ესხა მის ჭიქაში.

- არა, - ვუთხარი მე და ავდექი, - არ მინდა შენთან ყოფნა.

მან ისევ გამიღიმა.

სინამდვილეში, არასოდეს ვყვარებივარ.

\* \* \*

გამთენიისას ჩავედი. ქუჩებში სიცარიელე იდგა. მანქანა ისეთ ადგილას დავაყენე, ჩემი

ვარაუდით, ქალაქის ცენტრალურ მოედანთან ახლოს უნდა ვყოფილიყავი, საგულდაგულოდ ჩაკვებე, ლაბადა მოვიცვი და ქვაფენილს გავუყევი. გრილოდა. ნელა მივდიოდი, სახლებს და ქუჩებს ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, გამეგო, რატომ მოინდომა დედაჩემმა ჩემი აქ ჩამოსვლა. ვერაფერს ვხვდებოდი.

ქალაქს სიძველე ეტყობოდა, სიძველე და მოუვლელობა. ერთი შეხედვით, შემეძლო მევარაუდა, რომ ოდესღაც აქ სიცოცხლე ჩქეფდა, მაგრამ ახლა ეს ქალაქი ჩემს თავს მაგონებდა, ჩემს გამოფიტულ სხეულს, რომელიც მზის ამოსვლას მშვენივრად ხედავდა, მაგრამ არ რეაგირებდა.

ცენტრალურ მოედანზე მალევე გავედი. თვალები მტკიოდა და უძილობისგან მამცივნებდა. რძიანი ყავის სუნი ვიგრძენი – ფერადდარაბებიანი, მწვანე სახლის პირველი სართულიდან მოდიოდა. „კაფე „წითელი რვაფეხა“ – იუნყებოდა შესასვლელში მოქანავე აბრა. გამეცინა. რამდენიმე მაგიდა გარეთ დაედგათ და ქოთნებში ჩარგული კონახურის, ლიმონისა და ალუბლის მომცრო ხეებით შემოედობათ.

ქარმა დაუბერა და ფლუგერები აატრიალა. მაღლა ავიხედე. მწვანე სახლის ფლუგერს თევზის ფორმა ჰქონდა. ჩემს ცხვირს ყავის სურნელი ახალი ძალით მისწვდა. გადავწყვიტე, ყავა დამეღია და ჩემი უცნაური მემკვიდრეობის მოსანახულებლად მერე წავსულიყავი.

„წითელი რვაფეხას“ დახლს მიღმა ასე, ჩემი ასაკის გოგოს მოვკარი თვალი. კრუასანებისა და პურების მონესრიგებით იყო დაკავებული. მივესალმე. შემომხედა და გამიღიმა. ლამაზი გოგო იყო. უბრალო, მწვანე კაბა ეცვა. თმა უკან გადაეწია.

- რძიანი ყავა მინდა, თუ შეიძლება, – ვუთხარი და შევეცადე, მეც გამეღიმა, მაგრამ, მგონი, არ გამომივიდა, – და ერთი კრუასანი.

- ორი ნუთი დამელოდეთ, ყავას გაგიმზადებთ, – მითხრა მან და რძე რკინის მოზრდილი ჭურჭლიდან პატარაში გადაასხა, – აქაური არ უნდა იყოს, არა?

- დიას, ახლახან ჩამოვედი, – უკვე ვნანობდი აქ შემოსვლას. ვერ ვიტანდი, არასაჭირო კითხვებს რომ მისვამდნენ, განსაკუთრებით – დილაობით.

- დიდხანს რჩებით? – არ ჩერდებოდა ჩემი მასპინძელი და ცეცხლზე შემოდგმულ რძეს სულს უბერავდა.

- არ ვიცი, – ვაღიარე მე, – ალბათ ძალიან მალეც ვერ წავალ.

გოგომ ქურა გამორთო და ჩემკენ შემობრუნდა. უსაშველოდ კეთილი მზერა ჰქონდა.

- გამოდის, ჩვენი ხშირი სტუმარი იქნებით. მე სოფია მალევესკა ვარ, აქაურობის დიასახლისი.

გაღიმება კიდევ ვცაადე. ამჯერად უკეთ გამომივიდა.

- ანა-ულრიკე.

- კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენთან. ყველაფერი, რასაც ხედავთ, ჩვენი საოჯახო



რეცეპტებითაა მომზადებული, - დასძინა სოფიამ და მის ხმაში ფარული სიამაყე გაისმა, - ყოველ დილით პურსაც კი ჩემი ხელით ვაცხობ.

გაოცებისგან თვალები გამიფართოვდა. ჩემი კულინარიული მიღწევებით ვერასოდეს დავიკვებხნოდი.

- სულ მარტო უვლით აქაურობას?

- რას ვიზამ, - ამოიოხრა სოფიამ, - ადრე დამხმარეები გვყავდა, მაგრამ ახლა ყველაფერი გართულდა. ინებეთ ყავა და კრუასანი, მზადაა.

გარეთ გასვლა გადავიფიქრე. იქვე, პირველივე მაგიდასთან ჩამოვჯექი. ჭიქა ცხვირთან მივიტანე. ყავას საოცარი სურნელი ჰქონდა. მოვსვი. ცხელი სითხე ძარღვებში ჩამელვარა და წამიერად გავიფიქრე, რომ ჩემს სხეულს სულ ერთი წვეთი სიხარული, ერთი წვეთი ბედნიერება დაუბრუნდა. მერე კრუასანი ჩავკბიე. თავს დავდებდი, რომ არსად, მსოფლიოს არცერთ წერტილში არ გამესინჯა ისეთი კრუასანი და ყავა, როგორსაც აქ. ყველასგან დავინწყებულ ჩრდილოურ ქალაქში ამზადებდა სოფია მალევსკა.

ყავის სურნელით გაბრუებულს არ დამინახავს, როგორ შემოვიდა კაფეში ქალი, რომელიც დახლთან იდგა და დიასახლისს ელაპარაკებოდა:

- სოფია, ჩემო მშვენიერო, მხოლოდ ყავა მინდა, წასაღებად. პურისთვის საღამოს შემოვივლი. შემიჩინა, თუ შეიძლება.

- აუცილებლად, - სოფიას სახიდან ღიმილი არ შორდებოდა, - ბოლო დროს იშვიათად გხედავთ.

- რა გაეწყობა, - ამოიოხრა ქალმა, - უამრავი საქმე მაქვს. ბაღები მოსავლელია, ქარხანა - მისახედი. მუშები თუ არ გავაკონტროლე, ისე არაფერი გამოვა. ხომ იცი, როგორცაა, სოფია, ქალი რომ ხარ, ყველა კაცს ჰგონია, მოგატყუებს.

ჭიქა მაგიდაზე დავდგი. ბურგიდან ახალგაზრდას არ ჰგავდა, მაგრამ ლამაზი ტანი, მაღალი ფეხები და მხრებზე ტალღებად დაყრილი, წაბლისფერი თმა ჰქონდა. ჯინსის შარვალი, დაბალი ფეხსაცმელი და ცისფერი პერანგი ეცვა. როცა სოფიასთან ელაპარაკა მორჩა და ქალაქის ჭიქით ხელში გასასვლელად შემობრუნდა, მე მისი ულამაზესი თვალები და წაბლისფერი სახის კანი დავინახე.

შემომხედა და მზერა გაუშეშდა. მომიახლოვდა, ყავა უცერემონიოდ დადგა ჩემს მაგიდაზე და დამაკვირდა.

- მე ეს თვალები სადღაც მინახავს, - თქვა მან. მაღალი შუბლი ჰქონდა, თხელი სახე და შეშუპებული უკეები. ლამაზი იყო, - წამდვილად მინახავს... ეს ირენეს თვალებია. ვიცოდი, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა.

სკამის საზურგეს ავეკარი. არასოდეს არავის მივუმსგავსებია დედაჩემისთვის. ყოველთვის მეგონა, ძალიან ეწყინებოდა, თუკი ვინმე ეტყოდა, რომ ვგავდი. მისი გარეგნობის ნახევარიც არ მქონდა.

- უკაცრავად, - ძლივს ამოვიღე ხმა, - მე თაფლისფერი თვალები მაქვს, დედას...

- მთავარი ეგ არაა, გოგონა, - გაიცინა ქალმა.

ბრაზი მომერია. ეს „გოგონა“ რაღა იყო!

- მთავარი თვალების ფერი არაა, - სიცილი სახიდან მოიშორა და სერიოზულად განაგრძო მან, - მთავარი ისაა, რაც ფერს მიღმა ჩანს. ის კი, რაც შენს თვალებში ვნახე, ირენეს სულია. ოდნავ სიტკბოშერეული, დამშვიდებული, სახეცვლილი, მაგრამ მაინც ირენეს სული. აქ რამ ჩამოგიყვანა?

უცხოებთან ლაპარაკი არ მიყვარდა, მაგრამ ამ ქალაქში ყველა უცხო იყო და არჩევანი არ მქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამი თვის სრულ მდუმარებაში გატარება მომიწევდა. მხრებში გავიმართე, ორივე ხელი მაგრად მოვუჭირე ჭიქას და ყელში გაჩხერილი უზარმაზარი ბურთი გადავყლაპე.

- დედაჩემის უკანასკნელ სურვილს ვასრულებ. ერთი თვის წინ გარდაიცვალა.

ქალი გაშრა. ორივე ხელით ჩემ წინ მდგარი სკამის საზურგეს ჩაეჭიდა.

- შეიძლება, დავჯდე?

- რა თქმა უნდა.

დაჯდა. ტუჩები ძლივსშესამჩნევად უთრთოდა. ცოტა ხანს ჩუმად მიყურა, მერე, კანკალის შესაჩერებლად, ხელები სახეზე შემოიჭდო, უპეები კიდევ უფრო ჩამოიქანა და მითხრა:

- მიუხედავად ყველაფრისა, მე ძალიან მიყვარდა ირენე. ნეტავ სხვა ცხოვრებაში შევხვდროდით ერთმანეთს. საუკეთესო მეგობრები ვიქნებოდით. სადღაც, გულის სიღრმეში, ისე, რომ არავისთვის მითქვამს, ძალიან მიყვარდა.

ასე გავიცანი მარია.

\* \* \*

სახლი, რომელიც მემკვიდრეობით მერგო, შემადრწუნებლად ჰგავდა სახლს, სადაც გავიზარდე - ოთახების რაოდენობითა და განლაგებით, ნივთების სიძველითა და სიჭრელით, სუნითა და სულით, სხვენში მონყობილი მყუდრო სამხატვრო სახელოსნოთი და სარდაფში ჩამავალი ხის კიბით. გადავწყვიტე, სასტუმრო ოთახისა და ერთი საძინებლის გარდა, არაფერს შევხებოდი. აღმოჩენებისთვის არც ძალა მყოფნიდა, არც სურვილი. ოთახები და დერეფანი გამოვგავე, ჭურჭელი, რომლის გამოყენებასაც ვაპირებდი, საგულდაგულოდ დავრეცხე, თაროებს და კარადებს მტვერი გადავწმინდე და ყოველი შემთხვევისთვის, ბუხარშიც შევრგე თავი, საკვამურისთვის თვალის შესავლებად. დედაჩემის ადგილას სხვა, საოჯახო საქმეებზე გადაყოლილი ქალი რომ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, დარდად გაჰყვა, არაფრის ვეთება რომ არ ვიცი და გადანყვითა, სიკვდილის შემდეგ ესწავლებინა ჩემთვის ჭკუა-მეთქი, მაგრამ ირენეს კარგად ვიცნობდი. ქალი, რომელსაც ხატვა ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ერთადერთ შვილს ამ გადაკარგულ ქალაქში რეცხვა-წმენდაში გასავარჯიშებლად არ გამოუშვებდა.



საღამოს სახლის კარი საგულდაგულოდ გამოვკეტე და ქუჩას ცენტრალური მოედნისკენ გავუყვები. სათითაოდ ვაკვირდებოდი სახლებს, წარწერებს, წარგავეებს, ადამიანებს, რომლებიც აქა-იქ მხვდებოდნენ. ყველა სევდიანი ჩანდა და დაღლილი.

არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, ამიტომ ისევ „წითელ რვაფეხას“ მივადექი. ამჯერად გარეთ დავჯექი და ხალხი შევათვალეირე. ჩემ წინ ახალგაზრდა წყვილი იჯდა. გოგოს სახეს ვხედავდი და ბიჭის ზურგს. ქერად თმაშეღებილი გოგო შესამჩნევი მონდომებით კეკლუცობდა, კისკისებდა, თვალეებს აფახულებდა, ისედაც მსხვილ, პომადით დამძიმებულ ტუჩებს კიდევ უფრო ბერავდა და მარცხენა ფეხზე გადადებულ მარჯვენას დროდადრო ნაზად იქნევდა ჰაერში. შევეცადე, გამეხსენებინა, ბოლოს როდის ვციმციმებდი ასე. ვერ გავიხსენე. დანიელთან ჩემი ურთიერთობა ერთი დიდი, გაბმული შიში იყო, შიში, რომ ადგებოდა და უბოდიშოდ მიმატოვებდა, ამიტომ ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. ახლაც ვუყურებდი ამ გამოპრანჭულ გოგოს, მის მომდგარ კაბას, მის ქუსლიან ფეხსაცმელს და გული მეკუმშებოდა. რაც დანიელი წავიდა, ლამაზად ჩაცმაც შევიძლე. ვიჯექი სრულიად უცხო ქალაქში, მეცვა დახეული ჯინსი, უსახური შავი მაისური, ხმარებისგან განელილი, ყვითელი ჟაკეტი და დაუდევრად გაშლილ თმას ზღვიდან მოსული ქარი მიწნავდა. არავინ ვიყავი. ადამიანი, რომელიც არავის უყვარს, არავინაა.

ჩემი დაკვირვების ობიექტის თანმხლებ ბიჭს კარგად ვერ ვხედავდი. ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა. კეფაზე თმა ძალიან აკურატულად ჰქონდა აპარსული. თითებს მაგიდაზე ათამაშებდა. ხელი ჭიქის ასაღებად რომ წაიღო, მისი ლამაზად გამოყვანილი თითები და მოვლილი ფრჩხილები დავინახე.

- საღამო მშვიდობისა, - თავზე წამომადგა სოფია, - როგორ ხართ?

სასიამოვნო გოგო ჩანდა. ისე იღიმებოდა, როგორც მხოლოდ გულდია და უბოროტო ადამიანებს სჩვევიათ. შემრცხვა, დილით ნორმალურად რომ არ დაველაპარაკე.

- კარგად, - ვუპასუხე, - დიდი მადლობა საუბრისთვის. მართლა. ასეთი ყავა და კრუასანი არსად გამისინჯავს.

- ჩვენს ოჯახში ყველაფერს სიყვარულით ამზადებენ, - თქვა სოფიამ, - ჩვენ ადამიანებს სიკეთით და სიმშვიდით ვკვებავთ, რადგან გვჯერა, რომ ის, ვინც უსიყვარულოდ გამომცხვარი პურით ივსებს სხეულს, ბედნიერი ვერასოდეს იქნება.

ისე ლაპარაკობდა, თითქოს ზღაპარს მიყვებოდა. უცნაური მზრუნველობით მექცეოდა. მაგიდაზე ახალი, მაქმანებიანი ტილო გადამიფარა და წყლით სავსე ჭიქა დამიდგა.

- წყალი აუცილებელია, ასე ამბობდა პაპიდა ადელა. მიირთმევთ რაიმეს?

- პიტნის ჩაის დავლევ, თუ შეიძლება. და ძალიან გთხოვ, თქვენობით ნუ ვილაპარაკებთ.

- კარგი, - კიდევ უფრო გულიანად გამიღიმა სოფიამ, - პიტნის ჩაი თაფლით, არა?

- თაფლით?

- ჰო. მშვიდი სიბმრები იცის.

- მართლა? კარგი, იყოს თაფლით.



სანამ სოფია ჩაის მომითანდა, ჩემ წინ მჯდომი წყვილი წამოდგა. ბიჭმა პიჯაკი შეისწორა და აუჩქარებლად შემობრუნდა. საშუალო სიმაღლის იყო, სიმპათიური და დახვეწილი. როცა ჩემკენ გამოიხედა, მე დავინახე ორი დიდი მზე, რომელიც წარმოუდგენელი ძალით ვაშკაშებდა მის ქუთუთოებში და თვალები დავხუჭე. სანამ ბიჭს ჩემი მზერიდან გავაქრობდი, მომეჩვენა, რომ მის სახეზე ღიმილი გაკრთა.

სოფიამ ჩაიდან და ჭიქა მაგიდაზე დამიდგა.

- არ შემიძლია, არ გითხრა, რომ ძალიან საეჭვო რეპუტაცია აქვს, - მითხრა სიცილით.

- რა? - არ მეგონა, ყველაფერი სახეზე თუ მენერა.

- რა და აი, ამ ბიჭს, ახლა რომ გავიდა, საეჭვო რეპუტაცია აქვს. სულ სხვადასხვა გოგოსთან ერთად ჩნდება. მაინც, რომ იცოდე.

- მე...

- ჩვენ, მალევესკები, იმასაც ვხედავთ, რასაც სხვები ვერ ხედავენ, მაგრამ ყოველთვის ვიცით, რა უნდა ვთქვათ და რა არა, არ გეგონოს, ყველას ველაპარაკებოდე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მომწონხარ, - სოფიამ ჩაიდანს თავი ახადა, დაყნოსა, მერე ისევ დაახურა და ღია ფერის, სურნელოვანი სითხე ჭიქაში ჩამოასხა, - იმ ბიჭს გაბრიელი ჰქვია.

\* \* \*

დილით, თევზის ბაზარში გასულს, მარია შემხვდა. ღია ფეხსაცმელი, ტილოს მუხლამდე შარვალი და უბრალო, შავი მაისური ეცვა. მკლავზე გადაკიდებული კალათით მიყვებოდა გრძელ დახლებს და ჯერ კიდევ ცოცხალ, მოფართხალე თევზებს ათვალეირებდა.

- ადრე ამდგარხარ, - მითხრა და შემათვალეირა, - ცუდად გეძინა?

ცუდად არა, საშინლად მეძინა. რამდენჯერმე გამედვიძა. მეჩვენებოდა, რომ სახლში ვიღაც დადიოდა. ავდექი, ოთახები შევამოწმე, ფანჯრები ჩავრამზე. სარდაფში ჩასვლის შემეშინდა და მხოლოდ კარი მოვუსინჯე. ჩაკეტილი იყო. გამთენიისას ჩამთვლიმა და სამ საათში უკვე ფეხზე ვიყავი.

მარიამ მკლავზე ხელი მომკიდა.

- გიყურებ და ვხვდები, რომ რაღაც დიდი დაკარგე. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ შენს გარშემო ისეთი ტკივილია, ზოგჯერ შენი ნაკვთების გარჩევაც კი მიჭირს.

თავი დავხარე და მინაზე დავიხედე. ისე მინდოდა ტირილი, დგომაც კი მიჭირდა.

- ყველა ადამიანს შეუძლია, ტკივილს მოერიოს, - თქვა მარიამ, - ყველა ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება ამის ძალა. შენში ეს ძალა უფრო მეტია, ვიდრე სხვებში. ნუ შეუშინდები მის გამოხმობას და გამოყენებას. ჯერ ვერ ვხვდები, რატომ გამოგიშვა დედაშენმა აქ, მაგრამ მე მას ვიცნობდი და დარწმუნებული ვარ, უმიზეზოდ არაფერს გააკეთებდა.

მხარზე ხელი მომხვია და ქუჩისკენ წამიყვანა.

- გინდა, ჩაი დაგაღვიძო?

არ ვიცოდი, რატომ, მაგრამ მოულოდნელად ავლაპარაკდი. ეს ქალი, რომელსაც რაღაც დიდი და უცნაური აკავშირებდა დედაჩემთან, უბოძო ნდობას ინვევდა ჩემში. მივყვებოდი გვერდით და ველაპარაკებოდი დანიელზე, ვუყვებოდი ამბავს, რომელიც ირენესთვის არასოდეს მომიყოლია. ვუყვებოდი, როგორი უბედური ვიყავი, როგორ ვეღარ ვწერდი, როგორ აღარ მინდოდა, საკუთარ ცხოვრებას დავბრუნებოდი და დანიელის გარეშე გამეგრძელებინა გზა.

სანამ ყველაფერი არ ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა, მარიას ხმა არ ამოუღია. მაგრამ ვიცოდი, რომ ესმოდა ჩემი, ყველა სიტყვა, ყველა სუნთქვა, ყველა პაუზა. ბუსტად ხვდებოდა, როგორც ვიყავი.

- სიყვარულისგან არავინ კვდება, - თქვა მან ბოლოს, - არც უსიყვარულობისგან. მთავარია, მაშინ გადარჩე, როცა გტოვებენ. მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

ღრმად ჩავისუნთქე. ფილტვები თევზის სუნით ამევისო. მარია გაჩერდა, თავისკენ შემაბრუნა და ჩემად მითხრა:

- ძალიან გაბრაზებული ხარ დანიელზე.

- ძალიან, - აღარც მახსოვდა, რომ ქუჩაში ვიდექით. ხმა აღარ მემორჩილებოდა.

ტუჩებს თავი მოვუყარე და ძლივს ამოვთქვი, რასაც მანამდე საკუთარ თავსაც არ ვუბნებოდი, - მინდა, რომ მოკვდეს.

მარიამ გაიღიმა.

- ყველაზე კარგად, დედამინის ბურგზე, ახლა შენი მე მესმის. უბრალოდ, გახსოვდეს - შეიძლება, ოდესმე დანიელის შვილს შეგახვედროს ცხოვრებამ და ის არაჩვეულებრივი გოგო აღმოჩნდეს, ისეთი, როგორიც შენ ხარ.

\* \* \*

გადავწყვიტე, საღამოობით მერბინა. ქალაქის რუკა ავიღე, საგულდაგულოდ დავათვალიერე და ტრაექტორია მოვხაზე.

ოქროსფერ ყურემდე სირბილით მივედი. ცხელოდა. სანაპიროზე ჩამოვჯექი და ბღვას გავხედე. ბღვა მშვიდად სუნთქავდა. უცნაურად ვიყავი, არც კარგად და არც ცუდად. დედაჩემზე და მარიაზე ვფიქრობდი - მათ უცნაურ ურთიერთობაზე, მათ საერთო სიყვარულზე, რომელიც, საბოლოოდ, არცერთს არ შერჩა. მარიამ მიაბო, როგორ აღმოაჩინა, რომ ბიჭს, რომელიც მას ხვდებოდა, საცოლვე ჰყავდა, როგორ ჩამოვიდა დედაჩემი წყალზე გაშენებულ ქალაქში, როგორ იცხოვრა ცოტა ხანს ბედნიერად, მერე კი, როცა ბედნიერება დაკარგა, როგორ მიატოვა მალევე ქმარი და წავიდა, როგორ სცადა იოჰანესმა მარიასთან შერიგება და მისგანაც უარყოფილი, როგორ მიიყვანა მართლობამ თვითმკვლელობამდე.

- ბოლოს, ძალიან ცუდად რომ იყო, ერთხელ მივედი მის სანახავად, - მითხრა წინა სადამოს მარიამ, - უმწეო იყო და საცოდავი. გონება საშინლად ჰქონდა არეული. შვილზე მელაპარაკებოდა, რომელიც, სინამდვილეში, არასოდეს ჰყოლია. მეზობლის ბიჭს ახსენებდა, რომელიც თორმეტი წლის ასაკში დაბრმავდა და მას შემდეგ სახლიდან არ გამოსულა. მთხოვა, დიდხანს არ დავრჩენილიყავი, რომ შინ დაბრუნებულ ირენეს არ ვენახე. ვერაფრით ვუთხარი, რომ არც შვილი ჰყავდა და ირენემაც დიდი ხნის წინ მიატოვა. სინამდვილეში, სულ სხვა რამის სათქმელად ვიყავი მისული. მინდოდა, მადლობა გადამეხადა იმ ხანმოკლე ბედნიერებისთვის, რომელიც ოდესღაც მაჩუქა, ყველაზე არაჩვეულებრივი სიყვარულისთვის, სიმშვიდისთვის, რომელიც აღარასოდეს განმეორებულა. იოჰანესი ერთადერთი იყო, ვინც მიყვარდა. მყავდა თუ არა ვინმე მას შემდეგ? ოჰ, ანა, ჩემს ცხოვრებაში ბევრი კაცი იყო, მაგრამ მათ ჩემთან ყოფნას სიყვარულთან საერთო არ ჰქონია. საბოლოოდ, იოჰანესს ვერც ის ვუთხარი, რის თქმასაც ვცდილობდი, უკანასკნელად ვაკოცე და წამოვედი.

მარიაც მეცოდებოდა და დედაჩემიც. იოჰანესის მიმართ სიბრაღულს არ ვგრძნობდი. რატომღაც, დანიელს მაგონებდა.

ფიქრებიდან ვიღაცის ხმამ გამომაფხიზლა:

- შეიძლება, ჩამოვჯდე?

მადლა ავიხედე და თავი ძლივს შევიკავე, რომ მოულოდნელობისგან არ შევმხტარიყავი - თავზე გაბრიელი მადგა - ის ბიჭი, „წითელ რვაფეხაში“ რომ ვნახე, გადაპრანჭულ გოგოსთან ერთად.

- შეიძლება, - ვუთხარი და ოდნავ ჩავჩოჩდი, თითქოს სხვანაირად ადგილი არ ეყოფოდა.

დაჯდა და ხელი გამომინოდა.

- გაბრიელი.

- ანა-ულრიკე, - ვუპასუხე და ხელი შევაგებე.

ძლიერი და ლამაზი ხელები ჰქონდა და გრილი სურნელი, ზღვის პირას გაშენებული ბაღების გავლით მოსული ქარის. სხვა დროს რომ შევხვედროდი, ალბათ, ვეცდებოდი, თავი მომეწონებინა, მაგრამ ახლა არ შემეძლო. ან რატომ უნდა მოვწონებოდი ბიჭს, რომელთან შეხვედრაზეც ქალაქის არცერთი გოგო არ ამბობდა უარს, მე, რომელსაც ყოველდღე უფრო და უფრო მიკარგავდა სხეულის ფორმასა და სახის გამომეტყველებას ჩემში ფესვგადგმული დარდი, რატომ უნდა შემოეხედა ჩემთვის - გოგოსთვის, რომელსაც საკუთარი თავი გამოეცალა ხელიდან.

ერთხანს ჩუმად ვისხედით.

- კარგი ადგილია, - თქვა მან.

- ჰო, - დავეთანხმე მე, - განსაკუთრებით, საკითხავად მომწონს. ხვალ წიგნით მოვალ.

- ვერაფერს ვიტყვი, - ჩაიღიმა გაბრიელმა, - ძალიან ცოტას ვკითხულობ, უფრო სწორად, თითქმის არ ვკითხულობ.



სხვა შემთხვევაში, ჩვენი დიალოგი აქ დასრულდებოდა. არასოდეს მომწონდნენ ადამიანები, რომლებიც წიგნებს არაფრად აგდებდნენ. მაგრამ, რატომღაც, გაბრიელის წიგნებისადმი დამოკიდებულებამ ჩემი კეთილგანწყობა არ შეცვალა.

გავხედე. მზე სახეს უნათებდა. საოცრად სიმეტრიული ნაკვთები და დახვეწილი პროფილი ჰქონდა. უნებურად ჩამოვისვი ხელი ჩემს კეხიან ცხვირზე, რომელიც თოთხმეტი წლის ასაკიდან ნერვებს მიშლიდა.

- საერთოდ არაფერს ვითხულობ? - არც კი ვიცოდი, თითქმის უცნობ ადამიანს „შენობით“ რატომ ველაპარაკებოდი.

- მხატვრულ ლიტერატურას არა, არ მიყვარს. ვერ ვხვდები, რა საჭიროა. შენ ბევრს ვითხულობ, ხო?

შევყოყმანდი, ვერ გადამეწყვიტა, სიმართლე მეთქვა თუ არა. ბოლოს გავრისკე:

- კი, ბევრს ვითხულობ. უფრო მეტიც, ვწერ.

გაბრიელმა შემომხედა და თვალები მოჭუტა:

- მწერალი ხარ?

- კი.

ხმამალლა გაეცინა.

- ადრე გეთქვა.

მეც გამეცინა.

- ადრე არ გიცნობდი.

- იცი რა არის, ისე არ გაიგო, თითქოს წიგნები მძულს. უბრალოდ, დრო არ მრჩება საკითხავად, - მობოდიშებასავით გამოუვიდა, - მე ქირურგი ვარ, ერთადერთი ქირურგი ამ ქალაქში და ხომ გესმის, არ არის მარტივი...

თავი დავუქნიე.

- შენს წიგნებს ნავიკითხავ, - თქვა უცებ.

- არ არის აუცილებელი, - გვერდზე გავიხედე მე და აღმოვაჩინე, რომ ამ სიტყვების თქმისას საშინლად გულწრფელი ვიყავი.

- არა, ნავიკითხავ. ახლა წერ რაიმეს?

ჩემი მიგდებული წიგნი გამახსენდა, ვერაფრისდიდებით რომ ვერ წავწიე წინ მას შემდეგ, რაც დანიელი წავიდა.

- კი, ვწერ, - იხტიბარი არ გავიტეხე.

- ჰოდა, პირდაპირ მაგ წიგნს წავიკითხავ, - გაუხარდა გაბრიელს. სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა.

„მგონი, შეიძლება მასთან მეგობრობა“ - გავიფიქრე და ჩამავალ მზეს შევხედე.

\* \* \*

ახალ ცხოვრებას თანდათან ვეგუებოდი. ჩრდილოეთის პატარა ქალაქში ყოფნა არც ისეთი მოსაწყენი აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი. ვარჯიშისთვის და კითხვისთვის ბევრი დრო მქონდა. წერისთვისაც. თუმცა მიდგებულ წიგნს მაინც ვერაფერს ვუხერხებდი.

მარია ჩემ მოსანახულებლად ყოველდღე დადიოდა. ყველა ფანჯარას აღებდა, ოთახიდან ოთახში ბუტბუტით დააბიჯებდა, ამოწმებდა, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა, მოჰქონდა თევზი და ხილი, მარწყვს თავისი ხელით მირეცხავდა და დაუშაქრავად დგამდა მაცივარში, ლარნაკში ჩალაგებულ ყვავილებს წყალს უცვლიდა და სანამ კარს გაიხურავდა, მიბარებდა:

- დამტკნარ ყვავილებს სახლში ნუ გააჩერებ, გოგონი. მათ ყველაფერი მიაქვთ: სიცოცხლე, სილამაზე, სიხარული. არ იციან, რომ მაინც არაფერი ეშველებათ. დაიმახსოვრე, როგორც კი გვირგვინს პირველი ფურცელი ჩამოვარდება, ყვავილები მაშინვე გადაყარე.

სადამოობით გაბრიელს ვხვდებოდი. ვსეირნობდით და ათას სისულელეზე ვლაპარაკობდით. საერთო თითქმის არ გაგვარჩნდა, მაგრამ, როგორღაც, დროის ერთად გატარება მაინც მოგვწონდა. გაბრიელმა მაფიქრებინა, რომ ურთიერთობა - მნიშვნელობა არა აქვს, მეგობრობას დავარქმევთ მას თუ სიყვარულს - მაშინაა ნამდვილზე ნამდვილი, როცა სრულიად განსხვავებული მისწრაფებების ადამიანები ერთმანეთით ინტერესდებიან და ახალი სამყაროს აღმოჩენას იწყებენ.

- შენ გგონია, გაბრიელი გემეგობრება? - მრავალმნიშვნელოვნად მეკითხებოდა სოფია და თან დიდი მონდომებით მიმზადებდა ყველისა და ბოსტნეულის სენდვიჩებს, - მაგ ბიჭს ბავშვობიდან ვიცნობ, არ მოვტყუვდები.

„წითელ რვაფეხაში“ შუადღისას მივდიოდი, პატარა კონახურის ჩრდილში ვჯდებოდი და ვცდილობდი, დაწყებული წიგნისთვის რამდენიმე გვერდი მაინც მიმემატებინა. სოფიამ იცოდა, რომ ვწერდი და არასოდეს დაუმალავს, რომ ძალიან უნდოდა, დამხმარებოდა. მისი დახმარება, ძირითადად, ჩემს გამოკვებაში გამოიხატებოდა.

- ოდესმე, შენ რომ ძალიან ცნობილი მწერალი გახდები, შენს სახელზე რაიმეს შევქმნი, - მითხრა ერთხელ, - ყველაზე მეტად რომელი გემო გიყვარს?

დავფიქრდი.

- ვაშლის გემო მიყვარს, - ვუთხარი ბოლოს, - ვაშლის და კარამელის.

- ყველაფერი გასაგებია, - მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა სოფიამ, - ვაშლის და კარამელის ლიქიორს შევქმნი და „ანა-ულრიკეს“ დავარქმევ.

გამეცინა.

სოფია ისეთი გოგო იყო, როგორსაც ძნელად შეხვდები და თუ შეხვდები, ყოველთვის ახლოს უნდა გყავდეს – სიკეთით, სიყვარულით და სიცოცხლით სავსე. მომწონდა მასთან მეგობრობა. დავპირდი, რომ თუ ოდესმე წიგნის დასრულებას შევძლებდი, პირველს აუცილებლად მას წავაკითხებდი.

– მართლა? – ბავშვივით გაუხარდა – მე მეგონა, შენი პირველი მკითხველი გაბრიელი იქნებოდა.

– სოფია, – ამოვიოხრე თავმოებრებულმა – გაბრიელი წიგნებს არ კითხულობს.

– მერე რა, – მხრები აიჩეჩა სოფიამ, – ცხოვრებაში ერთხელ ყველა უშვებს გამონაკლისს.

მიუხედავად სოფიას ვარაუდებისა, გაბრიელი ისევ განაგრძობდა ჩემთვის უცნობ გოგოებთან შეხვედრას, რომლებიც, ჩემი მოკრძალებული აზრით, არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, უფრო მეტიც, უმონყალოდ ჰგავდნენ ქარხნულ ყალიბში ჩამოსხმულებს.

\* \* \*

– დახედე შენს ფეხებს, ანა, – მითხრა მარიამ, – დახედე და უთხარი, რომ გიყვარს.

ვერ შევძელი. მე აღარ მიყვარდა ჩემი ერთ დროს ჩხირებივით გამხდარი ფეხები, აღარ მიყვარდა საკუთარი სხეული, უფრო სწორად, დავინწყებული მქონდა მისი არსებობა. ყოველთვის, როცა აბაზანაში შევდიოდი, ვცდილობდი, ანარეკლისთვის თვალი ამერიდებინა. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ცხოვრებას როგორღაც შევეწყვე, ჩემი თავის მიმართ დამოკიდებულება არ შემცვლია.

– არ შემიძლია, – თავი გადავაქნიე და ქვედა ტუჩი მოვიკვნიტე, – მძულს ჩემი თავი, უფრო ლამაზი რომ ვყოფილიყავი, დანიელი სხვასთან არ წავიდოდა. მძულს.

მარია კედელთან იდგა. ხელში წყლით სავსე, გამჭვირვალე ჯამი ეჭირა და თვალს არ მამორებდა.

– შეუძლებელია ასე გაგრძელება. საკუთარ თავს საერთოდ არ ეხმარები, – თქვა მან და უცებ მიბრძანა, – გაიხადე!

სახეზე გაოცება გამომესახა.

– გაიხადე! – უფრო მკაცრად გამიმეორა მარიამ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ დავემორჩილე. ჯერ ჟაკეტი ჩამოვიცურე მხრებიდან, მერე სარაფანი. საცვლების ამარა რომ დავრჩი, მარიამ კიდევ ერთხელ შემომხედა, ტუჩის კუთხეებში ღიმილი შეეპარა.

– ბავშვობაში, დანოლის წინ, დედაშენი ტრუსებით გბანდა?



მეც გამეცინა.

- ყველაფერი გაიხადე! - ყოველი შემთხვევისთვის, დამიბუსტა მარიამ და წყლიანი თასი ხელში ისე შეატრიალა, რომ წვეთები იატაკს დაეცა.

როცა სრულიად შიშველი დავრჩი, მან თვალები დახუჭა, მარცხენა ხელი წყალში ჩაყო, მარცხენით ჯამი დაატრიალა და ბუტბუტი დაიწყო.

- მარია... - ვთქვი ჩუმად.

ყურადღება არ მოუქცევია. სადღაც სხვაგან იყო. ვუყურებდი და ვერ ვხვდებოდი, რამ შემაყვარა ასე ძალიან ქალი, რომელიც ერთი თვის წინ გავიცანი, ქალი, რომელიც არაფრით ჰგავდა ირენეს და მაინც მეგონა, რომ ჩემი მეორე დედა იყო - ისეთი, როგორიც მე არ მყოლია, ქალი, რომელმაც ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდ პერიოდში გამიცნო და მთელი გულით ცდილობდა, სიცოცხლისკენ შემოვებრუნებინე. საშინაო, ნაცრისფერი კაბა ეცვა და კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა, მაგრამ მის სუსტ მკლავებს, დაძარღვულ ყელსა და დაშვებულ მხრებს ისეთი ძალა ეტყობოდა, როგორიც არსად მენახა.

- მარია! - გავიმეორე უფრო ხმამაღლა.

მან თვალები გაახილა, თითები წყლიდან ამოალაგა და ჩემკენ წამოვიდა.

- დალიე! - მითხრა და თასი პირთან მომიტანა.

- ვერ დავლევ, - ვუთხარი პირდაპირ და გვერდზე გავიხედე.

სახე გაუქვავდა და უბეები კიდევ უფრო ჩაუშავდა.

- დედაშენის შვილი ხარ, - კბილებში გამოსცრა მან და ხელი ნიკაპზე წამავლო, - უფრო კეთილი, უფრო თავმდაბალი, უფრო ჯკვიანიც, მაგრამ მაინც - ირენეს ნატეხი. ერთიანად ხარ დაბზარული, სული ამოგდის და არ გინდა, წამალი დალიო. გეშინია, ჩემი ხელების გემო არ შეგყვეს, ჩემი ფრჩხილების მტვერმა არ დაგაბინძუროს, თანაც, არ გჯერა, რომ გიშველი.

ხელს არ მიშვებდა. ქვედა ყბა საშინლად მეტკინა. პირი გამიშრა. ვერაფერს ვპასუხობდი. სიმართლეს ამბობდა. სხვის ხელშენახებ პურსაც კი ვერ დავაკარებდი პირს. არც დანიელის თეფშიდან მიჭამია ოდესმე.

მარიამ უკან დაიხია და თასი მაგიდაზე დადგა. კედელს მივეყუდე და იატაკისკენ ჩავცოცდი. ჩაცმა არც მიცდია.

- მე ყველაზე ღარიბ უბანში გავიზარდე, ანა-ულრიკე, სადაც არასოდეს გვყოფნიდა პური და მარილს საკუთარი ცრემლებიდან ვაგროვებდით. ცრემლი კი ბევრი იყო, სხვადასხვანაირი, შიმშილისა და სირცხვილის, ტკივილისა და უიმედობის და ჩვენს სახლებში მარილსაც ბევრნაირი გემო ჰქონდა და იმ მარილით მომზადებულ კერძებსაც და ჩვენს ცხოვრებასაც, რომელიც არსაით მიდიოდა... დედაშენს კი არასოდეს უჭამია საკუთარი ცრემლის მარილით გამომცხვარი პური. არც შენ. ყოველთვის ფიქრობ, ვინ მოკიდა ჭიქას ხელი იქამდე, სანამ შენ აიღებდი. ჰო, ასეთი

არაფრისმომცემი ფიქრებით იბინძურებ მაგ ლამაზ თავს, რომელიც ულამაზო გგონია. აი, მე ვი, იცი, რა მინდოდა, შენთვის მეთქვა, ანა – იქ, სადაც ქედმაღლობაა, სიყვარული ფეხს ვერასოდეს მოიკიდებს. სადაც ყველა სიტყვას წონი, სადაც გეშინია, რომ თუ წაიქცევი – მიგატოვებს, სადაც არ შეგიძლია, ტიროდე მაშინ, როცა გეტირება, სიყვარულის ადგილი არ არის. შენ შეგიძლია, გძულდეს ჩემი თითების გემო, მაგრამ ასე ვერ იცხოვრებ. სამყარო პატარაა და ადამიანები იმაზე ახლოს ვართ ერთმანეთთან, ვიდრე გვინდა.

ხმას ვერ ვიღებდი. ცივ იატაკზე შიშველი ვიჯექი, მაგრამ უფრო სხვა რამ მანუხებდა – სირცხვილი. ნელა ავდექი. როგორც ყოველთვის, ჩემმა მუხლებმა ახლაც გაიტკაცუნეს.

მარიამ წარბები ასწია.

– რა გჭირს? დავიჯერო, ირენე ვარჯიშს არ გაიძულებდა?! არც ჩოგბურთზე გატარა? – ისე მკითხა, თითქოს რამდენიმე წამის წინ ხელი არ ეფათურებინოს ჩემს სულში.

– უნდოდა, – ვუთხარი მე და ხელი უაკეტისკენ წავიღე, მაგრამ გადავიფიქრე, – უნდოდა, მაგრამ არ ვიარე.

მარიამ გაიღიმა და მის თვალებში კმაყოფილების სხივი გაკრთა.

მე მაგიდასთან მივედი, თასი ავიღე და მოვიყუდე.

წყალს გემო არ ჰქონდა. ვსვამდი და ვგრძნობდი, როგორ ირეცხებოდა ჩემი სხეული

შიგნიდან. ოთახი სადღაც გაქრა. დანიელს ვხედავდი. აი, ერთმანეთს პირველად ვხვდებით, მეგობრის დაბადების დღეზე. ის ჩემ წინ მის, მე თვალს ვარიდებ. აი, ყავას ვსვამთ ქალაქის ცენტრში, კაფეს ტერასაზე, რომელიც ჩვენი პირველი პაემნიდან სამ წელიწადში დაიხურა... კინოში ვსხედვართ და ვცდილობ, ხელი ისე მედოს, რომ მიხვდეს – მის შეხებას ველოდები... ნანვიმარ ქუჩაში, ხის ქვეშ ვდგავართ, დანიელი მკოცნის და მთელი გალაქტიკა ჩემ გარშემო ტრიალებს... დანიელი მკოცნის, მკოცნის, მე ვტირი და საკუთარი ცრემლების მარილს ვგრძნობ. ჩემს მარილს ტკივილის გემო აქვს, ჩემი დაშლილი ძვლების, დაკანრული კანის, ჩემი ჩამომხრჩვალა ოცნებების, ჩემი კოშმარების, დანიელის ტუჩების გემო აქვს ჩემს ცრემლებს...

ბოლო წვეთი გადავყლაპე და თასი მაგიდაზე დავდგი. მარიას შევხედე – ის ადგა, მოვიდა და უაკეტი მომახურა.

– მართლა მიყვარდა დანიელი, – ვუთხარი მე.

– ვიცი, – მიპასუხა მარიამ და შუბლზე მაკოცა, – ეცადე, სახლში შიშველმა იარო. საკუთარ სხეულს ისევ შეეგუები.

ძალა აღარ მეყო. ჩავეხუტე, მოვიკუნტე და თავი მკერდზე მივადე. უჩვეულო სიცარიელე ვიგრძენი. გამაკანკალა. მარიას მკერდი არ ჰქონდა.

იმ საღამოს ავად გავხდი.

\* \* \*



შვიდი დღე და ღამე მქონდა სიცხე. ვდუღდი, მთელი სხეული მიხურდა, მეჩვენებოდა, რომ კანის ფორებიდან წყალს ვღვრიდი, ვშრებოდი, ვბორგავდი, მინდოდა, შველა მეთხოვა, მაგრამ ხმის ამოღება არ შემეძლო.

ცხადსა და სიბმრებს შორის გამოკიდებული, გადათეთრებული თვალებით ვხედავდი მარიასა და გაბრიელს. ვხედავდი, როგორ მადებდა მარია საფენებს შუბლზე. მას დედის ხელები ჰქონდა. არა, დედაჩემის კი არა, უბრალოდ, დედის – თბილი და მზრუნველი. ბოგჯერ ჩემს მხურვალე ტერფებს გულში იკრავდა და რაღაცას ბუტბუტებდა. ნაშუაღამევს კი, როცა ოდნავ ვმშვიდდებოდი, მარია დგებოდა და სახლში დადიოდა, დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში და მე ვგრძნობდი, როგორ ინმინდებოდა ჰაერი გარშემო და როგორ ივსებოდა სიგრილით კედლები შუა ბაფხულში.

საღამოობით გაბრიელი მოდიოდა. შემოვიდოდა, თავზე დამადგებოდა, აიკეცავდა გახამებული პერანგის სახელოებს და ჩემთვის ნემსის გასაკეთებლად ემზადებოდა. მე კი, ისედაც გავარვარებული, სირცხვილისგან კიდევ უფრო ვინვოდი. კუთხეში მიკუჭული შევყურებდი საკუთარ სხეულს, რომელიც იმ წამს კიდევ უფრო მეტად მძულდა, ვიდრე ოდესმე. ვიცოდი, რომ ქალაქში სხვა ექიმი არ იყო, მაგრამ მაინც ვბრაზობდი – ნუთუ მარიას არ შეეძლო, ჩემთვის ნემსი თვითონ გაეკეთებინა? რა აუცილებელი იყო, გაბრიელს ასეთ მდგომარეობაში ვენახე?

ვგრძნობდი, წასვლის წინ სიფრიფანა საბანს როგორი სიფრთხილით მაფარებდა. ჩემკენ იხრებოდა, სახე ისე ახლოს მოჰქონდა, რომ მისი კანის სუნს ვგრძნობდი. ჩემს სუნთქვას აყურადებდა. მე კი ვინეცი ოფლად დაღვრილი, განენილი თმით, შიშველი

და არასრულყოფილი და მინდოდა, მეთქვა, მაპატიე, მაპატიე, გაბრიელ, რომ ავად გავხდი, რომ საკუთარი თავი დავკარგე, რომ საკუთარი ცხოვრებაც დავკარგე, რომ ყოველთვის ვიცოდი, რა მინდოდა და ახლა აღარ ვიცი, რომ ასეთი ვარ, რომ დარდმა დამაუშნოვა და შენც კი, რომელიც ქალაქის თითქმის ყველა გოგოსთან ყოფილხარ პაემანზე, მხოლოდ მეგობრობ ჩემთან... მაპატიე, ვერაფერს გამოვასწორებ, ვერაფერს დაგპირდები, არაფერი შემიძლია...

დროდადრო ჩემს ყურამდე სოფიას ხმა აღწევდა. ოთახში არ შემოდიოდა, კართან ელაპარაკებოდა მარიას, ვაშლებით სავსე კალათს უტოვებდა და მიდიოდა. და ყოველ ჯერზე, როცა ის ჩემი სახლის კარს აღებდა, მე – საკუთარი ძილ-ღვიძილის გასაყართან მოქანავე – ვრწმუნდებოდი, რომ სოფია ახლოს უნდა მყოლოდა, ძალიან ახლოს.

\* \* \*

პირველი ღამის სიბმარში გიგანტური ობობა ვიყავი. ოთახის შუაგულში ვინეცი და, საკუთარ ქსელში გახლართული, დანიელს მთელი ძალით ვუჭერდი ფეხებს. ვეხვეოდი ისე, როგორც ცხადში, როგორც სიცოცხლეში, როგორც ადამიანობის დროს და ჩემი შავი სხეული თანდათან ივსებოდა მისით, მისი სისხლით, მისი სიცოცხლით. სიბნელეს მხოლოდ ჩემი თეთრი ქსელი ანათებდა და ამ მკრთალ, ჰაერში მოქანავე სინათლეზე, მე ვხედავდი დანიელის თვალებს, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა და კიდევ უფრო ძლიერად ვაქცევდი მის სხეულს ჩემს გადაშლილ ფეხებს შორის, რომ როგორმე ჩამეჭრო დანიელის თვალების სინათლე. და როცა გუგები გაუთეთრდა და ტუჩები გაუუხეშდა, მივხვდი, რომ სიცოცხლის უკანასკნელი წვეთი ამოვწოვე მისგან. დანიელის გამოფიტული სხეული იატაკზე დავაგდე და გავიქეცი.



მეორე ღამის სიზმარში ფორთოხალი ვიყავი. დანიელს ვეჭირე ხელში, მსრესდა, კანს მაძრობდა, მკბეჩდა და მეც ვსკდებოდი და ვიღვრებოდი მის ტუჩებზე, ენაზე, კბილებს შორის. ვიღვრებოდი შხამად და ვედებოდი დანიელის ძარღვებსა და შიგნეულს, ვედებოდი და ვწვავდი. იგრძობოდა და იკლავებოდა დანიელი, კედლებს აწყდებოდა, ჩემს გადმოფურთხებას ცდილობდა, წყალს ეძებდა, მაგრამ წვეთიც კი არსად ჩანდა. კარგა ხანს იტანჯა, ბოლოს მოეშვა, მოდუნდა და ძირს დაენარცხა. როცა დავრწმუნდი, რომ მისმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა, საკუთარი ნაგლეჯები შევაგროვე, დავმრგვალდი და მიწაზე გავვორდი.

მესამე ღამის სიზმარში ხე ვიყავი. უდაბნოში ვიდექი და უღრუბლო ცას ვუყურებდი. დანიელი ჩემთან მოვიდა და ჩრდილი მთხოვა. დავწვრილდი და ტოტები ავკეცე. არ მივეცი ჩრდილი. ის ჩემს ფესვებზე ჩამოჯდა. ფესვები შევარხიე და ღრმად ჩავმარხე ქვიშაში. ტრიალ უდაბნოში მზის გულზე დავტოვე დანიელი. ჯერ კანი გამოუშრა და დაუქცნა, მერე თმა და ფრჩხილები გაუხმა, უპეები ქვიშით აევსო. ვხედავდი, როგორ ამოსდიოდა სული. მის სულს ვხედავდი, რომელიც იყო მძიმე, გაუმჭვირვალე და ნაცრისფერი. როცა დავრწმუნდი, რომ დანიელის სხეული საბოლოოდ დატოვა სიცოცხლემ, ტოტები გავშალე და უდაბნოს გადავაფარე. უდაბნო თაბისად იქცა.

მეოთხე ღამის სიზმარში ყინული ვიყავი და დანიელი ჩემზე დააბიჯებდა. დააბიჯებდა და არ მიყურებდა. აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. სქელძირიანი, ტალახიანი ფეხსაცმელი ეცვა და მსვრიდა, მაგრამ ეს საერთოდ არ ანაღვლებდა. გავიტკაცუნე და ჩავტყდი, პირი დავაღე და დანიელი ჩავცლაპე, წყალი დავატრიალე და სიღრმისკენ ჩავითრე, რომ ამოსვლა ვეღარ მოეხერხებინა. უმწეოდ ფართხალებდა, ჟანგბადი არ ჰყოფნიდა, ხელებს მირტყამდა, ცდილობდა, შიგნიდან გამოვენგრე. ბოლოს თვალები

გაუნყალდა, ტალღებს შეერია მისი გუგების სილურჯე. როცა ფსკერისკენ დაეშვა, მხრები გავასწორე, პირი დავმუნე და დავმშვიდდი.

მეხუთე ღამის სიზმარში თევზი ვიყავი. დამხრჩვალნი დანიელის სხეულს ვჭამდი. გემო არ ჰქონდა.

მეექვსე ღამის სიზმარში სარკე ვიყავი. დანიელის პირისპირ ვიდექი და ვუყურებდი. ვუყურებდი და ვირეკლავდი. სხვა ადამიანს ვხედავდი და არა მას, ვინც ოდესღაც მიყვარდა. სიკეთის ნატამალიც არ გააჩნდა, არც თანაგრძნობის, არც მონატრების. არავინ უყვარდა. ვიგრძენი, როგორ ჩავიბრუნე თვალები, რომ აღარ დამენახა და ანარეკლის გარეშე დავტოვე. დანიელი იდგა სარკის წინ, რომელსაც სამუდამოდ წაეშალა მისი სახე.

მეშვიდე ღამის სიზმარში მე ვიყავი მე და ვიყავი მარტო. და ჩემ გარშემო იყო ზღვა. და შორს, ყველა შიშს გადაღმა, წყალზე მოტივტივე ქალაქი მოჩანდა.

\* \* \*

მერვე დღეს მარიამ სარდაფში ჩამიყვანა. სიცხე აღარ მქონდა, მხოლოდ სისუსტესა და სიმშრალეს ვგრძნობდი. სარდაფში სიჩუმე და ნესტი იდგა. პატარა სარკმლიდან შემოსულ დღის შუქზე ძველი აუზი უცნაურად ელავდა. მარიამ ხალათი გამხადა და წყლისკენ მიმითითა:

- ჩანჭი.

დავუჯერე. აუზში ფრთხილად ჩავაბიჯე. წყალი თბილი იყო და მდორე. როცა წყლის ზედაპირზე თავი გავასწორე, მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ იქაურობა ვერცხლისფერი თევზებით იყო სავსე. მშვიდად, სიმეტრიულად, შეთანხმებულეზივით ირეოდნენ ერთმანეთში და ჩემს კანთან ახლოს სიგრილესა და სიმსუბუქის შეგრძნებას ტოვებდნენ.

მარიაც ჩამოვიდა აუზში. არაფერი ეცვა და მე პირველად დავინახე მისი მკერდის ადგილას ამოსვირიგნებული იები, რომლებიც მარიას ყავისფერ კანზე ცოცხლებივით ყვაოდნენ. ცრემლი მომერია. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ძლიერი, თავისი ჭრილობებითა და კანზე აღბეჭდილი ტკივილებით, ისე ცდილობდა, დამხმარებოდა, იმდენი ჯადოქრობა და ადამიანობა იმალებოდა მასში, რომ მომინდა, მაგრად მოვხვეოდი და მეთქვა, როგორი მადლობელი ვიყავი იმ ყველაფრის გამო, რასაც ჩემთვის აკეთებდა.

ხელში ტილო ეჭირა. წყალში გამოიარა და ჩემთან მოვიდა. ჯერ სახე გამინმინდა, მერე ყელი და მხრები, მერე სხეულის სხვა ნაწილებზე გადაინაცვლა. ავადმყოფობის ნარჩენებისგან მთელი ძალით მასუფთავებდა. ისეთი მონდომებით მიხეხავდა და მისრესდა კანს, რომ ვხვდებოდი, ჩემი სხეულიდან დარდის გამოდევნასაც ცდილობდა.

- მენჯის... - ვთქვი ძლივსგასაგონად.

- მოითმინე, - მთხოვა მარიამ, - თვალები დახუჭე და მშვიდად იწევი.

როცა მარიამ სრულიად განმინდა ჩემი კანი და ყველაფერი, რაც ჩემს ტანსა და სულს

გააცალა, აუზის შორეულ კუთხეში ჩარეცხა, თვალები გავახილე და ჯერს შევხედე: ოქროსთმიანი ქალთევზა მის მკლავებში მოქცეულ ახალგაზრდა კაცს ქარვის ცრემლებით დასტიროდა.

- ეს იურატეა, - მითხრა მარიამ. ის უკვე ჩემ გვერდით იწვა წყლის ზედაპირზე, - წყლის ქალღმერთი. ამბობენ, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი შეუყვარდა, მზით დამწვარი მეთევზე, რომელიც ზღვის პირას, ფარღალალა ქოხში ცხოვრობდა. იურატემ დაივინყა, რომ ქალღმერთი იყო და თავის სატრფოსთან ერთად ქარვის ყურეში დასახლდა, მაღალ კოშკში, რომელიც გაშლილ ზღვას გადაჰყურებდა. როცა ღმერთებმა, იურატეს ძმებმა, შეიტყვეს, რომ მათმა დამ ცხოვრება ადამიანს დაუკავშირა, განრისხებულებმა, ციხე-სიმაგრე დაანგრიეს და მეთევზე მოკლეს. აი, ასე ხდება, ანა, როცა ქალს უყვარდება, ასე ხდება, როცა ქალი გადანყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. მაშინაც კი, როცა ის ქალღმერთია, ქალის დამოუკიდებლობას კაცები ჯკუიდან გადაჰყავს... ჰო, რას ვყვებოდი - ბევრი იტირა იურატემ, დიდხანს იგლოვა კაცი, რომელიც უყვარდა, რომელიც სიცოცხლეს ერჩივნა. ქარვად იქცა მისი ცრემლები და ყურეში გაიფანტა. თავად იურატე ზღვას დაუბრუნდა. მსმენია, რომ დროდადრო ამოდის ხმელეთზე და ახალ სიყვარულს ეძებს. და როცა იპოვის მას, ვინც თავის მეთევზეს აგონებს, ამქვეყნად გოგონები ჩნდებიან, იურატეს გოგონები, ზღვისა და ხმელეთის შვილები, რომლებიც ვერასოდეს ნახულობენ დედას, რომლებსაც მამები, ან სხვისი მშობლები ზრდიან... როგორც წესი, ისინი წყლიდან მოდიან და როცა დრო მოვა, წყალშივე უჩინარდებიან. იშვიათი გამონაკლისების გარდა, მათ წარმოდგენა არა აქვთ, ვინ არიან, ცდილობენ, ჩვეულებრივად იცხოვრონ, მაგრამ არ გამოსდით და კითხვებზე პასუხების ძიებაში გაჰყავთ მთელი სიცოცხლე.

მარია შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნთქა და განაგრძო:



- ამბობენ, რომ არავინ იცის, სინამდვილეში როგორია იურატე, როგორი სახე აქვს, როგორი თვალები, როგორ იღიმება, როცა მეთევზეზე შეყვარებული, მის ტალღებში შეტყუებას ცდილობს. იურატეს სანახავად ზღვის სიღრმეში უნდა ჩახვიდე, იმდენად ღრმად უნდა ჩაყვინთო, რომ ამის გაკეთება, უბრალოდ, ადამიანის ძალებს აღემატება.

- მხოლოდ ჩაყვინთვაა საკმარისი? - ვკითხე ისე, რომ ჭერისთვის თვალი არ მომიშორებია.

- არა, - თქვა მარიამ და მის ხმაში მკრთალი ღიმილი გაისმა, - ქალღმერთის ნახვის ღირსი გახდეს მხოლოდ ის, ვისაც ჰყვარებია ძვლების ტკივილამდე, ვისაც ჰყვარებია ისე, რომ ღამით რიყის ქვებზე უძინია და წვეთ-წვეთობით უგროვებია თვალებიდან გადმოდენილი სისხლი. ვისაც, წყალში ჩახედვისას, საკუთარი სახის ნაცვლად, მისი სახე დაუნახავს, ვის გამოც სიცოცხლეს დათმობდა.

მარიას ხმა სიმღერასავით ისმოდა სარდაფში. კედლები ყრუდ გუგუნებდნენ.

- ქალღმერთმა შეიწყალოს მხოლოდ ის, ვისაც ხმამაღლა უთქვამს წყლის პირას, რომ მეტი აღარ შეუძლია, აღარ შეუძლია, იცხოვროს შიშში ქარის ამოვარდნიდან ქარის ჩადგომამდე, და წვიმის წამოსვლიდან წვიმის გადაღებამდე, და მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე, და პირიქით. ქალღმერთმა ხმელეთზე დააბრუნოს მხოლოდ ის, ვინც ისწავლა, რომ ცხოვრება შიშების დაძლევაა და მეტი არაფერი, ვინც შიშები მოიშინაურა, მაგრამ ვერ მოკლა, ვინც შუადამისას გავიდა სახლიდან საკუთარი თავის საძებნელად და იმის მაგივრად, რომ უკან აღარ დაბრუნებულყო, ყველა გზა იპოვა, რათა მოგზაურობა იქ დაესრულებინა, საიდანაც დაიწყო.

თევზები ჩემ გარშემო მოგროვდნენ. თითქოს მიყურებდნენ და მელოდებოდნენ, რას ვიტყვოდი. მე კი მარიას ვუსმენდი და ვხვდებოდი, რომ საიდანღაც ვიცნობდი მას, ვისზეც მარია ჰყვებოდა.

- ქალღმერთმა მიიღოს მხოლოდ ის, ვისაც არასოდეს უსწავლია, როგორ ილოცოს სხვისი სიტყვებით, ვისაც საკუთარი სიტყვებიც ეყოს მასთან სალაპარაკოდ, ვისაც სიყვარული ეყოს სიტყვების მოსაძებნად.

არ ვცდებოდი. ჩემზე ლაპარაკობდა მარია.

- დაე, იყოს სიყვარული უფრო დიდი, ვიდრე ქალღმერთის ნება, ვიდრე სიცოცხლის წყურვილი, უფრო თვალუნვდენელი, ვიდრე ჰორიზონტი ზღვის დასალიერთან. დაე, იყოს სიყვარული უფრო ძლიერი, ვიდრე კლდიდან მოწყვეტილი ლოდი, ვიდრე ყველა შიში ერთად, ვიდრე წყალი ქალაქის აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, ვიდრე წყალი ქალაქის ცაზე, ვიდრე წყალი ქალაქის საძირკველში... - დაასრულა მარიამ და შემომხედა.

ვტიროდი.

- ჩვენ, ყველას გვინდოდა მისი ნახვა - მე, დედაშენს, სხვა გოგოებს, - მარიაც ტიროდა, - ვერ შევძელით. სიყვარული არ გვეყო, საკუთარი თავები არ გვეყო. სიკვდილი ვარჩიეთ. გაქცევა ვარჩიეთ. ვარჩიეთ, ცხოვრება ისეთი მიგვეღო, როგორიც მოგვეცა - მწკლარტე და უგემური. მაგრამ ჩვენ უკვე წარსულში ვართ და მნიშვნელობა აღარ აქვს, რა დაგვემართა. შენ შეძლებ, ვიცე, შეძლებ, ზღვის ფსკერზე ჩახვიდე და იურატეს სახე იხილო.



ცრემლები გადავყლაპე.

- ჰო, მაგრამ მე ცურვაც კი არ ვიცი, მარია.

- ეს არ არის მნიშვნელოვანი, - მიპასუხა მან, - მთავარი ისაა, რომ ზუსტად ისეთი ხარ, როგორიც უნდა იყო.

მოზაიკას კიდევ ერთხელ შევხედე. ყურძნის მარცვლებივით ეკიდა ჭერზე იურატეს ქარვის ცრემლები.

\* \* \*

- მაპატიე, რომ ამდენი დრო წაგართვი და შენს გოგოებს მოგწყვიტე, - ვუთხარი გაბრიელს, რომელიც „წითელ რვაფეხაში“ ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა და, წერაში გართულს, თავზე წამომადგა.

მართლაც მადლობელი ვიყავი მისი. დროდადრო მახსენდებოდა, როგორ მივლიდა, როგორ მასმევდა წამლებს და მიკეთებდა ნემსებს და ჩემად მეღიმებოდა. საკუთარ თავსაც და სოფიასაც ვარწმუნებდი, რომ გაბრიელის საქციელი სხვა არაფერი იყო, თუ არა ეჭიმის ჩვეულებრივი ბრუნვა პაციენტზე, მაგრამ გულის სიღრმეში ვხვდებოდი, რომ მისი ხელები, რომლებიც ავადმყოფობისას ფრთხილად მეხებოდნენ სახესა და სხეულზე, რაღაც უფრო მეტის და მნიშვნელოვანის თქმას ცდილობდნენ ჩემთვის. ჰო, მადლობელი ვიყავი, მაგრამ მაინც წაკვბინე. სხვანაირად არ შემეძლო.

- მიპატიებია, - ცალყბად გამიღიმა მან და დაჯდა, - როგორ მიდის იმ წიგნის წერის საქმე, მე რომ უნდა წავიკითხო?

- უკეთესად, - ვუპასუხე დარწმუნებით და ბლოკნოტი დავხურე, - შენი პაციენტები როგორ არიან?

სანამ გაბრიელი პასუხს გამცემდა, ჩვენს მაგიდასთან სოფიამ მოიბრინა.

- ცოტა ხნით ჩამოგიჯდებით, - თქვა და გაბრიელს მუჯლუგუნი გაჰკრა, - მართო მე მეჩვენება, რომ ანა-ულრიკეს რაღაც აწუხებს, თუ შენც?

გაბრიელმა შემომხედა.

- ჰო, თითქოს ნაავადმყოფარს ჰგავს, - შენიშნა ირონიულად.

- ახლა არ დაინყოთ, - ხელები გაასავსავა სოფიამ, - ანა, მოყვი, რა ხდება. მე ვერ მომატყუებ.

ამოვიოხრე. ისედაც ვაპირებდი, სოფიასთვის და გაბრიელისთვის იურატეს შესახებ მეამბნა. ბოლოს და ბოლოს, ამ ქალაქში მათზე და მარიაზე ახლობელი არავინ გამაჩნდა. უკეთეს მომენტს, ალბათ, ვერ ვიპოვიდი.

- არ გადამრიო! - გადაიხარხარა გაბრიელმა, როცა მოყოლა დავასრულე, - ძალიან გთხოვ, შენზე წარმოდგენას ნუ დამიკარგავ. მარიას ზღაპრების გჯერა?

- რატომაა ზღაპარი? - შევედავე, - ცხოვრება მართო მეცნიერება არ არის, გაბრიელ. ცხოვრება უფრო ისაა, რასაც ფორმულებით, ციფრებით, რეცეპტებით ვერ გადმოსცემ. არ ვიცი, როგორ აგისხნა... ამის რომ არ მჯეროდეს, ალბათ, ვერაფერს დავწერდი.

- შეიძლება, სიმართლეს ამბობ, - თავი დამიქნია გაბრიელმა, - თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ვტყუი.

- რა მნიშვნელობა აქვს, გაბრიელი რას ფიქრობს, ანა, ან მე რას ვფიქრობ, - ხელები გაშალა სოფიამ, - თუმცა ბარემ ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა სცადო ზღვის ფსკერზე ჩასვლა, რადგან მე ზუსტად ვიცი, რომ ამ ქალაქში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. აქაურობა კანონებს არ სცნობს. მაგრამ არც ესაა მნიშვნელოვანი. მთავარია, შენ რა გგონია, შენ რას გრძნობ, ხარ თუ არა მზად.

- მზად როგორ ვიქნები, ცურვაც კი არ ვიცი, - ვთქვი დანანებით.

- ცურვას მე გასწავლი, - მოულოდნელად შემომთავაზა გაბრიელმა, - კარგად ვცურავ, მართალია, ქალთევზებში ვერ ვერკვევი, მაგრამ იქნებ ინსტრუქტორად გამოგადგე.

- კიდევ კარგი, ვერ ერკვევი, - ვუთხარი ნიშნისმოგებით და თვალი თვალში გავეყარე.

გაბრიელი რომ წავიდა, სოფიამ ჩემი მაგიდა საგულდაგულოდ გადანძვინდა, რძიანი ყავა გამიმზადა, ბლოკნოტის გვერდით დამიდგა და მითხრა:

- ანა, შენ ეჭვიანობ.

\* \* \*

- უნდა მენდო, - მითხრა გაბრიელმა პირველ გაკვეთილზე, - თუ არ მენდობი, არაფერი გამოვა.

ის კარგი მასწავლებელი აღმოჩნდა. ერთმანეთს ქარვის ყურეში, საღამოობით ვხვდებოდით. მე, რომელიც არასოდეს ვენდობოდი ადამიანებს, ნელ-ნელა ვსწავლობდი, როგორ უნდა მემოძრავა წყალში მშვიდად, როცა ჩემს სხეულს ქვემოთ გაბრიელის მკლავი მეგულებოდა. მე, რომელსაც მუდამ სადღაც მეჩქარებოდა, ვსწავლობდი, როგორ უნდა მესუნთქა თანაბრად და აუღელვებლად, როგორ უნდა მიმეღწია წონასწორობისთვის. მე, რომელმაც ერთხელ სულელურად დავკარგე საკუთარი თავი, ყოველდღე ვპოულობდი მას ზღვაში, გაბრიელის გვერდით.

- თავისუფლებაზე იფიქრე, - მეუბნებოდა გაბრიელი, - მკლავები კარგად მოუსვი, წყალი ისე გასწიე, როგორც ფარდებს სწევ დილაობით, რომ სახლში მზის სხივი შემოვიდეს. წყალს მშიშრები არ უყვარს. ბედნიერებაზე იფიქრე, ანა.

მიკვირდა. წყალში ის სხვა ადამიანად იქცა. ბიჭი, რომელსაც სასაცილოდ არ ჰყოფნიდა არაფერი, რაც ფორმულებით არ გამოისახებოდა და მეცნიერულად არ მტკიცდებოდა, ყველაზე დიდი რომანტიკოსი ხდებოდა მაშინ, როცა ცურვას მასწავლიდა.

- ჩაყვინთე, მსუბუქად ჩაყვინთე, - ამბობდა ის, - მსუბუქად და უდარდელად, აი, როგორ გითხრა...

- თითქოს სიზმარში ვიძირები, - შევეშველე ერთხელ და ცინიკური კომენტარის მოლოდინში, თავი წყალში ჩავრგე.

- ზუსტად, - გაუხარდა გაბრიელს, - თითქოს სიზმარში იძირები.

მას ძლიერი ხელები და გაშლილი მხრები ჰქონდა. ისე მყარად ცურავდა, თითქოს იდგა და ისე იდგა, თითქოს მიწის სიღრმეებს მოჭიდებული ფესვები უნარჩუნებდა წონასწორობას. გაბრიელის გვერდით არაფრის მეშინოდა.

ორი კვირის თავზე მივხვდი, რომ მზად ვიყავი.

\* \* \*

ზღვა მშვიდი იყო. ამომავალი მზის სხივები ანათებდა ქარვის ყურეს. წყალში შევაბიჯე და იქამდე ვიარე, სანამ ზღვა კისრამდე არ მომწვდა. მკლავები გავშალე. თავისუფლებაზე ვფიქრობდი, თავისუფლებაზე, რომელიც ამ ქალაქმა მომცა, სისუსტისა და უმწეობის თავისუფლებაზე, სიყვარულისა და სიძულვილის თავისუფლებაზე, მეგობრობისა და ურთიერთობის თავისუფლებაზე. ბევრი იყო ჩემი თავისუფლება, დიდი იყო და ფერადი. მივცურავდი.

თევზები ქარავნებად ირეოდნენ ჩემ გარშემო, წრეებს მირტყამდნენ, მეხებოდნენ, თითქოს ჩემს კანს გემოს უსინჯავდნენ. და როცა ტერფები შევატყუპე, მკლავები დავხარე და ვერტიკალურად დავინწყე სიღრმისკენ დაშვება, დავინახე ვერცხლისფერი თევზები, რომლებიც ჩემს ძარღვებში დაცურავდნენ და შემეშინდა. სხეულში სიცივე მომედო. დანიელი გამახსენდა. როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა, როგორ... ფსკერისკენ ქვასავით წავედი.

- ცხოვრება შიშების დაძლევაა, ანა, - მომესმა გაბრიელის ხმა და გამიკვირდა. ეს სიტყვები ჩემთვის მას არ უთქვამს, - თავისუფლებაზე იფიქრე...

და წყლის სიღრმეში, იქ, სადაც სინათლე უკვე ვეღარ აღწევდა და ხახადაღებული უფსკრულებისკენ უსასრულო მწკრივებად მიიწევდნენ დელფინები და რვაფეხები, იქ, სადაც თევზებსაც კი აღარ ჰყოფნიდათ სუნთქვა, ორი დიდი მზე დავინახე - გაბრიელის თვალები, რომელმაც ზღვის წყვდიადი გაანათა.

სანამ ფსკერს ფეხს შევახებდი, კიდევ ერთხელ დავხედე საკუთარ სხეულს - წითელი ფერი დასდებოდათ ჩემს ძარღვებში მცურავ ვერცხლისფერ თევზებს. თბილოდა.

ფსკერზე მყარად დავდექი და გავიარე. მთელი ტანით ვსუნთქავდი. მივაბიჯებდი და ბედნიერების უცნაური, უსაშველოდ დიდი განცდა არ მტოვებდა.

და როცა უღრმესი უფსკრულის შუაგულში აღმართულ ქარვის საკურთხეველს მივუახლოვდი, ის დავინახე, ჩემკენ ბურგით მჯდომი იურატე, ზღვის ქალღმერთი, რომელმაც საუკუნეები გალია დაკარგული სიყვარულის ძებნაში. ვიდექი და ვუყურებდი. არც ისეთი სრულყოფილი ჩანდა, მე რომ მოველოდი. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ გოგოს ჰგავდა. ხორბლისფერი თმა მხრებთან ულივლივებდა. ძალიან გამხდარიც არ ეთქმოდა. მივუახლოვდი. შემობრუნდა და შემომხედა. შემომხედა და



ვიგრძენი, როგორ გავხდი შიშისგან სრულიად უნონო. მას ჩემი სახე ჰქონდა. ჩემი ჩვეულებრივი სახე ჰქონდა ქალღმერთ იურატეს, ჩემი მუქი თაფლისფერი თვალები, ჩემი ოდნავ კეხიანი ცხვირი, ჩემი ასიმეტრიულად წამოწეული ყვრიმალეები და ჩემი შუბლი. ის მე ვიყავი.

ფსკერს მოვწყდი და ტალღები გავარღვიე. წყლის ზედაპირზე აღწევას ვცდილობდი. სუნთქვა აღარ მყოფნიდა, მაგრამ არ ვნებდებოდი. შეუჩერებლად მივქროდი მზის მიმართულებით.

როგორც იქნა, ამოვყვინთე. წყალი ამოვახველე, ფილტვებში ჟანგბადი დავიგროვე და ნაპირისკენ გავცურე.

როცა მიწას ფეხი დავადგი და უკან მოვიხედე, დავინახე, როგორ ამოვიდა გაბრიელი ზღვიდან. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ყველა უფსკრული გაიარა ჩემთან ერთად, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გადავერჩინე.

ქვიშაზე დავჯექი. გაბრიელი მოვიდა და გვერდით მომიჯდა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ოქროსფერ სანაპიროზე, როცა პირველად გამოველაპარაკეთ ერთმანეთს.

- დავიღალე, - ძალიან, ძალიან ჩუმად ვთქვი და თავი მხარზე დავადე.

მან ფრთხილად ამანწვინა თავი და მე კიდევ ერთხელ დავინახე მისი უსაშველოდ თბილი და ნათელი თვალები.

- ნუ გეშინია, - მითხრა და ფრთხილად მაკოცა.

ვაშლის და კარამელის გემო დაჰკრავდა გაბრიელის ტუჩებს.

\* \* \*

მას ჩემი სახე ჰქონდა, მარია... ჩემი სახე ჰქონდა იურატეს. ჩემი დაღლილი სახე, რომელიც უშნო მეგონა და შევიძულე. იურატე ჩემი სარკე იყო, მარია. ვუყურებდი და ჩემს თავს ვხედავდი. სხვა არავინ ჩანდა.

იმ გოგოსაც ჰგავდა, ფორთოხლისსუნიან გოგოს, რომელიღაც კუნძულზე რომ იპოვეს მკვდარი, ზღვამ რომ გამოორიყა, ნახევარი კაცი რომ უყვარდა და არაფერი შერჩა. არ ვიცოდი, ასეთი ქალღმერთებიც თუ არსებობდნენ, მარია, კაცის ნახევარს რომ იყვარებენ და სხვასთან იყოფენ.

კიდევ სხვა გოგოს სახეც ჰქონდა იურატეს, ყველაზე კეთილი გოგოსი, გვალვა რომ გაიყვანა ჩვენი ქალაქიდან. როგორ ვთქვი? ჩვენი ქალაქი? ჰო, აქედან წასვლას არ ვაპირებ, სახლს ვერ გავყიდი, მარია, სხვაგანაც ვერ ვიცხოვრებ. შენ ხომ იცოდი, რომ ასე მოხდებოდა?!

იმ გოგოსაც ჰგავდა, ობობები რომ გააჩინა, ტბის გოგოს, შრომანების გოგოს და მეორე გოგოსაც, ყინული რომ იყო და წყლად იქცა, სიკეთეც რომ იყო და ბოროტებაც და საკუთარი თავის ძებნაში რომ დაიკარგა.

დედაჩემის სახეც ჰქონდა იურატეს, დედაჩემის მკაცრი სახე და მაღალი ყელი. იქნებ საღამოობით ხატავდა კიდევ, არ ვიცი, მე რომ ვნახე, დილა იყო.

შენი სახეც ჰქონდა, მარია, შენი დაღლილი სახე, შენი უღამაზესი თვალები, შენი მოტრილი მკერდი. ავად რომ ვიყავი, მივლიდა, როცა მშობდა, მაპურებდა, როცა სიკვდილი მინდოდა, სიცოცხლის გზას მაჩვენებდა. სარკის წინაც კი შენსავით იდგა. მართლა. არ გატყუებ.

ჩვენ ვიყავით იურატე, მარია, ჩვენ, გოგოები, შეყვარებულები, მოტყუებულები, მიტოვებულები, მკვდრები, ცოცხალმკვდრები, სიცოცხლედაბრუნებულები, მეზრდოლები, კეთილები, ბოროტები, თავდადებულები, ეგოისტები, კარგად ჩაცმულები, ცუდად ჩაცმულები, შიშვლები, მდიდრები, ღარიბები, ლამაზები, შეუხედავები, გამარჯვებულები, დამარცხებულები, გოგოები, რომლებმაც არ ვიცოდით, რა იყო სრულყოფილი ბედნიერება, გოგოები, რომლებიც მუდამ ვიღაცას ვეძებდით და ვერავის ვპოულობდით, გოგოები, რომლებსაც გვეშინოდა და გავზბოდით და საკუთარი გზა მოგვდევდა, გოგოები, რომლებმაც თავი მოვიკალით, მერე კი აღვდექით, ან ვერ აღვდექით, და თავიდან ვისწავლეთ ცხოვრება, თავიდან ვისწავლეთ სიხარული, ან ვერაფერიც ვერ ვისწავლეთ, რომლებმაც ვძლიეთ საკუთარ სისუსტეებს და ავმადლდით... ან ვერ... ან...

ჩვენ – გოგოები, ვიყავით იურატე, მარია, რადგან ყველა გოგოს შეუძლია, იყოს ქალღმერთი, თუ მოინდომებს.

\* \* \*

იმ საღამოს, როცა წიგნის წერა დავასრულე, კიდევ ერთხელ მივედი იურატეს სანაპიროსთან. ზღვასთან ჩავიმუხლე და ხელები წყალში ჩავალაგე.

ვიგრძენი, როგორ ამოძრავდნენ თევზები ჩემს ძარღვებში და თითებისკენ დაიძრნენ.

ჩემი თითები ზღვას შეერია და გზა გაუხსნა ფრჩხილებს მომწყდარ თევზებს.

ისინი ჩემს სხეულს ტოვებდნენ – ვერცხლისფერი თევზები, წითელი თევზები, ათ სიმეტრიულ მწკრივად გადიოდნენ ჩემგან და ზღვის ქაოსს უერთდებოდნენ.

და როცა იურატემ ჩემში მობინადრე თავისი ყველა შვილი მიიღო, წამოვდექი, აღმართი ავიარე და ქალღმერთის ციხე-სიმაგრის ნანგრევიდან გადავხედე წყალს.

ნისლი ირწეოდა ზღვაზე. ვიდექი და ვქანაობდი, ვქანაობდი და ბედნიერი ვიყავი. ჩიტები მოფრინავდნენ დედამიწის ოთხივე მხრიდან და მოჰქონდათ მზესუმზირის ყვავილების გვირგვინები, მკიდებდნენ მხრებზე, მკლავებზე, ყელზე და მე, მზის მიმართულებით გახელილი თვალებით, ჩემს ზურგს უკან გაშენებულ ჩრდილოურ ქალაქს ვხედავდი.

მკლავები დავუშვი, ხელები უკან წავიღე, გადავაჯვარედინე და ვიგრძენი, როგორ გაივსო სამყარო ზუსტად ისეთი სურნელით, როგორიც მზესუმზირებს ასდით შუადღის თავარა სიცხეში.

ჩემს ხელებს ვიღაც შეეხო. ისე, რომ არ შევბრუნებულვარ, მე დავინახე ის, გაბრიელი, ბიჭი, რომელმაც შემიყვარა მაშინ, როცა საკუთარი თავი მეც კი არ მიყვარდა, ბიჭი, რომელიც წყალმა მოიყანა ჩემამდე. იდგა ჩემს ზურგს უკან, ჩემი ორი ხელი თავის ორ ხელს შორის მოეჭვია და სინათლისგან დანვრილებული, მაგრამ მაინც უზომოდ ნათელი, თაფლისფერი თვალებით, მხრებზე მიყურებდა.

კლდის ქვემოთ ზღვა ახმაურდა. ტალღები მოაწყდნენ სანაპიროზე გაბნეულ ქარვეებს – იურატეს ცრემლებს.

წყალს გადავხედე. ზღვის სიღრმეებში მკრთალად ჩანდა ჩემი ანარეკლი.

ნაბიჯი უკან გადავდგი და გაბრიელის მკერდს მივეყრდენი.

ამჯერად, არ მესიზმრებოდა.